



ევროპის უნივერსიტეტის



ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი



აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

არქეოლოგია

№6



AUREUS

გამომცემლობა AUREUS

ISSN 2587-5175

თბილისი
2022

სარედაქციო კოლეგია:

1. **პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი** - მთავარი რედაქტორი. ისტორიკოსი, არქეოლოგი, კულტუროლოგი. ევროპის უნივერსიტეტის აკად. ა. აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. სს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი.
2. **პროფ. გივი ინანიშვილი** - არქეოლოგი, პალეომეტალურგი. სს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
3. **პროფ. გურამ ყიფიანი** - არქეოლოგი, არქიტექტორი. ილიას უნივერსიტეტის პალეურბანული ლაბორატორიის ხელმძღვანელი.
4. **პროფ. ვხტანგ ლიჩელი** - არქეოლოგი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის არქეოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი. გრაკლიანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი. ქართული არქეოლოგიური მისიის ხელმძღვანელი კვიპროსზე.
5. **პროფ. ვალერი ვაშაკიძე** - ისტორიკოსი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
6. **პროფ. დიმიტრი ახვლედიანი** - არქეოლოგი. ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი. საქ. ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.
7. **თემურ ბიბილური** - არქეოლოგი. ისტორიის აკადემიური დოქტორი. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმის ფონდების მთ. მცველი.
8. **მადონა მშვილდაძე** - პასუხისმგებელი რედაქტორი. არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი. წყალქვეშა არქეოლოგიის სპეციალისტი. ევროპის უნივერსიტეტის

ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის ფონდების მთ. მცველი. ილიას უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგი.

9. **ლევან ხეცურიანი** - არქეოლოგი. ევროპის უნივერსიტეტის აკად. ა.აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

11. **გოჩა გერაძე** - კულტუროლოგი. ნუმისმატი. ლ.სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი.

© 2022. ევროპის უნივერსიტეტი, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი

© 2022. გამომცემლობა AUREUS

მხატვარ-დიზაინერი: გურამ ყიფიანი

საბა ნონეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ახრახაძე

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო“

ელ-ფოსტა: info@wop.ge



გერმანე გობეჯიშვილი

1911 – 1973

გერმანე გობეჯიშვილი

ქართველთმცოდნეობის განვითარების ტიპიურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული არქეოლოგიის განვლილი გზა, რომელსაც მკვეთრად მისდევს თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე გერმანე გობეჯიშვილის მიერ შებმული გზაწვრილი.

რიონის სათავეების არქეოლოგიური ძეგლები - ბრილი, ღები თუ შოშეთი, ცხინვალის ნაცარგორა, არხილოსკალო თუ კლდეეთი, კლდეისი, ბედენი თუ სამშვილდე, ლარილარი, კვაშხეთი თუ ვაშნარი, ხოვლეგორა, დიდი მცხეთა თუ თრიალეთი, არღუნისხევი, თეთრი წყარო თუ დიდი პიტიუნტი, სადაც კი გერმანე გობეჯიშვილის მადლიან მარჯვენას არქეოლოგის წერაქვი დაუკრავს, საოცრად მრავალგვარი და მეტწილად უზადლოა.

ჩამოთვლილთაგან არაერთის მნიშვნელობა სცილდება ქართველთმცოდნეობის ინტერესებს და საკაცობრიო კულტურის და ხელოვნების თვალთახედვით განსაკუთრებული ღირებულებებისაა.

გერმანე გობეჯიშვილი გამოჩენილი არქეოლოგების წინა რიგებში დამკვიდრდა, როგორც მის თანამემამულეთა ისე სომეხ, აზერბაიჯანელ და რუს არქეოლოგთა შორის.

გ. გობეჯიშვილის საკვლევო პრობლემატიკა მრავალმხრივი და დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონისაა - ენეოლითი - ადრებრინჯაოდან ფეოდალურ ხანამდე, მაგრამ, მეტწილად მას მოუხდა ბრინჯაო-რკინის კულტურის კვლევა.

გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით გათხრილი და აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების მნიშვნელობა ქართველთმცოდნეობის და კავკასიური ცივილიზაციის უმთავრესი ნაკადების გამოსაკვეთად ძალიან დიდია.

გ. გობეჯიშვილის მიერ აღმოჩენილი ძეგლები - მხოლოდ ამომზეურებული მასალა, უკვდავეყოფა ერთი არქეოლოგის სახელს, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა. 33 წელი შესწირა მან თავის მონაპოვართა შესწავლას. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის შენობაში იჯდა ეს გასაოცარი მკვლევარი საგანგებოდ გამაგრებული, რკინისკარიან ოთახში, შლიდა მაგიდებზე კარადებიდან ან რკინის სეიფებიდან გამოტანილ მასალას და თავს დასტრიალებდა მათ დილიდან გვიან საღამომდე.

ასეთი სისტემატური მუშაობის შედეგია მის მიერ გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები: „არქეოლოგიური გათხრები საქართველოში“ (1952წ.), „არმაზისხევის

არქეოლოგიური ძეგლები“ (1955წ.), „საქართველოს არქეოლოგია“ 1959წ., „ცხინვალის ნაცარგორა“ (1951), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები I (1970), „თეთრიწყაროს ნასოფლარი“ (1978), „ბედენის გორასამარხების კულტურა“ (1979) და სხვ.

გ. გობეჯიშვილი სიცოცხლეშივე იყო ცნობილი, რომ ის არ ჩქარობდა თავისი დაკვირვებების გამომზეურობას. იგი მეტად მომთხოვნე იყო საკუთარი თავის მიმართ.

ცნობილი მეცნიერის პირადი არქივის ერთი ნაწილის საერთო გადათვალისწინებისას გამოირკვა, რომ გ. გობეჯიშვილს დარჩა გამოსაცემად მომზადებული ნაშრომები: ბრილის ანტიკური ხანის სამაროვანი (20 თაბახი), მდ. რიონის სათავეების მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რიონის სათავეებში და სხვ.

გერმანე გობეჯიშვილის მიერ აღმოჩენილი ძეგლების პუბლიკაცია ნათელს მოჰფენს გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის თვალსაჩინო წვლილს ქართველთმცოდნეობის განვითარებისა და საერთოდ, კავკასიური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი შენაკადების კვლევის საქმეში.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე

არქეოლოგი-მკვლევარი გერმანე გობეჯიშვილი

გერმანე გობეჯიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლას მოანდომა. ბატონმა გერმანემ არაერთი უმნიშვნელოვანესი სხვადასხვა ეპოქის ძველი გათხარა და შეისწავლა. იგი ნამდვილად ბედნიერი არქეოლოგი იყო, მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, საქმისადმი თავდადებად, კვლევის მაღალი დონით. მას შესასწავლი ადგილის ამოცნობის გასაოცარი ალლო ჰქონდა, რომელსაც მისთვის არასოდეს უღალატია. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ ყველა მის მიერ შესწავლილი ძველი უაღრესად შედეგიანი იყო. მან ბევრი ახალი ფურცელი შემატა საქართველოს უძველესი კულტურის შესწავლის საქმეს.

გერმანე გობეჯიშვილი ზემო რაჭის ულამაზეს სოფელ ღებში აღიზარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე აგრძელებს. სტუდენტობის წლებში მან სოფ. ღების მახლობლად, ადგილ „შოშეთში“ ძველი სამარხი აღმოაჩინა საკმაოდ მდიდარი ინვენტარით, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებას ჩააბარა. ჩანს ამ დროიდან იღვიძებს მასში სიყვარული საქართველოს უძველესი კულტურისადმი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. 1941წ. ამ ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი სამეცნიერო დაწესებულება - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის და ისტორიის ინსტიტუტი. გ. გობეჯიშვილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელია, შემდეგში ამ განყოფილების ხელმძღვანელის აკად. ს. ჯანაშიას მოადგილეა.

ომიანობის წლებში, 1943 წელს, მუშაობა განაახლა მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. გერმანე გობეჯიშვილი ხელმძღვანელის მოადგილედ ინიშნება და ფაქტობრივად არქეოლოგიურ სამუშაოებს არმაზის ხევში იგი წარმართავს (ამ სამუშაოებს მიეძღვნა მონოგრაფია „მცხეთა I“,

არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები ა. აფაქიძის, ა. კალანდაძის, გ. ლომთათიძის თანაავტორობით).

1945 წლიდან გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობას იწყებს ცხინვალის ნაცარგორის არქეოლოგიური ექსპედიცია. ამ უნიკალური ძეგლის გათხრის პრეტენზიას სხვა არქეოლოგებიც გამოთქვამდნენ, მაგრამ არქეოლოგიური კომისიის გადაწყვეტილებით მისი გათხრების ჩატარება გერმანე გობეჯიშვილს დაევალა. აქ რამდენიმე წლის მანძილზე იმუშავა და გაარკვია, რომ ცხინვალის ნაცარგორა ძლიერი რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ გამოვლენილი სამლოცველო სენაკები, უამრავი შესანიშნავი მასალა და სხვ. გ. გობეჯიშვილმა ამ ძეგლზე ჩატარებულ სამუშაოებს ვრცელი ანგარიში მიუძღვნა. სამწუხაროდ, ამ უნიკალური ძეგლის სრული შედეგების გამოქვეყნება ვეღარ მოასწრო.

50-იანი წლების დასაწყისში კვლავ რაჭას უბრუნდება, სადაც მან ჯერ კიდევ 1936წ. ს. ლების მიდამოებში დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები. აქ, ადგილ ბრილში, საკმაოდ მოზრდილ სამაროვანს მიაკვლია, სადაც დაახლოებით 2500 წლის მანძილზე, ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, იკრძალებოდნენ მიცვალებულები.

გერმანე გობეჯიშვილი უაღრესი პასუხისმგებლობით უდგებოდა გათხრების პროცესს. მის დღიურებში დაწვრილებითაა ასახული გათხრების ყოველდღიური შედეგები. იგი აქვეყნებს ჩატარებულ სამუშაოების ანგარიშებს, მაგრამ შემაჯამებელი ნაშრომის დასრულება არ დასცალდა.

და მაინც, რაჭის ექსპედიციის მუშაობის უმთავრესი შედეგები ის იყო, რომ მდ. რიონის სათავეებთან პირველად კავკასიის სინამდვილეში სამთო-მეტალურგიული კერები აღმოჩნდა. გამოვლენილია სპილენძის და ანთიმონის ძველი მადაროები, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანების წარმოების ნაშთები, წიდა, ქვის უროები, ხის გობები, მადაროს გასამაგრებელი ხის ძელები, თიხის ჭურჭელი და სხვ. ჩანს, ამ დროს სამთამადნო წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. გერმანე გობეჯიშვილმა სათავე დაუდო ჩვენში ძველი მეტალურგიის შესწავლას. იგი არა ერთ ნაშრომს უძღვნის ამ პრობლემას, სადაც საგანგებოდაა აღნიშნული კავკასიის როლი უძველესი მეტალურგიის განვითარების საქმეში ძველ სამყაროში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი 50-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „არქეოლოგიური გათხრები საქართველოში“. ნაშრომი ეძღვნება ყველა

არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომლებიც იმ დროისათვის ჩატარებული იყო საქართველოში ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული ფეოდალური ხანის ჩათვლით. ეს პირველი ნაშრომი იყო, სადაც მოკლედ, მაგრამ თვალნათლივ გადმოცემული თითქმის ყველა ძეგლზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება. წლების განმავლობაში ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნი იყო არქეოლოგებისათვის.

გერმანე გობეჯიშვილი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო 1959 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს შექმნისა „საქართველოს არქეოლოგია“. ამ ნაშრომმა თავის დროზე დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა არქეოლოგთა თაობის აღზრდას.

50-იანი წლების შუა ხანებიდან კარდინალურად იცვლება გ. გობეჯიშვილის მეცნიერული ინტერესი. იგი დასავლეთ საქართველოდან, რაჭიდან, თითქმის მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქვემო ქართლის შესწავლაზე გადაერთო. იგი აქტიურად მონაწილეობს აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით მოწყობილ ქვემო ქართლის კომპლექსურ ექსპედიციაში. მისი მოღვაწეობა აქ ძალიან შედეგიანი იყო. გ. გობეჯიშვილი ძირითადად ბრინჯაოს ხანის ძეგლებს სწავლობდა. აღსანიშნავია მის მიერ მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი თეთრიწყაროს ნასოფლარის შესწავლისათვის გაწეული შრომა. ძეგლი, რომელიც ორი ფენისაგან შედგებოდა, რთული გასათხრელი იყო. აქ კარგად გამოიკვეთა მტკვარ-არაქსის კულტურასთან, მის გენეზისთან დაკავშირებული საკითხები. გათხრების ავტორი დაწვრილებით შეისწავლის აქ მოპოვებულ საკმაოდ მდიდარ მასალას - ნაგებობათა ნაშთებს, კერამიკას, ქვისა და ლითონის ინვენტარს, მან სწორად განსაზღვრა ძეგლის თარიღი და ხასიათი.

კიდევ უფრო შედეგიანი იყო გერმანე გობეჯიშვილის მიერ ბედენის ზეგანზე ჩატარებული სამუშაოები. მან ბედენის ველზე შესასწავლად რამდენიმე ყორღანი შეარჩია და მისთვის ალღოს აქაც არ უღალატია, შესწავლილ ყორღანებში საკმაოდ მდიდარი მასალა აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია N5 მოზრდილი ყორღანი, „გადაჭრილი გორა“, სადაც ხის მორებისგან ნაგები დასაკრძალავი კამერა აღმოჩნდა მდიდარი ინვენტარით, მთავარი მიცვალებული ოთხთვლიანი ეტლით იყო შესვენებული. სწორედ ამ მასალების საფუძველზე გამოყო მან პირველად ე. წ. ბედენური კულტურა, ქვემო ქართლში შესწავლილ ორივე ძეგლს გერმანე გობეჯიშვილმა საფუძვლიანი მონოგრაფიები მიუძღვნა.

გერმანე გობეჯიშვილი დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს. იგი წლების განმავლობაში ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრაზე კითხულობდა სპეცკურსს. გერმანე გობეჯიშვილი მეტად დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა საქ. მეცნიერებათა აკადემიაში, იგი წლების განმავლობაში გვერდში ედგა საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკად. ნიკო მუსხელიშვილს. გერმანე გობეჯიშვილი მეცნიერული სიმწიფის ასაკში წავიდა ჩვენგან. მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი ჩვენი დიდებული წარსულის შესწავლას მონადომა.

აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე



მ. ლორთქიფანიძე, გ. ჯამბურია, გ. ლომთათიძე, გ. გობეჯიშვილი, შ. მესხია,
ნ. ბერძენიშვილი. სამშვილდე, 1948 წ.

გერმანე გობეჯიშვილის მოსაგონარი

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ჩვენი ქვეყნის უძველესი წარსულის უბადლო მკვლევარი, სახელგანთქმული არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი. იგი წავიდა უეცრად, ჯანმრთელი, ენერგიით აღსავსე უამრავი გეგმებითა და იდეებით დატვირთული.

ბატონი გერმანე 50-იან წლებში ჩაუდგა სათავეში ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ერთ-ერთ განყოფილებას, იმ დროს არქეოლოგები აკად. ჯანაშიას სახ. ისტორიული მუზეუმის შენობაში, ორ დიდ ოთახში იყვნენ განლაგებულნი. ერთ ოთახში ქვისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები იყვნენ, მეორეში ანტიკური და ფეოდალური ხანის სპეციალისტები.

ბატონ გერმანეს მაგიდა პირველ ოთახში იდგა, მაგრამ მიუხედავად მაგიდების და ფართობის სიმცირისა, არცერთი თანამშრომელი მის არ ყოფნის დროს, მის მაგიდასთან არ ჯდებოდა, რაც პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ნიშანი იყო. შემოვიდოდა ხოლმე ბატონი გერმანე, როგორც ყოველთვის მშვიდი, მოწესრიგებული, აუღელვებლათ, საქმიანი, მიუჯდებოდა ხოლმე თავის მაგიდას და თანამშრომლები ჩუმად, რომ მისთვის არ შეეშალათ ხელი აგრძელებდნენ თავის საქმიანობას. ბატონმა გერმანემ შეჯავრება არ იცოდა, თუ რაიმე ეწყინებოდა ან არ მოეწონებოდა ხმას არ გასცემდა ხოლმე მათ. თანამშრომლებისათვის ეს დიდი სასჯელი იყო და ცდილობდნენ როგორმე შერიგებოდნენ. ასეთ შემთხვევაში უბადლო იყო რაჭის, უფრო ბრილის სამაროვანთან დაკავშირებული რაიმე კითხვის მიცემა. ამ ცდუნებას ბატონი გერმანე ვერ უძლებდა, და აუცილებლივ შემკითხველს უპასუხებდა, ხშირად საჭირო ხდებოდა არქეოლოგიური მასალის ჩვენებაც, რომელიც იმავე ოთახში ორ დიდ კარადაში ინახებოდა. გაიხსნებოდა თუ არა კარადა, ყველა წყვეტდა მუშაობას. გარს შემოეხვეოდნენ მას და ტკბებოდნენ ამ საოცარი, საზღაპრე ნივთების მზერით. თვით ბატონი გერმანე როგორც უსაყვარლეს შვილებს, ისე დასცქეროდა მათ.

ბრილის სამაროვანი, გვიანბრინჯაოს ადრე რკინის ხანის არქეოლოგიის თანამშრომელთათვის საოცნებო ძეგლი იყო, თვითოეული ოცნებობდა იქ მოხვედრაზე.

ბატონ გერმანესთან ერთად ველზე მუშაობა დიდი სკოლა იყო. სწორედ იმ დროს დაიწყო მრავალრიცხოვანმა ექსპედიციამ მოქმედება. თვითოეული ექსპედიციის წევრი ადგენდა დღიურს, რომელსაც ექსპედიციის უფროსი ამოწმებდა და უსწორებდა. თვითოეული თანამშრომლის 312 ნამუშევარი მოწმდებოდა და კონტროლდებოდა. თვითოეული თანამშრომლის აზრს ანგარიშს უწევდნენ. მოპოვებულ მასალას ეტიკეტი უკეთდებოდა, საგანგებოდ შეიფუთებოდა და ბინაზე-ბაზაზე გაიშლებოდა და დამუშავდებოდა. კარგი მუშაობის შემდეგ ექსპედიციის წევრს საოცრად აჯილდოვებდა. მათ გზავნიდა სხვა ექსპედიციაში, სადაც პროფილით მუშაობა არ ეკუთვნოდა, მაგრამ ძალიან უნდოდათ და მოუცლელიობის გამო ვერ მიდიოდნენ. მაგალითად ახლად აღორძინებულ მცხეთის ექსპედიციაში მხოლოდ ერთი თვით გზავნიდა, ბიჭვინთის ექსპედიციაში თეთრიწყაროს ექსპედიციის დაწყებამდე ორი კვირით მიავლინებდნენ.

ერთ წელიწადს ბატონმა გერმანემ თეთრიწყაროს ექსპედიციის დამთავრების შემდეგ, რაჭაში განიზრახა გამგზავრება და მეც მოვხვდი ექსპედიციის წევრთა სიაში.

თუ რა შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე, ზემო რაჭაში მდ. ჭიორაზე ტრაქტორით გადასვლამ, მაღალმთიანმა სოფელმა ღებმა, რომელიც ბატონ გერმანეს სამშობლო იყო, ეს კიდევ ცალკე თხრობის საგანია.

როდესაც ავედით ბრილის ბალახით და ყვავილებით აბიბინებულ ველზე, სამოვრებზე, გაცეხულმა ვიკითხე სად არის მეთქი ბრილის სამაროვანი, რაზეც ბატონმა გერმანემ ხელი გაშალა, წინ გაიშვირა და თქვა „აქაო“, ყველგან. ჩემი იქ ყოფნის დროს ბატონ გერმანეს და ექსპედიციის სხვა წევრებს რამდენიმე დღით სვანეთში გამგზავრება დასჭირდა, მე კი ბრილში დავრჩი სამუშაოს გასაგრძელებლად. ბატონმა გერმანემ შემომიფარგლა სამუშაო ფართობი, საიდანაც უნდა მომეხსნა მიწის საფარველი. მე გულმოდგინებით შევუდექი მუშაობას ღებელ მუშებთან ერთად. მიწის საფარველის მოხსნის შემდეგ ყოველ 20-50სმ. სიღრმეზე სამარხებს წავაწყდი. მარტომ ვერ გავბედე მათი გასუფთოება-პრეპარაცია, ექსპედიციის სხვა წევრებიც დავალოდე. ბატონ გერმანემ მომიწონა ნამუშევარი, ექსპედიციის სხვა წევრები კი აღშფოთდნენ, ბევრი სამუშაო დავახვედრე. ბატონ გერმანეს ბრილში სტუმრები ჩამოყვნენ, მათ შორის პოეტი მურმან ლებანიძე, რომელიც ისე აღტაცდა ყველაფერი ნანახით, რომ

ბრილის გათხრებს, ბატონ გერმანეს, მის მეუღლეს ჩვენ ყველგან თანმხლებ, ქალბატონ თინას შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა.

ბატონი გერმანე სამაგალითო ხელმძღვანელი იყო. არც ერთი დისერტაცია, არც ერთი ნაშრომი, უბრალო თეზისიც კი მის გარეშე არ ქვეყნდებოდა, დაუზარებლად ამოწმებდა, ასწორებდა ყოველთვის. იგი არა მარტო თავის განყოფილების ახალგაზრდებზე მზრუნველობდა, არამედ ბევრჯერ ჩვენ მეზობელ რესპუბლიკიდან ჩამოსულ ახალგაზრდებსაც ეხმარებოდა. მაგ. აფხაზ იგორ წვინარიას ნაშრომის კითხვისას ჩუმად ეკითხებოდა როგორ ქონდა ფინანსური მდგომარეობა, დახმარება ხომ არ ჭირდებოდა. უდიდესი მადლიერებით იხსენებდა მას ბაგრატ ტეხოვი, სანამ ამის ნებას აძლევდნენ. აგრეთვე ყაზარდოდან ჩამოსული ახალგაზრდა აუტლევვი. ბატონი გერმანე, ბატონ ანდრო აფაქიძის სიტყვით, ბედიანი არქეოლოგი იყო, სადაც არ უნდა დაეწყო მუშაობა, აუცილებლად საინტერესო ძეგლს წააწყდებოდა.

მაგრამ ეს მარტო ბედი არ იყო, არამედ უდიდესი ცოდნა, გამოცდილება, რომელიც მეცნიერულ ალღოს ემყარებოდა. ბატონ გერმანეს, ბრილის სამაროვნის აღმომჩენს, არმაზციხის სამარხების გამთხრელს, ცხინვალის ნაცარგორის შემსწავლელს, თრიალეთის ყორღანებზე მომუშავეს, თეთრიწყაროს ნამოსახლარის და ბედენის ახალი კულტურის შემომტანს არქეოლოგიაში, არაფერი შეეშლებოდა.

ბატონ გერმანეს ძალიან ლამაზი ხელი ქონდა წერისას, ამავე დროს მისი ნაშრომები სასიამოვნო და იოლი წასაკითხი იყო. მისი მონოგრაფია „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში“ მაგიდის წიგნად დარჩა არქეოლოგთათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერთათვის. თვითოეული მისი მონოგრაფია თუ ნაშრომი, დიდი შენაძენია ქართული არქეოლოგიისათვის, და არა მხოლოდ ქართულ სწავლულთათვის, არამედ ყველა კავკასიის წარსულის შემსწავლელთათვის.

ძალზე საყურადღებოა, რომ „საქართველოს არქეოლოგიის ის ნაწილი, რომელიც ბატონ გერმანეს მიეკუთვნება, გვაოცებს თავისი აქტუალობით და საკითხის დაყენების დღევანდელი ხედვით.

გულდასაწყვეტია, რომ ბატონ გერმანეს არ დასცალდა მრავალი მისი მონაპოვრის გამოცემა, განსაკუთრებით ბრილის მონაპოვრების, მაგრამ სასიამოვნოა, რომ მათ პუბლიკაციაზე მისი შვილი გელა გობეჯიშვილი მუშაობს.

ლეილა წითლანაძე



გერმანე გობეჯიშვილი, თენგიზ აბულაძე, სპარტაკ ჯეჯელავა
ბედენი, 1970 წ, ყორღანი №10



ნიკო ბერძენიშვილი, შოთა მესხია, გერმანე გობეჯიშვილი,
სამშვილდე, 1948 წ.



გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, მალხაზ ბარამიძე.
რაჭა, 1959 წ.

ალექსანდრე ნონეშვილი, გურამ ყიფიანი, მადონა მშვილდაძე
ოხერახევის სამაროვნისა და ნამოსახლარის ტერიტორიაზე 2021 წელს ჩატარებული
არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ნიჩბისის თემში, ოხერახევის სამაროვნისა (01/36) და ნამოსახლარის ტერიტორიაზე, 2021 წლის 11 ივლისიდან 1 სექტემბრამდე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია ავაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი (სანებართვო მოწმობა: N6/17/39)¹. სამუშაოები განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

არქეოლოგიურ ექსპედიციას წინ უძღოდა 2019-2020 წლებში წარმოებული საველე დაზვერვები და გათხრითი სამუშაოები, რომელთა შედეგებიც გამოქვეყნდა აკად. ანდრია ავაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ჟურნალში „არქეოლოგია“ [„არქეოლოგია“ - 2021: 83-97, N4; 2021: 23-45, N5].

მიმდინარე წელს, ექსპედიციის მიზანს წარმოადგენდა ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება, სამაროვნის სავარაუდო გავრცელების საზღვრების დადგენა და ნამოსახლარის არეალზე, წინა წელს გამოვლენილი კედლების შესწავლა (სურ. 1).

არქეოლოგიური სამუშაოები თავდაპირველად წარიმართა სამაროვნის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X - 460259.00; Y - 4633897.00). შესასწავლი არეალი

¹ ექსპედიციის შემადგენლობა: ხელმძღვანელი პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი; პროფ. გურამ ყიფიანი (არქიტექტორი); ტოპოგრაფი ალექსანდრე თევზაძე; არქეოლოგიის აკად. დოქტორი მადონა მშვილდაძე (უბნის ხელმძღვანელი); საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის კურატორი შალვა ბუაძე; არქეოლოგიის მაგისტრები: თეონა ბუბუტეიშვილი, თამარ სიდამონ-ერისთავი, გურამ ბერიძე; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის სპეციალისტი, არქეოლოგიის მაგისტრი გიორგი ბურჯანაძე; არქეოლოგიის მაგისტრანტი შავლეგ ქალდანი.

დანაწევრდა 50მ-ან ნაკვეთებად და 5მ-ან კვადრატებად. კვადრატები მოინიშნა რიგითი ნუმერაციით: 01, 02, 03 და ა.შ. (სურ. 2). საანგარიშო სეზონზე გამოვლენილი სამარხები ძირითადად მოექცა 08 და 09 კვადრატებში.

არქეოლოგიური სამუშაოების აღწერა:

2021 წელს, არქეოლოგიური სამუშაოები თავდაპირველად განახლდა ოხერახევის სამაროვანზე. მოინიშნა 10x13x5.80x8მ-ანი მონაკვეთი (ნახ. 1, 3)². საანგარიშო წელს, ექსპედიციის მიერ გაიხსნა 21 სამარხი (სურ. 93). მათი უმეტესობა წარმოადგენდა ორმოსამარხს, ხის ძელების კვალითა და მრავალფეროვანი სამარხეული ინვენტარით (მხოლოდ ორ შემთხვევაში დაფიქსირდა უინვენტარო სამარხი N11, N15³). მოპოვებული სამარხეული მასალა, წინა არქეოლოგიური სეზონების მსგავსად, წარმოდგენილია კერამიკული ჭურჭლით, სამკაულითა და რკინის საბრძოლო იარაღით.

სამარხი N1 გამოვლინდა წინა წელს დატოვებული უღლის მოხსნის დროს, ჩრდილოეთ ჭრილის სიახლოვეს, ჰუმუსური დონიდან 45.5სმ-ის სიღრმეზე. დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხის ზომებია: 1.25x0.85მ., სიღრმე - 0.18მ. მიცვალეული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამარხის კიდეებზე შეიმჩნეოდა ხის სუსტი კვალი. ორმოსამარხში დადასტურდა: ფრაგმენტირებული ხელადა⁴; მიცვალეულის თავისა და ყელის არეში პასტის, მინისა და სარდიონის მძივები. ხელების არეში ძლიერ დაზიანებული ბრინჯაოს ჯაჭვი, ბრინჯაოს თხელი ფურცლებისგან შედგენილი ხვია, ბრინჯაოს საკიდები (?), ლითონის საკინძი (?); მუცლის არეში აღმოჩნდა პატარა კოვზით დაბოლოვებული, სტილიზირებულთავიანი ბრინჯაოს ილარი (დაზიანებული); მაჯებისა და თავის არეში ძლიერ ფრამენტირებული რკინის

² აღნიშნულ არეალზე გასულ წელს გაითხარა 6 სამარხი.

³ სამარხების ნომრები წარმოდგენილია 2021 წლის საველე ნუმერაციით.

⁴ ექსპედიციის დასრულებისთანავე, სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკული მასალა და სამკაულების ნაწილი გადაიგზავნა სარესტავრაციოდ. რესტავრატორი: ვაჟა ჩიტორელიძე.

ბურცობებიანი სამაჯურები და ფარაკიანი რკინის ბეჭდები (5 ცალი) (სურ. 4-15; ნახ. 2). უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რკინის სამაჯურები, ოხერახევის სამაროვანზე თითქმის ყველა სამარხში ფიქსირდება (უმეტეს შემთხვევაში მიცვალებულის ხელებთან). შემორჩენილი ფორმის მიხედვით, წარმოადგენს რკინის თანაბარლეროვან სამკაულს, რომლის ზურგზეც რკინისავე ბურცობებია⁵. რაც შეეხება რკინის ფარაკიან ბეჭდებს (რომლებიც ასევე ხშირია სამარხებში), იმდენად დაზიანებული ფორმით გვხვდება, მათი თავდაპირველი მოყვანილობის აღდგენა თითქმის შეუძლებელია.

სამარხი N2 გაიწმინდა აღმოსავლეთ ჭრილთან. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: 1.20x0.85მ. N2 სამარხშიც შეიმჩნეოდა ხის კონტურები, მიცვალებულის ძვლები კი იმდენად ფრაგმენტირებული სახით იყო შენარჩუნებული, რომ მათი პრეპარაცია შეუძლებელი გახდა. სამარხის ორივე ბოლოში აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული ჯამი და ხელადა (სურ. 16-17; ნახ. 2), სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან - რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები⁶.

სამარხი N3 დაფიქსირდა აღმოსავლეთ ჭრილთან. დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: 0.95x0.65მ. მიცვალებულის ძვლები აქაც ფრაგმენტული სახით იყო შენარჩუნებული. სამარხში აღმოჩნდა ხელადა, ჯამი და ძლიერ დაზიანებული რკინის სამაჯურის ფრაგმენტები (სურ. 18-19; ნახ. 3).

სამარხი N4 გამოვლინდა N2 და N3 სამარხებს შორის, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. სამარხი ორმოს ზომებია: 1.10x0.65მ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. თავი მცირე ზომის ქვაზე ჰქონდა დასვენებული. მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა ხელადა; რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები; ძლიერ დაზიანებული რკინის სამაჯურისა და ბეჭდის ნატეხები;

⁵ ბურცობებიანი სამაჯურების გავრცელების პერიოდად მიჩნეულია ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი და შუახანები. იხ. გაგომიძე ი. ტახტიძის სამაროვნები, სამარხი N4. გვ. 68, სურ. 36, თბ. 2020; Гогинберидзе Н. Браслеты и гривни V-Івв. до н.э., გვ. 67. Тб., 2003.

⁶ ოხერახევის სამარხებში დაფიქსირებული რკინის საბრძოლო იარაღების უმეტესი ნაწილის შენარჩუნება და გამაგრება ვერ მოხერხდა.

კისრის არეში სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები. სამარხის ბოლოში, მიცვალებულის ფეხების მხარეს, მიხვეტილი იყო ცხოველის ძვლები (სურ. 20-24; ნახ. 4).

სამარხი N5 წარმოადგენდა მცირე ზომის, ქვებით შედგენილ სამარხს. აღმოჩნდა N2 სამარხის გვერდზე, აღმოსავლეთ კრილთან, ჰუმუსური დონიდან 1.60მ-ზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ქვაყუთის კედლები თავდაპირველი სახით არ იყო შენარჩუნებული. ქვების ნაწილი სამარხის შიდა სივრცეში იყო ჩაცურებული, ნაწილი კი N2 სამარხის მხარეს. შემორჩენილი სამარხის ზომებია: 0.70x0.60მ; სიღრმე - 0.33მ. მიცვალებულის ძვლებთან ერთად გამოვლინდა ცხოველის ძვლის რამოდენიმე ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა ყურიანი ჯამი (სურ. 25) და ძლიერ დაზიანებული რკინის შუბისპირი.

სამარხი N6 გაიწმინდა N3 სამარხის ორმოს სიახლოვეს. სანახევროდ ჩაჭრილი იყო დელუვიურ დანაშრევში. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეციტ, თავით სამხრეთისკენ მიმართული. სამარხი ორმოს ზომებია: 0.80x0.55მ. მიცვალებულის თავთან აღმოჩნდა პირმოყრილი, ყურიანი ჯამი, ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები და მცირე ზომის ბრინჯაოს ღილაკი (?) (სურ. 26-29; ნახ. 4).

სამარხი N7 წარმოადგენდა სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე დამხრობილ, ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხს, რომელიც ირგვლივ მცირე ზომის ქვებით ისაზღვრებოდა. სამარხში შედარებით უკეთ იყო შენარჩუნებული ხის ნაშთები. ძვლები ფაქტობრივად ხის მასალასთან ერთად იყო ჩაშლილი და შერეული, რაც მათ პრეპარაციას შეუძლებელს ხდიდა. დასაკრძალავი ორმოს ზომებია: 1.20x0.70მ. სამარხში აღმოჩნდა პირმოყრილი, ყურიანი ჯამი; ძლიერ ფრაგმენტირებული თიხის ჭურჭელი; რკინის სატევრის ფრაგმენტები (მასზევე შერჩენილი მანჭვლებით); რკინის შუბისპირისა და ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ნატეხები (სურ. 30-32).

სამარხი N8 წარმოადგენს ბავშვის კუთვნილ, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისკენ დამხრობილ დერგსამარხს. ძვლები ძლიერ ფრაგმენტირებული სახით იყო შემორჩენილი. დერგსამარხში გამოვლინდა ორი ცალი ბრინჯაოს ზარაკი; რკინის ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები; ცილინდრული (5ც.) და მრგვალი (4ც.) მოყვანილობის მძივები; რკინის ფარაკიანი (3ც.) ბეჭდის ფრაგმენტები, ჯამი და ხელადა (სურ. 33-41).

სამარხი N9 ძლიერ დაზიანებული სახით იყო შემორჩენილი, N7 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით (აღმ-ეთ ჭრილის ჰუმუსური დონიდან 1.50მ-ის სიღრმეზე). წარმოადგენდა ბავშვის სამარხს. მოხერხდა მხოლოდ ნეკნებისა და ხერხემლის მალეების პრეპარაცია. მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. შემორჩენილ ძვლებთან აღმოჩნდა თავებგადაჭდობილი, ორი, სხვადასხვა ზომის, ბრინჯაოს თანაბარდეროიანი რგოლი და რკინის სამაჯურის ფრაგმენტები (სურ. 42-43).

სამარხი N10 გაიწმინდა N7 და N9 სამარხებს შორის, აღმოსავლეთ ჭრილიდან 4.20მ-ის დაშორებით, დაახლოებით 2მ-ის სიღრმეზე. დამხრობილი იყო სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკვეთით. მიცვალებულის თავთან, სამარხის კუთხეში, გამოვლინდა: სამფეხა ჯამი, ხელადა, 5 ცალი ბრინჯაოს რგოლი 5 ცალი ბრინჯაოს მძივით (?), 1 ცალი ბრინჯაოს მასიური მძივი, გადაღუნული რკინის მახვილი (?), ძლიერ დაზიანებული. ყელის არეში აღმოჩნდა პატინირებული ვერცხლის ხატისუღელი, ოქროს სტილიზირებულთავიანი საყურეები⁷; ხელებისა და გულმკერდის არეში რკინის ბურცობებიანი სამაჯურებისა და ფარაკიანი რკინის ბეჭდის (2ც.) ფრაგმენტები; მუხლებთან, სამარხის კიდეში - რკინის შუბისპირი.

⁷ მსგავსი საყურეები დაფიქსირებულია ტახტიძირის სამაროვანზე, სამარხი N5. იხ. გაგომიძე ი. ტახტიძირის სამაროვნები, თბ. 2020, გვ. 71, 236, სურ. 53-54.

N10 სამარხი ორმოს ზომებია: 1.35x0.70მ. აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის თავის მხარეს, სამარხის კიდეზე დაფიქსირდა ცხოველის, ხოლო ფეხებთან - მიხვეტილი ადამიანის ძვლები (სურ. 44-55).

სამარხი N11 გამოვლინდა 08 კვადრატში. წარმოადგენდა ძლიერ დაზიანებულ, უინვენტარო ორმოსამარხს, სადაც მხოლოდ თავის ქალა დადასტურდა.

სამარხი N12 გაიხსნა 08 კვადრატში. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარჯვენა მხარეს, ხელფეხმოკეცით. ხის კვალი სუსტად შეიმჩნეოდა სამარხის სამხრეთ კიდეზე. თავის მხარეს ისაზღვრებოდა სამი მოზრდილი ქვით. ძვლოვანი მასალა ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა წითლად მოხატული ხელადა და ყურმილიანი სასმისი (სურ. 56-58).

სამარხი N13 გაიწმინდა N12 სამარხის სიახლოვეს. წარმოადგენდა ბავშვის კუთვნილ ორმოსამარხს. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. სამარხში აღმოჩნდა ხელადა, ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, სხვადასხვა ფორმის მძივები (12 ცალი) და ბრინჯაოს (?) სტილიზირებულთავიანი საყურე (სურ. 59-62).

სამარხი N14 გამოვლინდა N13 ორმოსამარხთან. აღმოსავლეთ ჭრილიდან 3.50მ-ში, 1.70მ-ის სიღრმეზე. სამარხი დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცით. მუხლებთან ედგა პირნაკლული ხელადა, ხელების მოხრის არეში პირგადაკეცილი, წითლად შეღებილი, ღრუქუსლიანი ჯამი. სამარხის ჩრდილოეთ კიდეში აღმოჩნდა შუბისპირი, რომელსაც მასრაზე, ტარის ჩასამაგრებელ მონაკვეთში შემოუყვება ბრინჯაოს (?) სარტყელი. მასრაში შერჩენილია ხის ტარის ფრაგმენტიც (სურ. 63-66).

სამარხი N15 აღმოჩნდა N12 სამარხის ქვეშ. აღმოსავლეთ ჭრილიდან 2.40მ-ში. ჩაჭრილი იყო დელუვიურ დანაშრევში. არ შეიცავდა ინვენტარს. მიცვალებული ესვენა ხელფეხმოკეცით, მარცხენა გვერდზე (სურ. 67).

სამარხი N16 გამოვლინდა N15 სამარხის ქვეშ. დამხრობილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეციტ. მენჯის ძვლებთან ედო წითლად შეღებილი ხელადა, თავისა და კისრის არეში, პირმოყრილი ყურიანი ჯამი გარეთ გადაკეცილი ტუჩით. ჯამის სიახლოვეს აღმოჩნდა კვირისტავი, მაჯებისა და გულმკერდის არეში - ბურცობებიანი რკინის სამაჯურისა და სხვადასხვა ზომის ფარაკიანი რკინის ბეჭდის (2 ცალი) ფრაგმენტები. ორმოსამარხის ზომებია: 0.80x0.50მ. (სურ. 68-72, 77).

სამარხი N17 გამართული იყო N16 სამარხის გვერდზე. აქ ყველაზე უკეთ იყო შენარჩუნებული ხის ნაშთი, რომლებიც შემოსაზღვრავდა სამარხის ოთხივე მხარეს. დამხრობილი იყო სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეციტ. ხელებთან ედგა ხელადა და ყურიანი ჯამი, პირიდან მხარზე გადასვლის არეში გამოკვეთილი წიბოთი. ხელებისა და გულმკერდის არეში დადასტურდა ბურცობებიანი რკინის სამაჯურისა და ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები. სამარხი ორმოს ზომებია: 1.25x0.65მ.; სიღრმე - 0.25მ. (სურ. 73-77).

სამარხი N18 ექცევა 08 და 09 კვადრატების ზღვარზე. სამარხი ორმოც და ძვლოვანი მასალაც ძლიერ იყო დაზიანებული. სამარხში შესაძლებელი გახდა მხოლოდ თავის ქალის კონტურისა და რამოდენიმე კბილის დაფიქსირება, რომლის სიახლოვესაც აღმოჩნდა ყურმილიანი სასმისი და პირგადაშლილი ჯამი. სასმისთან გამოვლინდა მცირე ზომის რკინის რგოლიც (სურ. 78-79).

სამარხი N 19 აღმოჩნდა N7 სამარხის ქვედა დონეზე, ძლიერ დაზიანებული. ძვლოვანი მასალა თითქმის მთლიანად გამქრალი იყო. არსებული სიტუაციის გამო შეუძლებელი გახდა როგორც მიცვალებულის დაკრძალვის პოზის, ასევე სამარხის დამხრობის განსაზღვრა. პრეპარაციის დროს გამოვლინდა ძლიერ ფრაგმენტირებული, წითლად მოხატული ხელადა, სარდიონის სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები, გიშრის მძივი, ბრინჯაოს ფრაგმენტები და ოქროს ორი ცალი შეწყვილებული მძივაკი (სურ. 80-82).

სამარხი N20 დადასტურდა 09 კვადრატში. იგი სანახევროდ დელუვიურ ქანში იყო ჩაჭრილი. სამხრეთის მხრიდან შემოსაზღვრავდა სამი მოზრდილი ქვა. სამარხი დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე, ზომებით: 0.88x0.65მ. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკვეთით. მუცლის მონაკვეთზე, ზემოდან ედო მოზრდილი ქვა, რომელზეც ცხოველის ძვლები იყო დალაგებული. სამარხში აღმოჩნდა სამტუჩა ხელადა და პირმოყრილი, მოზრდილი ჯამი. ხელებისა და კისრის არეში აღმოჩნდა ორი ცალი რკინის ფარაკიანი ბეჭდის, ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები და მინისა და სარდიონის მძივები (14 ცალი) (სურ. 83-88).

სამარხი N21 გაიწმინდა 09 კვადრატში, N20 სამარხიდან მეტრნახევარში, სამხრეთ ქრილთან. დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკვეთით. სამარხი ორმოს ზომებია: 1.10x0.75მ. თავის არეში ჩაყოლებული ჰქონდა პირმოყრილი ჯამი, გარეთ გადაკეცილი ტუჩით; მცირე წვივის ძვალთან წითლად მოხატული, ჩატეხილი ხელადა. სამარხში ასევე აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული, რკინის ორი შუბისპირის, რკინის სატევრისა (?) და ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები. „სასთუმლის“ ქვაზე ბრინჯაოს (?) თავგახსნილი რგოლი და მცირე ზომის ბრინჯაოს წკირი (სურ. 89-92).

საანგარიშო სეზონზე, სამაროვნის საზღვრის გავრცელების დასადგენად, საცდელი თხრილის გავლება გადაწყდა ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ დაფერდებაზე (GPS კოორდინატები: X - 460288.00; Y - 4633885.00), გათხრების არეალიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 30მ-ში. მონიშნა 3x4მ-იანი მონაკვეთი, რომელიც მოექცა 10 და 15 კვადრატებში. აღნიშნულ თხრილში, 0.25მ-ის ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ დაიწყო თიხნარ-კირქვიანი ნიადაგისა და დელუვიური დანაშრევის ნარევი ფენები. 0.70მ-ის სიღრმეზე, მთლიან თხრილზე მუშაობა შეწყდა და დაღრმავება გაგრძელდა მხოლოდ 1მ-ან მონაკვეთზე. 2მ-ის სიღრმემდე ფენა

სრულიად სტერილური აღმოჩნდა (სურ. 94), რის გამოც მოხდა თხრილის რეკულტივაცია და სამუშაოების გადატანა 2019/20 წლებში გამოვლენილი კედლების შესწავლაზე.

სამუშაოები პირველად დაიწყო წყალსაცავის სიახლოვეს დაფიქსირებულ კედელთან (GPS კოორდინატები: X - 460200.00; Y - 4633976.00). მონიშნა და გაიწმინდა 2.70x3მ-იანი ტერიტორია, ხოლო ქვების წყობის ხასიათის დასადგენად საკონტროლო თხრილის ჩაჭრა უშუალოდ განხორციელდა 2.50x1.10მ-ან მონაკვეთზე. გათხრებით გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ ჭრილში კედლის წყობა 2მ-ის სიღრმემდე ჩადის. სამშენებლოდ გამოყენებულია მკვრივი ჯიშის კირქვის მასივიდან გამოცალკავებული, დაუმუშავებელი ლოდები და შედარებით მცირე ზომის ქვები. რიგთა ჰორიზონტალურობა დარღვეულია. სივრცეთა შემავსებლად გამოყენებულია თიხა-მიწა. თიხნარითაა შედგენილი კედლების სუბსტრუქციაც. კედლის დასავლეთ მხარეს გავლებულ თხრილში დაღრმავება შეწყდა 60მ-ის სიღრმეზე. აქ წყობა არ დაფიქსირებულა, ჭრილში ჩანდა მხოლოდ თიხა-მიწა კირქვის მცირე ჩანართებით (სურ. 95-96; ნახ. 5-6).

საცდელი თხრილი გაკეთდა ქედის ძირში, ნუშის ბაღების სიახლოვეს დაფიქსირებულ კედელთანაც (GPS კოორდინატები: X - 460057.00; Y - 4634031.00). მონიშნა 2მ-ის სიგრძის მონაკვეთი. წყობის თვალსაზრისით, აქაც ანალოგიური სურათი გამოვლინდა. კედლები ნაგებია კირქვის მასივიდან გამოცალკავებული ლოდებით (რომლის კარიერიც იქვე მდებარეობს). ქვის დასამუშავებლად იარაღის კვალი არ შეინიშნება. კედლის წყობა მოცემულ თხრილში 0.60მ-ის სიღრმეზე წყდება (სურ. 97-98; ნახ. 7-8).

კედლებთან ჩატარებული სამუშაოებით შეიძლება ითქვას, რომ წყობის ხასიათი ე. წ. ყორულია, მათი სიგანე 1მ-ს არ სცილდება. დაუმუშავებელი ქვების შემავსებლად გამოყენებულია თიხა-მიწა და სუბსტრუქციაც, ორივე შემთხვევაში, თიხნარითაა შედგენილი. ამ ეტაპზე, რთულია საუბარი რას შემოსაზღვრავდა აღნიშნული

კედლები, ან საკვლევ არეალში დასახლების რა ტიპთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები, დაწინაურებული საზოგადოების ნაწილს არ მიეკუთვნება. სამომავლოდ, აუცილებელია მოხდეს დასახლების ტიპოლოგიის შესწავლა და ნამოსახლარისა და სამაროვანის ერთიან კონტექსტში გაანალიზება.

ბიბლიოგრაფია:

გაგოშიძე ი., ტახტიძის სამაროვანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ., 2020.


ნონეშვილი ა., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ბიბილური ი., ფაჩოშვილი კ., „ოხერახევის ნამოსახლარისა და სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის 2019 წლის ანგარიში“, ჟურნალი „არქეოლოგია“, N4 (ნომერი მიემდვნა აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძეს), ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი; აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. „AUREUS“, თბ., 2021. გვ. 83-97.

ნონეშვილი ა., ბიბილური თ., ახვლედიანი დ., ხეცურიანი ლ., ბიბილური ი., ფაჩოშვილი კ., „2020 წლის ოხერახევის ნაქალაქარისა და სამაროვნის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში“, ჟურნალი „არქეოლოგია“, N5 (ნომერი მიემდვნა ირაკლი ციციშვილს). ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი; აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი. „AUREUS“, თბ., 2021. გვ. 23-45.

Гогиберидзе Н., Браслеты и гривни V-Івв. до н.э., Тб., 2003.



სურ. 1. აეროფოტოსახელობა საცდელი პუნქტების აღნიშვნით.




სურ. 2. ტოპოგემა კვადრატული ბადით.



სურ. 3. ველი სამუშაოების დაწყებამდე.



სურ. 4. სამარხი N1-ის მონაკვეთი. ასახულია პრეპარაციის დროს გამოვლენილი სამარხეული მასალა.



სურ. 5. სამარხი N1. ხელადა, თიხის, ყავისფერი კეცით, ზედაპირზე შავი ლაქებით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ვიწრო ყელით, მხრებდაქანებული, მკვეთრად გამოხერილი, ოდნავ დაწეული მუცლით, ბრტყელძირა, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ყური დაპერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 16.5სმ; ყელის სიმაღლე - 2.6სმ; პირის დმ. - 5.4სმ; პირის სისქე - 0.5სმ; მუცლის დმ. - 12სმ; ძირის დმ. - 7.5სმ.



სურ. 6. სამარხი N1. ბრინჯაოს ილარი, სტილიზირებული, ღეროს ბოლოზე კოვზისებურად ჩაღრმავებული. გატეხილი (3 ნაწილად). ღეროს განივკვეთი - 4მმ; თავის სიგრძე - 1.6სმ., სიგანე - 1.5სმ; ილარის სიგრძე - 6.1სმ; კოვზისებური ჩაღრმავების დმ. - 5მმ.



სურ. 7. სამარხი N1. ბრინჯაოს საკინძი, დაღარული და გახვრეტილი თავით, ბოლოწაწვეტებული (აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯაჭვთან).



სურ. 8. სამარხი N1. ბრინჯაოს საკინძი, გახვრეტილი თავით, ბოლოწაწვეტებული (აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯაჭვთან).



სურ. 9. სამარხი N1. ბრინჯაოს ჯაჭვი.



სურ. 10. სამარხი N1. ბრინჯაოს ნივთები. გამოვლინდა ბრინჯაოს ჯაჭვთან.



სურ. 11. სამარხი N1. ლითონის (?) საკინძი, ბოლოწაწვეტებული და გაბრტყელებული თავით. ძლიერ დაზიანებული.



სურ. 12. სამარხი N1. ფარაკიანი რკინის ბეჭდების ფრაგმენტები.



სურ. 13. სამარხი N1. ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.




სურ. 14-15. სამარხი N1. მინის, პასტისა და სარდიონის მძივები.



სურ. 16. სამარხი N2. ხელადა, თიხის, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ყელგამოყვანილი, მომრგვალებული მუცლით, ბრტყელი ძირით, მრგვალგანიკვეთიანი ყურით. ყური მიძერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 15სმ; ყელის სიმაღლე - 1.5სმ; პირის დმ. - 6სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. -16სმ; ძირის დმ. - 9სმ.



სურ. 17. სამარხი N2. ჯამი, თიხის, წითლად შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 4სმ; პირის დმ. - 16სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 6სმ.



სურ. 18. სამარხი N3. ხელადა, თიხის, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, მომრგვალებული მუცლით, ბრტყელი ძირით. ყური - განივკვეთში ნახევრადოვალური მოყვანილობის, შებრტყელებული ზურგითა და გვერდებით. მიძერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 13სმ; ყელის სიმაღლე - 1.6სმ; პირის დმ. - 7.2სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 13.4სმ; ძირის დმ. - 7.5სმ.



სურ. 19. სამარხი N3. ჯამი, თიხის, მონაცრისფრო-ჩალისფერი, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 6სმ; პირის დმ. - 15.5სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 8.7სმ.



სურ. 20. სამარხი N4. ხელადა, თიხის, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად პირგადაშლილი, მსხლისებურმუცლიანი, ბრტყელი ძირით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ყური მიმერწილია ყელისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 19.9სმ; ყელის სიმაღლე - 1.7სმ; პირის დმ. - 7.5სმ; პირის სისქე - 0.5სმ; მუცლის დმ. - 15სმ; ძირის დმ. - 9.3სმ.



სურ. 21. სამარხი N4. შავი, ცილინდრული ფორმის მძივები (20ც.); შავი და ყავისფერი მრგვალი მძივები ფართო ნახვრეტით, თეთრ რკალში მოქცეული თვლებით (7ც.); მცირე ზომის, შავი, ბრტყელ-მრგვალი მძივი ფართო ნახვრეტით (1ც.).



სურ. 22-23. სამარხი N4. ბურცობებიანი რკინის სამაჯურისა და რკინის ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტი.



სურ. 24. სამარხი N4. რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები.



სურ. 25. სამარხი N5. ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით. ყური განივკვეთში ბრტყელი, მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 6სმ; პირის დმ. - 16სმ; ტუჩის გადაკვეცვა - 1.3სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 8სმ.



სურ. 26. სამარხი N6. ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით. ყური განივკვეთში ბრტყელი, მიძერწილია პირისა და მხარის არეში. სიმაღლე - 6.1სმ; პირის დმ. - 17.5სმ; ტუჩის გადაკეცვა - 1.3სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 9.9სმ.



სურ. 27-28. სამარხი N6. ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ღილაკი (?)



სურ. 29. სამარხი N6



სურ. 30. სამარხი N7. ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით. ყური განივკვეთში ბრტყელი, მიძერწილია პირისა და მხარის არეში. სიმაღლე - 4.4სმ; პირის დმ. - 13სმ; ტუჩის გადაკვეცვა - 1.2სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 10სმ.



სურ. 31. სამარხი N7. რკინის თანაბარღეროვანი სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 32. სამარხი N7



სურ. 33. სამარხი N8 (დერგსამარხი). დერგი, თიხის, ჩალისფერი, ყელიდან მხარზე გადასვლის მონაკვეთში ფრჩხილისებური ნაჭდევებით, პირგადაკეცილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 48სმ; მუცლის დმ. - 50სმ; პირის დმ. - 27სმ; პირის სისქე - 7მმ; ძირის დმ. - 17.5სმ.



სურ. 34. სამარხი N8 (დერგსამარხი). ხელადა, თიხის, ყავისფერი, შავი ლაქებით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ვიწრო ყელით, მხრებდაქანებული, მკვეთრად გამოხერილი, ოდნავ დაწეული მუცლით, ბრტყელძირა, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ყური დაძერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 14სმ; ყელის სიმაღლე - 1.5სმ; პირის დმ. - 5.6x5სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 11სმ; ძირის დმ. - 6.4სმ; ყურის სისქე - 1.3სმ.



სურ. 35. სამარხი N8 (დერგსამარხი). ჯამი, თიხის, ყავისფერი, პირმოყრილი, მოშავო ლაქებით, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 6სმ; პირის დმ. - 14.5სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 10სმ.



სურ. 36. სამარხი N8 (დერგსამარხი). ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 37. სამარხი N8 (დერგსამარხი). რკინის ფარაკიანი ბეჭდების ფრაგმენტები.



სურ. 38. სამარხი N8 (დერგსამარხი). ბრინჯაოს ზარაკები (2ც.), სხვადასხვა ზომის. 1. სიგრძე - 2სმ; საკიდის სიმაღლე - 8მმ; საკიდის სისქე - 3მმ; ზარაკის დმ. - 1x0.8მმ; 2. სიმაღლე საკიდის ჩათვლით - 2.1სმ; საკიდის სიმაღლე - 8.5მმ; საკიდის სისქე - 4მმ; ზარაკის დმ. - 1.1x0.9მმ.



სურ. 39. სამარხი N8 (დერგსამარხი). პასტის ცილინდრული ფორმის და მრგვალი მძივები (თეთრ რკალში მოქცეული თვლებით).



სურ. 40. სამარხი N8 (დერგსამარხი).



სურ. 41. სამარხი N8 (დერგსამარხი). პრეპარაციის დროს გამოვლენილი ბრინჯაოს ზარაკი და რკინის ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები.



სურ. 42. სამარხი N9. რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 43. სამარხი N9. ბრინჯაოს (?) რგოლები, მრგვალდეროვანი, სხვადასხვა ზომის. 1. დიამეტრი 2x1.5სმ., ღეროს სისქე დაახ. 3.5მმ. 2. დიამეტრი 1.3x1.1სმ., ღეროს სისქე დაახ. 3მმ.



სურ. 44. სამარხი N10. ხელადა, თიხის, სამტუჩა, მოყავისფრო-მონაცრისფრო კეცით, ოვალური მუცლით, დაბალი ყელით, ბრტყელი ძირითა და ბრტყელგანივკვეთიანი ყურით. ყური დაძერწილია პირისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 20სმ; პირის დმ. განიერ მონაკვეთში - 7.3სმ; პირის სისქე - 0.4სმ; მუცლის დმ. - 15.5სმ; ძირის დმ. - 9.5სმ.



სურ. 45. სამარხი N10. ჯამი, თიხის, სამფეხა, პირმოყრილი, მომრგვალებული წიბოთი, წითლად შეღებილი. სიმაღლე - 8.7სმ; პირის დმ. - 15.5სმ; პირის სისქე - 0.5სმ; ძირის დმ. - 9.5სმ.



სურ. 46. სამარხი N10. ბრინჯაოს რგოლი ბრინჯაოს მძივაკით (5 ცალი). ყველაზე დიდი ბრინჯაოს რგოლის დმ. - 2.1სმ, სისქე ყველაზე განიერ მონაკვეთში - 6მმ; ბრინჯაოს მძივაკის ზომები: 1.1x0.8სმ; თავების დმ. - 1.1სმ., სისქე - 3მმ.



სურ. 47. სამარხი N10. ბრინჯაოს მასიური მძივი, სიმაღლე - 3.1სმ; თავების დმ. - 1.2სმ; თავების სისქე - 3.5მმ.



სურ. 48. სამარხი N10. ხატისუღელი, ვერცხლის, თავგახსნილი, მრგვალდეროიანი. ზომები: დიამეტრი - 13.5სმ; ღეროს სისქე - 0.4სმ; თავების სისქე - 0.6სმ.



სურ. 49. სამარხი N10. ოქროს საყურე რგოლები, წყვილი, გახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებგახვრეტილი.



სურ. 50. სამარხი N10. ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 51. სამარხი N10. რკინის ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები.



სურ. 52. სამარხი N10. რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები, ძლიერ დაზიანებული. შუბისპირის შემორჩენილი სიგრძე მასრამდე - 14სმ; მასრის დმ. - 2სმ.




სურ. 53. სამარხი N10. რკინის მახვილის (?) ფრაგმენტები, ძლიერ დაზიანებული.



სურ. 54. სამარხი N10



სურ. 55. სამარხი N10



სურ. 56. სამარხი N12. ხელადა, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, ოდნავ დაშვებული სფერული მუცლითა და ბრტყელი ძირით. ყური განივკვეთში ნახევრადოვალური მოყვანილობის, შებრტყელებული ზურგითა და გვერდებით. მიმერწილი აქვს პირისა და მუცლის არეში. ხელადას შემოუყვება ერთი ვიწრო სარტყელი, რომლის ქვემოთაც თავით ქვედაშვებული სამკუთხედების რიგია განთავსებული. მათი წვერები მუცლის ყველაზე გამობერილ მონაკვეთზე ხვდება. სამკუთხედები შევსებულია წითელი საღებავით. სამკუთხედებსა და სარტყელს შორის არსებული სივრცე გაფორმებულია წერტილებით. მოხატულობის კვალი სუსტად ჩანს მხარსა და ყურის არეზეც. ხელადის ზომებია: სიმაღლე - 16.5სმ; პირის დმ. - 6.5სმ; მუცლის დმ. - 13სმ; ძირის დმ. - 7.6სმ.



სურ. 57. სამარხი N12. ყურმილიანი სასმისი, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირით. მაქსიმალური სიმაღლე (მილის ჩათვლით) - 12სმ; პირის დმ. - 5.5სმ; მუცლის დმ. - 7.5სმ; ძირის დმ. - 6სმ.; მილის სიმაღლე - 7სმ.



სურ. 58. სამარხი N12



სურ. 59. სამარხი N13. ხელადა, თიხის, შავადნაპრიალები, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაქანებული მხრებითა და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირისა და მხარიდან მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 16.5სმ; პირის დმ. - 6.5სმ; პირის სისქე - სმ; მუცლის დმ. - 13სმ; ძირის დმ. - 7.6სმ.



სურ. 60. სამარხი N13. რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ძლიერ დაზიანებული.



სურ. 61. სამარხი N13. ბრინჯაოს (?) საყურე რგოლები, წყვილი, ბოლოებგახვრეტილი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი (ბოლოებდაზიანებული). ზომები: 1. დიამეტრი - 2.3x2.3სმ; სისქე - 3მმ. 2. დიამეტრი - 2.3x2.3სმ; სისქე - 3მმ.



სურ. 62. სამარხი N13. ოთხწახნაგა პირამიდის ფორმის, მოცისფრო-მოშაბიამნისფრო საკიდები (4ც.); ბიკონუსური მძივი (1ც.); სხვადასხვა ფერის მინის მრგვალი მძივები (7ც.).



სურ. 63. სამარხი N14. ქოთანი, თიხის, ჩალისფერი, გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, ოდნავ მომრგვალებული მუცლით, ბრტყელი ძირით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიპერწილი აქვს ყელიდან მხარზე გადასვლისა და მუცლის არეში. პირნაკული. სიმაღლე - 13სმ; პირის დმ. - 7.5სმ; მუცლის დმ. - 13სმ; ძირის დმ. - 7.2სმ.



სურ. 64. სამარხი N14. ჯამი, თიხის, პირგადაშლილი, ჩალისფერი კეცით, წითლად შეღებილი, ღრუქუსლიანი. სიმაღლე - 4.5სმ; პირის დმ. - 19.5სმ; ქუსლის დმ. - 6.4სმ; ქუსლის სიღრმე - 1სმ.



სურ. 65. სამარხი N14



სურ. 66. სამარხი N14. რკინის შუბისპირი, ხის ტარის ჩასამაგრებელ მონაკვეთში ბრინჯაოს თხელი სარტყელით.



სურ. 67. სამარხი N15 (უინვენტარო).



სურ. 68. სამარხი N16. ხელადა, თიხის, მოწითალო კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; ვიწრო, გამოყვანილი ყელით, დაშვებული მხრებით; ოდნავ დაწეული, მომრგვალებული მუცლით; ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელისა და მუცლის არეში. სიმაღლე - 15სმ; პირის დმ. - 6.4სმ; მუცლის დმ. - 10.5სმ; ძირის დმ. - 5.4სმ.



სურ. 69. სამარხი N16. ყურიანი ჯამი, ყავისფერი კეცით, შავი ლაქებით, პირმოყრილი, გარეთ გადმოკეცილი ტუჩით, ყური განივკვეთში ბრტყელი, მიძერწილია პირსა და მხარის არეში. სიმაღლე - 5სმ; პირის დმ. - 14.9სმ; ტუჩის გადაკეცვა - 1სმ; პირის სისქე - 0.4სმ; ძირის დმ. - 7.5სმ.



სურ. 70-71. სამარხი N16. რკინის ფარაკიანი ბეჭდებისა და ბურცობებიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 72. სამარხი N16. კვირისტავი (?), კიდეზე შემოუყვება ჩადარული ვიწრო ხაზების სარტყელი. გატეხილი, კიდეზე ოდნავ ნაკლული. მიახლოებითი ზომები: დიამეტრი - 3სმ; ნახვრეტის დმ. - 6მმ; სისქე შუა ნაწილში - 6მმ., კიდეზე - 4მმ.



სურ. 73. სამარხი N17. ხელადა, თიხის, ყავისფერი კეცითა და ზედაპირზე შავპრიალა ლაქებით, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაქანებული მხრებით და ოდნავ დაშვებული მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირისა და მხარიდან მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 17სმ; პირის დმ. - 6.5სმ; პირის სისქე - 5მმ; მუცლის დმ. - 12.4სმ; ძირის დმ. - 7.5სმ.




სურ. 74. სამარხი N17. ყურიანი ჯამი, თიხის, გარეთ გადაკეცილი ტუჩით, პირიდან ძირზე გადასვლის მონაკვეთი გამოყოფილია მკვეთრი წიბოთი. ბრტყელგანივკვეთიანი, გვერდებზე მომრგვალებული ყური მიძერწილია პირსა და წიბოზე გადასვლის მონაკვეთში. სიმაღლე - 6სმ; პირის დმ. - 17.5სმ; პირის სისქე - 6მმ; ძირის დმ. - 9.4სმ.



სურ. 75. სამარხი N17. ბურცობეზიანი რკინის სამაჯურის ფრაგმენტები.



სურ. 76. სამარხი N17. რკინის ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები.



სურ. 77. სამარხი N16-N17. გეგმა (გ. ბურჯანაძე).



სურ. 78. სამარხი N18. ყურმილიანი სასმისი, თიხის, ჩალისფერი კეცით, წითლად შეღებილი, ძაბრისებურად გადაშლილი პირით; დაბალი, გამოყვანილი ყელით, ოდნავ დაშვებული მხრებითა და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. მაქსიმალური სიმაღლე (მილის ჩათვლით) - 10.4სმ; პირის დმ. - 5x4.5სმ; მუცლის დმ. - 8.8სმ; ძირის დმ. - 6.8სმ; მილის სიმაღლე - 5.5სმ.




სურ. 79. სამარხი N18. ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, წითლად შეღებილი, პირგადაკეცილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 3.5სმ; პირის დმ. - 18.5სმ; პირის სისქე - 4მმ; ძირის დმ. - 8სმ.



სურ. 80. სამარხი N19. ხელადა, თიხის, მოწითალო-მოყავისფრო კეცით, წითლად მოხატული (მოხატულობა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი), ძაბრისებურად გადაშლილი პირით, დაქანებული მხრებითა და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილია პირისა და მხარიდან მუცელზე გადასვლის არეში. სიმაღლე - 16სმ; პირის დმ. - 6.8სმ; პირის სისქე - 5მმ; მუცლის დმ. - 14.5სმ; ძირის დმ. - 8.2სმ.



სურ. 81-82. სამარხი N19. სარდიონისა და აქატის მძივები; შეწყვილებული ოქროს მძივები.



სურ. 83. სამარხი N20. ხელადა, თიხის, სამტუჩა, მოწითალო-ჩალისფერი, ოდნავ გამოყვანილი ყელით, დაშვებული მხრებითა და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირისა და მუცლის მონაკვეთში. სიმაღლე - 18სმ; პირის დმ. - 5.2x6.4სმ; პირის სისქე - 5მმ; მუცლის დმ. - 13.4სმ; ძირის დმ. - 8.6სმ.



სურ. 84. სამარხი N20. ჯამი, თიხის, ყავისფერი კეცით, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. სიმაღლე - 5.5სმ; პირის დმ. - 18.1სმ; პირის სისქე - 5მმ; ძირის დმ. - 7.4სმ.



სურ. 85. სამარხი N20. მინისა და სარდიონის მძივები.




სურ. 86. სამარხი N20. რკინის ფარაკიანი ბეჭდის ფრაგმენტები.



სურ. 87. სამარხი N20

ოხერახევის სამაროვანი (სამარხი #20)



სურ. 88. სამარხი N20. გეგმა (გ. ბურჯანაძე).



სურ. 89. სამარხი N21. ხელადა, თიხის, ჩალისფერი, წითლად მოხატული, ძაბრისებურად გადაშლილი პირით, ოდნავ დაშვებული მხრებითა და მომრგვალებული მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანივკვეთიანი ყური დამერწილია პირისა და მუცლის მონაკვეთში. მუცლის ყველაზე გამობერილ მონაკვეთზე ხელადას შემოსდევს სამი ვიწრო სარტყელი. ზედა სარტყელზე დაფუძნებულია ერთმანეთში ჩასმული ოთხი სამკუთხედი, რომელთა გვერდებიც გაფორმებულია ბადისებური შტრიხებით. წითლად მოხატული, წყვილი ზოლები დაუყვება ყურზეც. ზომები: სიმაღლე - 17.2სმ; პირის დმ. - 5.5სმ; მუცლის დმ. - 13.2სმ; ძირის დმ. - 19.5სმ.




სურ. 90. სამარხი N21. ჯამი, თიხის, მოწითალო კეცით, პირმოყრილი, გარეთ გადაკეცილი ტუჩით, ბრტყელძირიანი. სიმაღლე - 6სმ; პირის დმ. - 17.4სმ; პირის სისქე - 4მმ; ძირის დმ. - 12სმ; ტუჩის გადაკეცვა - 1სმ.



სურ. 91. სამარხი N21. რკინის შუბისპირისა და მასრის ფრაგმენტები.



სურ. 92. სამარხი N21. ბრინჯაოს (?) რგოლი და წკირი. რგოლი თავგახსნილი, თანაბარღეროიანი, ძლიერ დაზიანებული. დიამეტრი - 2.2; ღეროს სისქე - 4მმ.



სურ. 93. ტოპოგეგმა საცდელი თხრილისა და სამარხების აღნიშვნით.




სურ. 94. საცდელი თხრილი ბორცვის დაფერდებაზე.




სურ. 95-96. საკონტროლო ჭრილების ასახულობა წყალსაცავის სიახლოვეს არსებულ კედელზე.





სურ. 97-98. საკონტროლო ჭრილი ქედის ძირში გამოვლენილ კედელთან.



ნახ. 1. სამაროვნის მონაკვეთი. არქეოლოგიური ველის გეგმა (გ. ყიფიანი).




ნახ. 2. სამარხი N1 და N2 (გ. ყიფიანი).




ნახ. 3. სამარხი N3 და N4 (გ. ყიფიანი).




ნახ. 4. სამარხი N6 (გ. ყიფიანი).




ნახ. 5. კედლის წოზა და წოზიდან დაცურებული ქვის მასივი (გ. ყიფიანი).



ნახ. 6. კედლის ჭრილი (გ. ყიფიანი).



ნახ. 7. კედლის ანაზომი (გ. ყიფიანი).



ნახ. 8. კედლის ჭრილი (გ. ყიფიანი).

გრაკლიანი გორის 2019 წლის გათხრების მოკლე ანგარიში.

გრაკლიანი გორა მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფლების სამთავისისა და იგოეთის მიწებზე (კოორდინატები: 41-59'48.39". 41-24'13.98").

2019 წლის საველე სეზონი გრაკლიან გორაზე (სურ. 1) დაიწყო პირველ ტერასაზე ჩატარებული გადარჩენითი სამუშაოებით, რის შედეგადაც გამოვლინდა ძვ.წ. XII – III საუკუნეების ნაშთები (შენობები, სამარხები). სამწუხაროდ, გზის (58-ე კმ, სათადარიგო გზა) ამ მონაკვეთის მშენებლობის დროს დაზიანდა გვიანი ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის სამაროვნის ნაწილი, რომლის ერთი მონაკვეთი შევისწავლეთ, ხოლო დანარჩენის შემდგომი დაფინანსების საკითხი ღიად დარჩა.

ძირითადი სამუშაოები განხორციელდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ადგილებზე - მესამე და მეოთხე ტერასებზე.

1. გრაკლიანი გორის პირველი ტერასის გათხრების შედეგი.

იგოეთი-გამდლისწყაროს დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დროს მძიმე ტექნიკით ფერდობის ჩამოსწორებისას ჭრილში გამოჩნდა კულტურული ფენები.

ტერიტორია წარმოადგენს გრაკლიანი გორის ეროვნული მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლის პირველ ტერასას (ტაბ. 2ა).

ფართობზე, რომლის შესასწავლი არეალის სიგრძე არის 80 მეტრი, ხოლო სიგანე 2 მეტრი, გათხრები დაიწყო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 2 მეტრის სიგანის დერეფანში (ეს სიგანე განპირობებულია იმ გამბიონის პარამეტრებით, რომელიც საერთაშორისო ავტომაგისტრალის შესამაგრებლად შენდება). აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ორმოები (№3 ორმოს ზედა ნაწილი დაზიანებული იყო ტექნიკის მიერ. ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 70 სმ-ის სიღრმეზე, გამოვლინდა ცხოველის (სავარაუდოდ, ძაღლის) ჩონჩხი. ორმოს დიამეტრია 1,40 სმ. სიღრმე - 1,10 სმ. ძაღლის ჩონჩხის აღმოჩენა საყურადღებო ფაქტია, რადგან იგი დაკავშირებულია ძაღლის დაკრძალვის კულტთან და ეს გრაკლიანზე ამ უჩვეული რელიგიური ტრადიციის დამკვიდრების მესამე შემთხვევაა), აგრეთვე ძვ.წ. XII-XI საუკუნეების შენობის ძლიერ დაზიანებული ნაშთი. სათავსო ძლიერ არის დაზიანებული ტექნიკის მიერ. თხრილის მოელს ფართობზე გამოვლინდა ბათქაშის დიდი რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს დანგრეული კედლის ნაწილებია. აღნიშნულ სათავსოში აღმოჩნდა როგორც

მოწითალოდ, ასევე შავად გამომწვარი კერამიკული ნაწარმი. სათავსოს ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში გაითხარა ღუმელი (სურ. 2ბ). ღუმელი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ საცხობი კამერა და სანაცრე ორმოს მცირე ნაწილი. ღუმლის სიგრძე (აღმ-დას ღერძზე) 95 სმ-ია, სიმაღლე - 80 სმ, სიგანე 60 სმ. საცხობი კამერის თალი ნახევარ-ოვალის ფორმისაა, თალის სიგრძე - 47 სმ, მაქსიმალური სიმაღლე - 25 სმ. თაღს ქვემოთ ღუმელს აქვს, მართკუთხედის ფორმის ფოსო, რომელიც ამოღესილია და გრძელდება კედლიდან სანაცრე ორმოს ჩრდილოეთ კუთხემდე. ღუმლის გადახურვა ჰორიზონტალურია. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია მცირე ზომის ოთხკუთხა ქონგური, რომლის ზომაა 24X18 სმ. და ანალოგიურია მესამე ტერასის № III - 5 შენობაში შემორჩენილი ღუმელის ქონგურისა, რომელიც კარგად არის დათარიღებული ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამავე მონაკვეთში გამოვლენილი სამარხები, რომლებშიც დაღუპული ბავშვები არიან დაკრძალული. ასეთი სამი სამარხია. ერთ-ერთი მათგანი - № 2 სამარხი დერგსამარხია, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვია დაკრძალული. სავარაუდოდ, იგი 38-40 კვირის ინდივიდია. ასაკი განისაზღვრა მარჯვენა თეძოს ძვლისა (სიგრძე - 33 მმ, სიგანე - 30 მმ) და მარჯვენა ბარძაყის (სიგრძე - 105 მმ) ძვლის ზომების მიხედვით. შესაბამისად, ბავშვი დაბადებისთანავეა დაღუპული (ანალიზი ჩაატარა დოქტორანტმა ნ. თავართქილაძემ). დერგსამარხში აღმოჩნდა 62 ცალი ლურჯი ფერის პასტის მძივი და ბრინჯაოს ორი საყურე რგოლი. დერგის მაქსიმალური დიამეტრია 60 სმ. დერგში მცირეწლოვანი ბავშვების დაკრძალვა, როგორც ჩანს, წარმართულ საქართველოში მიღებული ტრადიციას, რადგან ასეთივე სამარხი აწყურის გათხრების დროსაც არის აღმოჩენილი. სამარხი ძვ.წ. IV-III საუკუნეებს განეკუთვნება.

ამავე ტერასის დასავლეთ მონაკვეთში გაითხარა მშენებლობის დროს დაზიანებული რკინის ხანის რამოდენიმე ორმოსამარხი. მაგალითად, სამარხი 19-1-4 წარმოადგენდა ორმოსამარხს, რომელშიც ერთი ინდივიდი იყო დაკრძალული ემბრიონალურ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე. ინვენტარის მიხედვით (ხელადა, ე.წ. „ნესტრისებრი“ ისრისპირები; შეად. ნარეკვავის სამარხების 83, 95,96 ინვენტარი) სამარხი ძვ.წ. VIII – VII საუკუნეებით თარიღდება (სურ. 3 ა, ბ, ც, დ).

2. გრაკლიანი გორის მესამე და მეოთხე ტერასების გათხრების შედეგი (სურ. 4ა).

ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მესამე ტერასის III - 6 შენობის კვლევაზე (77-ე ნაკვეთი, 8 - 9 - 8 - 9 კვადრატები).

ამ ნაკვეთში სამუშაოები გასულ წელს დაიყო. წინა წლებში გამოვლენილი სამკედლოს ნაშთები მოიხსნა იმ მიზნით, რომ გამოვლენილიყო ადრეული (გრაკლიანის ცენტრალური წარწერის სინქრონული) კონტსრუქციის ნაშთები.

ასეც მოხდა - გამოვლენილი ნაშთები სინქრონულია წარწერებიანი ტაძრის და შესაბამისად, მესამე ტერასზე ამ ხანის (ძვ.წ. X საუკუნე) უკვე სამი შენობა გამოიკვეთა. სრულიად აშკარად წარწერების სინქრონული ნაშთები არის ასევე მეოთხე ტერასის დასავლეთ ნაწილშიც, თუმცა - მიუხედავად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მცდელობისა, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო, მისი გამოვლენა, ალბათ, ვერ მოხერხდება და ამდენად, სამწუხაროდ, სხვა წარწერების აღმოჩენის ალბათობაც მკვეთრად შემცირდება.

8 - 9 კვადრატებში გასულ წელს გამოვლენილი შენობის პერიმეტრზე გაგრძელდა გაწმენდითი სამუშაო. ჩრდილოეთი ჭრილიდან სამხრეთით 20 სმ-ში გამოვლინდა ქვების წყობა, რომელსაც გარეშემო ემჩნევა ნალესობის კვალი. აღნიშნული კედლის წყობა სავარაუდოდ წარმოადგენს კედლის ფრაგმენტს, რომლის სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე 1,20 სმ-ია. აღნიშნულ კედლის ფრაგმენტის აღმოსავლეთით შეიმჩნეოდა მოწითალო ფერის კონტური, რომლის გაწმენდის შედეგადაც გამოიკვეთა ღუმელი. ღუმელი ძლიერ არის დაზიანებული. მას წინა მხარე, გვიანდელი ანუ ძვ.წ. მეხუთე საუკუნის მშენებლობის დროს, მთლიანად არის ჩამოჭრილი. ღუმელის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ფენად არის დალაგებული თიხის ჭურჭლის ნატეხები. შემორჩენილი აქვს დასავლეთი მხარე, რომლის სიგრძეც 60-70 სმ-ია. ღუმელის სამხრეთით დაფიქსირდა ბაქანი, რომელზეც აღმოჩნდა კერამიკის - უმეტესად, ნაცრისფერკეციანის - ფრაგმენტები. ბაქანის სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე 1 მეტრია, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე 60 სმ. ბაქანის სამხრეთით გამოვლინდა დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

მე-9 კვადრატში, ჩრდილოეთ ჭრილიდან სამხრეთის მიმართულებით 1,60-1,65 სმ-ის მოშორებით დაფიქსირებულია მოწითალო ფერის ნალესობა, რომელიც კედლის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული ნალესობა აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე 80 სმ-ია, ხოლო ჩრდილო-სამხრეთ ღერძზე 15 სმ.

აღნიშნულ კვადრატში დაფიქსირებულია დამწვარი ნივნივების პატარა ფრაგმენტები, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდაა ჩალაგებული. აღმოსავლეთიდან პირველი ფრაგმენტი ჩალაგებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, ერთმანეთის პარალელურად, მესამე - ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე, მეოთხე კვლავ აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე მდებარეობს, ხოლო ბოლო, მეხუთე ნივნივის ფრაგმენტი ჩრდილოეთ-სამხრეთზეა ორიენტირებული. პირველი ფრაგმენტის სიგრძე 10 სმ-ია, მეორესი - 20 სმ, მესამესი - 12 სმ, მეოთხესი - 12 სმ, ხოლო მეხუთის - 15 სმ. მთელ პერიმეტრზე შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით ნახშირი.

ოთახის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში (8 - 9 კვადრატებში) გამოვლინდა ერთ ხაზზე განლაგებული ორი ორმო. პირველი ორმო მდებარეობს უშუალოდ ოთახის ჩრდილოეთ ჭრილიდან სამხრეთით 14 სმ-ში. ორმოს სიღრმე 50 სმ, ხოლო დიამეტრი 25 სმ., ხოლო მეორე ორმო - ჩრდილოეთ ჭრილიდან სამხრეთით 2,50 მ-ში მდებარეობს. ორმო 45 სმ. სიღრმისაა, დიამეტრი 20 სმ. ორმოებს შორის მანძილი შეადგენს 2,36 მ-ს. ჩულებრივ, ამ დიამეტრის მქონე ორმოები საყრდენი ძელების ჩასადგმელად არის განკუთვნილი.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეოთხე ტერასის № IV-6 შენობას. ნამოსახლარის მეოთხე ტერასაზე გათხრლ № IV-6 სათავსოში, რომელშიც ცეცხლის საკურთხეველი, ქურუმების კუთვნილი ცეცხლის გადასატანი ლარნაკები და რკინის ძლიერ კოროზირებული ნივთებია მიკვლეული, იატაკის ქვეშ დაფლული რკინის ნივთების მცირე განძი აღმოჩნდა (ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე). ნივთები ხის ყუთში იყო ჩალაგებული და მიუხედავად ძალიან ძლიერი კოროზიისა, მოხერხდა ცალკეული ნიმუშების იდენტიფიცირება. ესენია: შუბისპირი, ცხენის აღკაზმულობის დეტალი (დეკორირებული საყბურე), ხისტარიანი სადგისი, დანა. აქვე იღო ძვლის (თხის *ეტაცარპალია*-ს ნაწილი) ნივთი, რომელზეც ირიბი ნაჭდევებია გაკეთებული (თითქოს დათვლილია რაღაც). დანარჩენი ინვენტარი ჯერ არ არის იდენტიფიცირებული და ამიტომ, ამ ეტაპზე, ეს მონაპოვარი “მხედრის განძის” შთაბეჭდილებას ტოვებს. შენობის დასავლეთ სათავსოში ჩნდება დიდი რაოდენობით *ინ სიტუ* ჩამსხვრეული კერამიკა (სურ. 4ბ), რომელიც, როგორც ჩანს, დასავლეთ კედელზე მიდგმულ თაროებზე იყო დალაგებული და ხანძრის გამო ჩამოქცეულ კონსტრუქციაში ჩაიმსხვრა.


ნამოსახლარის კვლევის პარალელურად სამუშაოები გაგრძელდა მეოთხე ტერასის სამაროვანზეც. სამაროვნის ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრების დროს

მიკვლეულია ორ იარუსზე განლაგებული სამარხი, რომელშიც მიცვალებულთან ერთად დაკრძალულია ცხენი (სამარხი № 19-4). მიცვალებული დაკრძალულია ემბრიონალურ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ (სურ. 4ც. 1). სამარხი ორმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ჩონჩხისაგან 50 სმ-ის დაშორებით, ჩაფლული იყო სამარხეული ინვენტარი (ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი), რომელშიც კერამიკულ მასალასთან და მძივებთან ერთად, აღმოჩნდა: ა) ვერცხლისაგან დამზადებული ორი ზურგშეზნექილი და უხვად დეკორირებული სამაჯური, რომლებიც ზუსტად იმეორებს ვანის მდიდრულ (№24) სამარხში აღმოჩენილ ცალებს (თუმცა, ვანის სამაჯურები ოქროსაგანაა დამზადებული); ბ) ამავე დეკორით დამშვენებული ვერცხლის მასიური ხატისუდელი; გ) ვერცხლის შუბლის სარტყელი (დიადემა), რომელიც იშვიათ აღმოჩენათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან საქართველოში აქამდე ამ ტიპის მხოლოდ ორი სარტყელი იყო ცნობილი; დ) ვერცხლის კოვზი; ე) ბრინჯაოს ფიბულა; ე) ვერცხლის დიდი; ვ) ოქროს ორი საკიდი რგოლი (სურ. 4ც. 2დ).

აღმოჩენილი მასალა ინახება გრაკლიანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

საველე სამუშაოებს სხვადასხვა უბანზე ხელმძღვანელობდნენ: დ. ტური-აშვილი, ო. ბენაშვილი, ს. კოხრეიძე, ა. ნადირაშვილი, ბ. გელაშვილი, მ. ნავე-რიანი, თ. ჩილინგარაშვილი.

ტაბულები:



ტაბ. 1




ტაბ. 2ა



ტაბ. 2ბ



ტაბ. 3ა. სამარხი 19-1-4




ტაბ. 3ბ, სამარხი 19-1-4, დოქი



ტაბ. 3ვ, სამარხი 19-1-4, ე.წ. ნესტარისებური ისრისპირები




ტაბ. 3დ, სამარხი 19-1-4, ბრინჯაოს ისრისპირი



ტაბ. 4ა, გრაკლიანი გორის მესამე და მეოთხე ტერასების გეგმა



ტაბ. 4ბ



ცაბ. 4გ



ტაბ. შენობა-ნ. თაროებიდან ჩამოცვენილი კერამიკა. ტაბ. IVბ

აფხაზეთი როგორც კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის
არქეოლოგიური კულტურების განუყოფელი ნაწილი

საქართველოს განუყოფელი ნაწილი აფხაზეთის ტერიტორია (ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი) პროტოკოლხური¹ და ძველი კოლხური კულტურების (ბრინჯაო-ადრერკინის ხანა) გავრცელების ერთ-ერთ წამყვან რეგიონს წარმოადგენდა. აქ გამოვლენილია წინარე და ძველი კოლხური კულტურების სხვადასხვა კატეგორიის ძეგლები: ნასახლარები, სამაროვნები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, სამთამადნო წარმოების ძეგლები, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები, რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებული ქურები, ბრინჯაო-ადრერკინის ხანის მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ცალკეული არტეფაქტები და ა.შ. ამ კატეგორიის ძეგლების შესახებ არსებული მონაცემები სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაშია გაფანტული. არსებობს ზოგიერთი კატეგორიის ძეგლების გავრცელებაზე შედგენილი არქეოლოგიური რუკები; ანდა ისინი ერთიანი კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებთან ერთად არსებულ რუკებზეა დატანილი [Воронин 1969: 17-41; აფაქიძე 2006: 66-88, ტაბ. I; პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 127-132, ტაბ. I; ჯიბლაძე 2007: 186-187, ტაბ. I; ჯიბლაძე 2020: 80-98, ტაბ. I, II; ბარამიძე და სხვ. 2013: 65 ტაბ. I].

¹ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი პროტოკოლხური კულტურა [მიქელაძე 1974: 49], რომლის I ეტაპი შეესაბამება კოლხეთის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას, ხოლო მოგვიანო II ეტაპი კი შუაბრინჯაოს ხანას, უფრო ისტორიული ხასიათისაა და ეთნიკური დატვირთვაც გააჩნია. ამიტომ უფრო მართებულად მიაჩნიათ მის ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც გავრცელებული ყოფილა კოლხეთის შავიზღვისპირეთის მთელ სიგრძეზე [ფხაკაძე 1998: 32-41; Пхакаძე 2009-2010: 75]. ამ კულტურის შიდა პერიოდიზაციაში გამოყოფენ ადრეულ, განვითარებულ და ფინალური ეტაპის ძეგლებს, სადაც სხვადასხვა საფეხურზე გაერთიანებულია ჩვენი აზრით განსხვავებული, მაგრამ მონათესავე კულტურების მატარებელი ძეგლები როგორცაა: ისპანი, ფიჩორი (VII, VIII ფენები), ოჩამჩირე, ვორონცოვის ორსართულიანი გამოქვაბული („ოჩაყნის, კოლოკოლნის, ზალოყნის“ ფარდულები), აფხაზეთის დოლმენები და ა.შ. ამ ფაქტს ხსნიან კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის ერთიანი კულტურის შიდა სივრცეში ლოკალური ვარიანტების არსებობით [ფხაკაძე 1993: 82-83, ფხაკაძე 1998: 35].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება ნამოსახლართა სხვადასხვა ტიპი: მდ. ენგურსა და მდ. კოდორს შუა განფენილ ზღვისპირა ჭაობიან, დაბლობ ზოლში, ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე, სადაც ძირითადად იგულისხმება გალის რაიონი,² გავრცელებულია ხელოვნურად გამართული მრავალფენიანი და სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის დიხა-გუძუბები (ფიჩორის ნამოსახლართა სისტემა, ნაკარდალი, ჯვარალების, ესართიების, გაგუების ბორცვები, გაგიდა, ხუმუშქურის ბორცვი, გალის მზიურის გუძუბა, რეფო-შეშელეთი, ოჩამჩირე (დასავლეთით მდებარე გუძუბა, აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდ განლაგებული იყო სამი ბორცვი), თაგილონის „წიფურია“, ტამიში და სხვ.) [Куртин 1950: 250-255; Барамидзе и друг. 1982: 90-99; Барамидзе и друг. 1987: 42-47; ჯიბლაძე 1997: 30-37; ჯიბლაძე, ხვისტანი, 2006: 62-66; ჯიბლაძე 2007: 13-20; ჩიგოშვილი 1999; ბარამიძე და სხვ. 2013: 14-35; კილანავა 2009: 178; ბარამიძე 2017: 8-27].

როგორც კოლხეთის დაბლობის სხვა რეგიონებში, აქაც ძველი სამურზაყანოს ტერიტორიაზე, ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარების სახელწოდებები ხშირად უკავშირდება სოფლებს, უბნებს, გვარებს, მდინარეებს და ა.შ. ისინი წარმოადგენენ პირდაპირ გაგრძელებას კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილი ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლართა სისტემების, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა დასახელებით [ჯიბლაძე, პაპუაშვილი 2013: 100-113]. გალის ჩრდილოეთით კოლხეთის ბარისათვის დამახასიათებელი ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარების გავრცელების უკიდურესი საზღვარია ტამიშის ნამოსახლართა სისტემა [ჩიგოშვილი 2006: 134; ჯიბლაძე 2007: 15; ბარამიძე და სხვ. 2013: 31; Габелия 2014: 130]. შემდეგ კი რელიეფი იცვლება, ტერიტორია გადადის ბორცვოვან ზოლში და ხელოვნური ბორცვების გამართვა აღარ წარმოადგენდა საჭიროებას.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემდეგი ჯგუფი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარების, გამართულია მთისწინა და მთიან ზოლში, ბუნებრივ ბორცვებზე, მთის კალთებზე (მთის ტერასაზე), მღვიმე ფარდულებში (გამოქვაბულებში), ასევე

² სამურზაყანო ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, რომელიც მდებარეობს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. იგი როგორც პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე და ძირითადად მოიცავდა ახლანდელი გალის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. 1705 წელს ეს ტერიტორია მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან შარვაშიძემ, რომლის სახელისგან მომდინარეობს მთელი მხარის სახელწოდება.

ციხისა და კლდის ფერდებზე³. ეს ძეგლებია: გუმისთა I, გუმისთა II, აჩანდარა, პალი, ახრა-კაპში, ჯამპალ I, იუპსი, კამან I, კალდახვარა, არასაზისი, ლავინაია ბალკა, ლაპსტა, შრომა, მაჭარა I, ვერეშაგინის მთა, სოხუმის მთა, ათარა არმიანსკაია, აბაჟუ, წარჩე) [კალანდაძე 1953; Бжания 1966: 113-126; Бжания 1973: 65-76; Бжания и друг. 2014; Воронов 1969; ბარამიძე და სხვ. 1990: 18-21; Гუნბა 1990: 13-15; ფხაკაძე 1992: 216-280; ჩიგოშვილი 1999; ჩიგოშვილი 2006: 133-137; ჯიბლაძე 2007: 12-20]; ასევე გვხვდება ნამოსახლარების გამართვა ზღვისპირა და მდინარისპირა დაბალ ტერასებზე (გუანდრა, კისტრიკი, მოქვი, გაგიდა)[Габелия 1984; ჯიბლაძე 2007: 13-14; ჯიბლაძე, ხვისტანი 2006: 62-66; Цвинария 1978]; ვაკე ადგილებზე (ლეჩქოფი, ბომბორა) [Бжания, Габелия 1990: 3-5]. გამოიყოფა ზღვისპირა ზოლში არსებული დიუნური სადგომები (ბიჭვინთა, ახალი ათონი, შიკვუარა, აგუძერა, მაჭარა (2), წითელი შუქურა, ოჩამჩირე II, გუდავა I, გუდავა II-ქვიშაზვინულისგან წარმოქმნილი ბორცვი და სხვ.) [Соловьев 1947: 25-50; Соловьев 1950: 265-286; Воронов 1969; Шамба 1984; თავამაიშვილი 1999; პაპუაშვილი ნ. და სხვ. 2006: 127-132, ჩიგოშვილი 2006: 134; ბარამიძე და სხვ. 2013: 14-34] (ტაბ. I)⁴.

სადღესო მონაცემებით ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა ტიპისა და ქრონოლოგიური დიაპაზონის სამაროვანი, ცალკეული სამარხები, თუ სამარხეული კომპლექსებია ცნობილი (ტაბ. II). დაახლოებით 30-31 პუნქტში გვხვდება დოლმენური სამარხ-ნაგებობები. მათგან სრულად შესწავლილია კიურ-დერეს (ზემო ეშერა), სულის, აზანთას, ოთხარასა და ხაბიუს დოლმენები [ჯაფარიძე 1961: 217-219; ჯაფარიძე 2006: 44-50; Воронов 1982: 14-17; Цвинария 1990]. დანარჩენი კი დაზვერვებითაა ცნობილი. ასევე რამდენიმე პუნქტში (პრცხა-ყოფილი როჟდესტვენსკი, ახუპაჩი, აზანთა, სოხუმის ჰესი) გვხვდება ქვაყუთები და დოლმენური კონსტრუქციის მქონე ქვის ფილებით გამართული სამარხები [Иващенко 1935: 85; Лукин 1941: 67; Бгажба, Воронов 1982: 14; Марковин 1978: 50; Марковин 1994: 228-253].

დოლმენები გვხვდება ჯგუფ-ჯგუფად როგორც ზღვისპირა, ისე შიდა მთიან მხარეში, რომელთაც ზომების მიხედვით ყოფენ სამ ჯგუფად: მომცრო, საშუალო და

³ ზოგიერთ კასტრულ მღვიმე-გამოქვაბულში (პალი, ახრა-კაპში და სხვ.) დაფიქსირდა თიხატყეპნილი იატაკის ნაშთები, შიგ ჩალეწილი კერებით [Бжания 1973 : 65-71]. როგორც აღნიშნავენ, იუპსის ნამოსახლარზე გამოიყო ოჩამჩირული და მაიკოპური კულტურის მასალები, ასევე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის მეორადი დაკრძალვის ორი სამარხი ორმო [Скаков 2015: 127].

⁴ კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების გავრცელების რუკა შედგენილია ჩვენს მიერ, სადაც პუნქტების ჩამონათვალთან ერთად სრულად იქნა ასახული აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ამ პერიოდის ნამოსახლარები [ჯიბლაძე 2007: 186, 194, ტაბ. I]

მოზრდილ დოლმენებად [ფხაკაძე 1992: 240; ჯაფარიძე 2003: 132]⁵. თავის დროზე ბ.კუფტინმა ამ ტიპის მეგალითურ ნაგებობაში სამი ფენა გამოყო: ბრინჯაოს ადრეული საფეხური (მვ.წ. III ათასწლეულის დასასრული), შუაბრინჯაოს ხანა და მესამე ფენა კი განსაზღვრა კოლხური მონეტით. უფრო გვიან ამ კლასიფიკაციას დაუმატეს გვიანი ბრინჯაოს ხანა [ჯაფარიძე 1961: 217]. ადრეობრივ ხანის მასალები ძირითადად წარმოდგენილია მომცრო და საშუალო ზომის დოლმენებში, რომელთაც უპირატესად ტრაპეციის ფორმა გააჩნიათ [ჯაფარიძე 2003: 132]. საერთოდ დასავლეთ კავკასიაში დაწყებული ტამანის ნახევარკუნძულიდან ვიდრე ოჩამჩირემდე (ბედია) დოლმენური სამარხ-ნაგებობები განფენილია მთიანი ტყის მასივებში, შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ 480 კმ. სიგრძეზე (მათი გავრცელების სიფართოე 30 კმ-დან 75 კმ-მდეა). ბოლო პერიოდამდე სულ 194 პუნქტში 564 დოლმენური ნაგებობა იყო ცნობილი [Марковин 1978: რუკა 20; Марковин 1994: 228-253].

მკვლევართა ნაწილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ დოლმენურ ნაგებობებს აკუთვნებს კოლხეთის დაბლობისა და მისი ბორცვოვანი ზოლის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურას [ჯაფარიძე 1976: 190-191; ფხაკაძე 1992: 238-239; ფხაკაძე 1993: 83,110]. თითქოსდა ამ ერთგვაროვანი კულტურის წრეში მდ. გუმისთის ჩრდილოეთით გამოყოფენ ლოკალურ ვარიანტს თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით: დაკრძალვის წესი, დოლმენები, დასახლებები ტერასაზე, სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხები და სხვა ნიშნები, რომლებიც უფრო განიცდიდნენ ჩრდილოურ გავლენებს მაიკოპ-ნოვოსვაბოდნაიას კულტურის მხრიდან [ზარამიძე 1999:24]. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ დოლმენების გავრცელების მთელი არეალი ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ტერიტორიის ჩათვლით აფხაზურ-ადიღეური ტომების განსახლების ადგილი უნდა ყოფილიყო [Инал-Ифа 1976: 97; Марковин 1978: 183-291].

⁵ მომცრო ზომის დოლმენების ზომებია 2,25 მ, სიმაღლე - 1,20 მ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ყველაზე არქაული მასალები წარმოდგენილია ზემო ეშერის II-III დოლმენებში.

დასავლეთ კავკასიაში კონსტრუქციის მიხედვით გამოყოფენ: I-ქვის ფილებით ნაგებ დოლმენებს, რომლებიც ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხსენებულ რეგიონში, სადაც ამჩნევენ მის ოთხ ვარიანტს [Марковин 1978: III-61-135]; II-შედგენილი დოლმენები იშვიათია, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში არ გვხვდება; გავრცელებულია გობისეზური (ვარცლისეზური) ფორმის დოლმენები და IV-მონოლითური დოლმენები.

ამრიგად, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს მეურნეობის ხასიათით ორ სრულიად განსხვავებულ კულტურასთან. პროტოკოლური დოლმენურისგან განსხვავებით არის ძირითადად ბარის ძეგლების კულტურა, რომლის მატარებელი უძველესი ქართველური-სვანურენოვანი ეთნიკური ნაკადი მისდევდა დამჯდარ მიწათმოქმედებას და მეტალურგიას. შესაძლოა დოლმენური კულტურის მატარებელ ხალხს მუდმივი საბინადრო ადგილები არ გააჩნდა, ეწეოდნენ მომთაბარე-მეჯოგე ცხოვრებას და დაკავებული იყვნენ მეცხოველეობით. როგორც აღინიშნა, ამას ხელს უწყობდა მათი განლაგება ტყიანი მთის მასივებში, სადაც ხელსაყრელი პირობები არსებობდა მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამდენად, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთი უნდა ყოფილიყო ამ ორი მონათესავე კულტურების მატარებელი მოსახლეობის შეხვედრების ადგილი, ერთგვარი საკონტაქტო ზონა.

აფხაზეთში ნაკლებადაა ცნობილი დოლმენური სამარხ-ნაგებობათა შესატყვისი ნამოსახლარები⁶. აღსანიშნავია, რომ ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე (გუმისთა I, გუმისთა II, კამან I, მაჭარა II-III ფენები, ახრა-კაპში, პალი, გუანდრა, შრომა, ივაშჩენკო და სხვ.), რომლებიც შეყავთ სამხრეთ-დოლმენური (ოჩამჩირული) კულტურის გავრცელების არეალში, გამოვლენილია ძალზე თხელი კულტურული ფენები, სადაც არსად დასტურდება ხანგრძლივი ცხოვრების კვალი [Соловьев 1958: 15; Воронин 1971: 17; Бжания 1973:70; Цвинария 1990]. აქედან გამომდინარე შესაძლოა, მოხსენიებული ძეგლები სეზონური, დროებითი საცხოვრებელი სადგომები ყოფილიყო.

როგორც ჩანს, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი დოლმენები, დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული საერთო დოლმენური კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ისინი აქ ატარებენ რამდენადმე განსხვავებულ ლოკალურ ხასიათს, რომლებიც გამოიხატება მთელი რიგი ნიშნების მიხედვით: ტრაპეციისებური ფორმის დოლმენები, საჩხერული ტიპის ლითონის ყუადაქანებული ცულები, კაჟის ისრისპირები და ა.შ. შესაძლოა, ეს ფაქტი გამოწვეული ყოფილიყო იმითაც, რომ ისინი მოქცეული არიან დასავლეთ საქართველოს ადრე და

⁶ ჩრდილო კავკასიაში ამ კულტურის ორი თუ სამი ნამოსახლარია მიკვლეული [Марковин 1978: 232-236].

შუაბრინჯაოს ხანის კულტურების გავრცელების არეალში, უფრო მძლავრად მდ. გუმისთამდე, უფრო სუსტად კი მის ჩრდილოეთით. ის დოლმენები, რომლებიც გამოვლენილია მდინარეების გუმისთისა და ფსოუს ტერიტორიებს შორის უფრო განიცდიდნენ ჩრდილო კავკასიის დოლმენური კულტურის გავლენებს. ეს გამოიხატება დოლმენების ხელოვნური მიწაყრილის ქვეშ მოქცევაში (ოთხარა),⁷ ხუაბის დოლმენში აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიური ყუახვრელიანი ლითონის ცულით, სოჭი-ადლერის ტიპის ქვის თოხების გავრცელებით, განსხვავებული თიხისა და კაჟის ნაწარმით და ა.შ.

დოლმენების მშენებლობა კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ძვ.წ II ათასწლეულის შუა ხანებამდე გაგრძელებულა. მათ უფრო გვიანაც იყენებენ მიცვალებულების დასაკრძალავად. ზოგჯერ აქ მოგვიანო პერიოდის სამარხებიც გვხვდება [ჯაფარიძე 2003: 133]. კოლხეთში დოლმენების დაკრძალვის წესი თითქმის ათას წელს გაგრძელებულა და მთელი არსებობობის მანძილზე თითქმის უცვლელი რჩება. ისინი კოლექტიურ საოჯახო-საგვარეული სამარხებს წარმოადგენდნენ [ჯაფარიძე 2003: 133; 2006: 45], სადაც მიცვალებულების დაკრძალვის წესი არ დგინდება. ძვლები და სამარხეული ინვენტარი ძირითადად შეჯგუფებული იყო დოლმენების კუთხეში.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა და მთიანი ზოლის ნამოსახლარებზე (გუანდრა, მაჭარა, ახრა-კაპში, კამან I, გუმისთა I და ა.შ.) არსად დასტურდება მარცვლეული კულტურის ნაშთები და ბრინჯაოს თოხები [ჯიბლაძე 2007:81]⁸. საფიქრებელია, რომ ამ რეგიონში მიწის დამუშავება ძირითადად ხდებოდა სოჭი-ადლერისა და სოხუმის ტიპის ქვის დისკოსებური ფორმის თოხებით, რომელიც აქ მთელი რიგი ნამოსახლარების კულტურულ ფენებშია წარმოდგენილი (მაჭარა მე-3 ფენა, გუმისთა I, ფსოუ I, გუანდრა B,B ფენები და სხვ.) [Бжания 1966:113-126; Цвинария 1978; ფხაკაძე 1992: 259-260,272-275; ჯიბლაძე 1997: 31-33]. ზოგიერთ ძეგლზე (გუმისთა I) წარმოდგენილია სოხუმის ტიპის 300 ერთეულამდე ქვის დისკოსებრი ფორმის თოხი. ეს ელემენტი ოჩამჩირის ნამოსახლარის უფრო სამხრეთით იშვიათად აღწევს [ჯიბლაძე 2007:55].

XX საუკუნის 50-60-იან წლებში ზოგიერთი მკვლევარი მდინარე ენგურიდან ადლერის ზღვისპირა ზოლამდე გამოყოფდა სამხრეთ-დოლმენურ კულტურას, რომლის

⁷ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ოთხარას დოლმენზე ზემოდან ხელოვნური მიწაყრილი გაკეთებული უნდა იყოს უფრო გვიან. კერძოდ, მასზე შუასაუკუნეების აკლდამის გამართვის შემდეგ [ფხაკაძე 2006:139]

⁸ ბრინჯაოს თოხები, სხვა ლითონის ინვენტართან ერთად, წარმოდგენილია მხოლოდ ოჩამჩირისა (უფრო იშვიათად) და გალის ტერიტორიაზე გამოვლენილ განძებში [აფაქიძე 2006: 73,75-79]

ყველაზე ცნობილ ძეგლებად თვლიდა ოჩამჩირესა და ეშერის დოლმენების ქვედა ფენას [Соловьев 1958: 150; Соловьев 1960: 60,69]. ფიქრობენ, რომ სამხრეთ-დოლმენურ კულტურას მდ. ენგურთან ემიჯნება მონათესავე კულტურა, რომელსაც პირობითად უწოდებენ პროტოკოლხურს და მის ყველაზე ცნობილ ძეგლებად თვლიან დაბლაგომს, ანაკლიის დიხა-გუძუბასა და კოლხეთის დაბლობის სხვა ნამოსახლარებს [Соловьев 1958: 162]. ასევე ტენდენციური იყო კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს განსხვავებული კერამიკული ფორმების დაკავშირება მოსახლეობის შეცვლასთან. კერძოდ, მცირე აზიიდან გადმოსახლებულ ქაშქებთან, რომლებმაც თითქოს აქ მოიტანეს თავისებური თიხის ჭურჭელი და საკუთარი მეტალურგია [Соловьев 1960: 15]. შემდგომში ეს მოსაზრება ძირითადად გაზიარებული იქნა რუსი და აფხაზი მეცნიერების მიერ (შ. ინალ-იფა, ი. ვორონოვი, ვ. ბჟანია, ი. წვინარია, ა.სკაკოვი და სხვ.), რომლებმაც იქაურ სამეცნიერო წრეებში სამხრეთ-დოლმენური კულტურის პარალელურად დაამკვიდრეს `იგივე შინაარსის მქონე ტერმინი ოჩამჩირული კულტურა [Бжания 1973: 71; Воронов 1971: 17; Скаков 2015: 82,130]. ჩვენი ვარაუდით, ამ კულტურის წრეში რამდენადმე განსხვავებულ და მონათესავე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ დოლმენებთან ერთად (კიურ-დერე-ზემო ეშერა, აზანთა, სული, და ა.შ.) მცდარად არის გაერთიანებული ოჩამჩირის ნასახლარი, რომელიც სოჭი-ადლერის ტიპის ორი ქვის თიხითა და ე.წ. კიბისებურ-ორნამენტური კერამიკით, მართალადაც უკავშირდება დოლმენურ კულტურას. მაგრამ ოჩამჩირის ნამოსახლარის იდენტური ძირითადი კერამიკული მასალა მოიცავს მთელი კოლხეთის დაბლობის ტერიტორიას (ფიჩორი VIII-V ფენა, ანაკლია II, ანაკლია I-ქვედა ფენა, დაბლაგომი - ქვედა ფენის ზედა ჰორიზონტი, ჭოლიპა, შემოქმედი, ისპანი და ა.შ.), რაც საეჭვოს ხდის ამ ძეგლის გაერთიანებას დოლმენური კულტურის წრეში. ასევე არასწორად გვეჩვენება თვით ტერმინი ოჩამჩირის კულტურის გაიგივება სამხრეთ დოლმენურ კულტურასთან.⁹ ამ მცდარმა დებულებამ თავის დროზე არაერთი სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა [ჯაფარიძე 1961: 233; ჯიბლაძე 1997: 10-11; ფხაკაძე 1998: 32]. ისიც აღინიშნა, რომ ოჩამჩირის ნამოსახლარი და ეშერის ადრეული დოლმენები უნდა გაერთიანდეს კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის

⁹ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებს (ძვ.წ. XIV-VII სს-ები) ზოგჯერ ხელოვნურად უწოდებენ ოჩამჩირული კულტურის გვიანი საფეხურის ძეგლებს [Воронов 1971: 18-21; Скаков 2015: 82]. ეს არაფერია თუ არა იგივე კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა, რომელიც მძლავრადაა გამოვლენილი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

კულტურაში, რომელსაც საფუძვლად დაედო დასავლეთ საქართველოს ნეოლითი [ჯაფარიძე 1961: 233]. ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვა მკვლევარებმა, რის შემდგომ კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის არეალები კიდევ უფრო გაფართოვდა და ახალი ძეგლები იქნა ჩართული მის შიდა წრეში [ფხაკაძე 1993: 32-37; Пхაკაძე 2009-2010 : 74-86].

რუს და აფხაზ მეცნიერთა (ლ. სოლოვიოვი, ი. ვორონოვი, ვ. ბჟანია, შ. ინალია, ი. წვინარია) შეხედულებების საპირისპიროდ მიჩნეულია, რომ კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე გავრცელებული პროტოკოლხური კულტურის მატარებელი უნდა ყოფილიყო უძველესი ქართველური ეთნიკური კულტურული ნაკადები-სვანურენოვანი და ზანურენოვანი მოსახლეობა (გ. მელიქიშვილი, გ. ორბელი, თ. მიქელაძე, ოთ. ლორთქიფანიძე, მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე) [მიქელაძე 1974: 72; ბარამიძე 1999: 18-19; ჯიბლაძე 2007: 120; ჯიბლაძე 2016: 77-124]. კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მათ კვალს ამჩნევენ როგორც დალექილი უძველესი ფესვების მქონე ტოპონიმებით, ასევე არქეოლოგიური მასალებით [მელიქიშვილი 1965: 60; მიქელაძე 1974: 9-20; ლორთქიფანიძე 1986: 51; მიბჭუანი 1989; გასვიანი 1991: 173-199].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გუმისთა I, მაჭარა, ახრა-კაპში, გუანდრა, ვორონცოვის მღვიმეში გამართული ნამოსახლარები („ოჩაქნი, კოლოკოლისა და ჟალოქნის“- ფარდულები), გუმისთის ყორღანი, ეშერის პატარა და საშუალო ზომის დოლმენები, კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას განეკუთვნება [ფხაკაძე 1993: 32-83; Пхაკაძე 2009-2010: 75-76]. ფიქრობენ, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის მასალების განსხვავება კოლხეთის დაბლობის სინქრონული პერიოდის მასალებისაგან უნდა აიხსნას ამ მხარის ლოკალური თავისებურებებით [ბარამიძე 1998: 204-205; ფხაკაძე 1998: 35; ჯაფარიძე 2003: 131-132; Гогаძე 1990: 113-115]. ზოგიერთი მკვლევარი (მ. ბარამიძე) კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურაში არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით, სამ ლოკალურ ვარიანტს გამოყოფს: ჩრდილო-დასავლეთი, ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი [ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი I, 2007: 15].

მოხსენიებული ზოგიერთი ძეგლისათვის (მხედველობაში გვაქვს ნამოსახლარები) მართალაც დამახასიათებელია რამდენადმე განსხვავებული თიხის ნაწარმი და ქვის ინვეტარი როგორცაა: სოჭი-ადღერისა და სოხუმის ტიპის ქვის

თოხები (ძირითადად სოხუმსა და მდ.ფსოუს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე), მოქლონვისებური და მარყუჟისებურყურიანი თიხის ჭურჭელი და იშვიათად მათზე დატანილი კიბისებური დანამერწები (გუმისთა I, კამან I, ფსოუ, ვორონცოვის გამოქვაბული - „ჟალოჟნის“ ფარდული), მარყუჟისებური ფორმის ყურების ზურგზე დატანილი მეჭეჭისებური დანამერწები, ფარფლისებურშვერილიანი კერამიკა და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთ ძეგლზე დასტურდება სოჭი-ადღერის ტიპის ღია სადგომებისათვის (ვესელოე, ბოჩარეი-რუჩეი, ახშტირი, ლოო, მამაიკა, კაზაჩი ბროდი, ფსოუ, ბლინოვო, მოლდოვკა და სხვ.) დამახასიათებელი ქვის თოხები [Борисов 1979: 35]. როგორც ჩანს, ამ ელემენტების შემოდღევა სოხუმამდე და იშვიათად კი მის სამხრეთით, ხდება სოჭი-ადღერის ქვის თოხების მატარებელი კულტურის წრის ძეგლებიდან. ასევე არ გამოვრიცხავთ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარებზე, რამდენადმე განსხვავებული თიხის ნაწარმის არსებობა ავხსნათ ამ მხარის ლოკალური თავისებურებითაც.

ამრიგად, პროტოკოლხური კულტურის არეალში ექცევა დასავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია სოხუმამდე. მის ჩრდილოეთით მდებარე მხარე მდ. ფსოუმდე, არა მარტო ადრებრინჯაოს ხანაში, არამედ მომდევნო შუაბრინჯაოს პერიოდშიც უნდა წარმოადგენდეს პროტოკოლხური, დოლმენური და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შავიზღვისპირა ზოლში გავრცელებული სოჭი-ადღერის ტიპის ქვის თოხების მატარებელი კულტურების შეხვედრების ადგილს, მათ საკონტაქტო ზონას. მომდევნო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია მდინარე ფსოუმდე და ზოგჯერ მის ჩრდილოეთითაც კი მთლიანად მოქცეულია ძველი კოლხური კულტურის გავრცელების არეალში.

სოხუმის სამხრეთით ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაა, სადაც დოლმენური ტიპის სამარხები თითქმის არ გავრცელებულა. ეს ადგილი უფრო გაშლილია და თანდათანობით კოლხეთის დაბლობზე გადადის, რომელიც ალბათ ქართველური (პროტოკოლხური კულტურის მატარებელი ტომების) მოსახლეობის საცხოვრის წარმოადგენდა [ჯაფარიძე 2006: 45]. როგორც ჩანს, დოლმენების მშენებლობის ტრადიციამ კოლხ მოსახლეობაში ფეხი ვერ მოიკიდა.

ზოგიერთი მკვლევარი დოლმენური კულტურის მატარებლად თვლის პროტოკოლხური მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ტოვებს დაბლობ ზოლს და ინაცვლებს მთაში. ამ ეთნოკულტურულ ძვრებს

უკავშირებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლმენების გაქრობას [ზარამიძე 1998:132]. რამდენად მართებული უნდა იყოს არქეოლოგიურად ამ მომენტის დაკავშირება (მეორადი დაკრძალვის რიტუალი, სამკაული, დოლმენური არქიტექტურა) თლიასა და ზრილის სამაროვნებთან ძნელი სათქმელია.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში, დოლმენური სამარხ-ნაგებობათა გარდა, დასტურდება მღვიმეში, ფარდულში გამოვლენილი გრუნტული სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით (ლავინაია ბალკა, ლაპსტა, კალდახვარა, შრომა, კამან I, იუჰსი, მდ. ხიფსთას ხეობა, აზანთას დოლმენი მიცვალებულთა კოლექტიური დაკრძალვით (ერთმანეთში არეული იყო 20-მდე თავის ქალა) და წინაანტიკური ხანის ნასახლარებზე ჩაშვებული ორმო სამარხები (ტამიში, ბომბორა, კისტრიკი). საინტერესოა, რომ გუმისთა I-ის ნამოსახლარზე გამართული იყო ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ქვის წრით შემოსაზღვრული სამარხი ორმოები. ქვემო ეშერაში კი ორი კრომლეხიანი სამარხი ორმო გაითხარა, სადაც დადასტურდა დაწყებული ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, ვიდრე ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით, მასალების შემცველი სამარხები კოლექტიური მეორადი დაკრძალვით [Шамба 1984: 55].

კოლხეთის დაბლობზე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი არ არის მიკვლეული. თუ არ ჩავთვლით აღნიშნული პერიოდების სამარხეული ინვენტარის შემთხვევით აღმოჩენას გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში [ჯიბლაძე და სხვ. 2004: 74-82].

როგორც სპეციალისტებისთვის ცნობილია ძირითადად კოლხეთის დაბლობზე გვხვდება კოლხური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები, რომლებიც ორი ნაწილისგან შედგება: საკულტო მოედნები და სამარხი ორმოები. საკულტო მოედნები თავის მხრივ სამი სეგმენტითაა წარმოდგენილი: რიყის ქვისგან შედგენილი ყრილები, დამწვარი და დაქუცმაცებული ძვლებისაგან შედგენილი გროვები ან ორმოები. აგრეთვე კულტმსახურების და ტრაპეზის ნარჩენების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენები [პაპუაშვილი 2000: 55]. სამარხი ორმოები კოლექტიური ხასიათისაა და ზოგიერთ მათგანში ორ ასეულამდე მიცვალებულია დაკრძალული. ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნებზე კოლექტიური სამარხი ორმოების გვერდით ინდივიდუალური სამარხებიცაა დადასტურებული [პაპუაშვილი 1998: 43].

კოლხური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები ადრერკინის ხანით თარიღდება [მიქელაძე 1985]. თუმცა გამოყოფენ უფრო ვიწრო ქრონოლოგიური

ჩარჩოების მქონე სამარხების 5 ქრონოლოგიურ ჯგუფსაც [პაპუაშვილი 1998: 44-47]. აქ ანალოგიური ხასიათის ძეგლები უმთავრესად თავმოყრილია დაბლობ ზოლში: ერგეტის I-IV სამაროვნები, მუხურჩა, ნახუნაო, პალურის სამძლე, ხუცუბანი, ლეჩე, ვედიდკარი, მახათი, გურძემი, სალხინო, დღვაბა, ცაიში, ფიჩორი, კურზუ, ნალეფსაო და ა.შ. [პაპუაშვილი 2000: 55]. გვხვდება ამ ტიპის სამარხები გორადირში (საჩხერის მუნიციპალიტეტი), ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მთისწინა ზოლში-ჯანტუხის სამაროვანზე და კოლხეთის მთიანეთში (ზემო სვანეთი) - ლალირალის სამაროვანზე.¹⁰ აქ აღმოჩენილი ორი საკრემაციო მოედანი, საგანგებოდ დამტკრეული დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა დანიშნულების რკინისა და ბრინჯაოს ნივთები მოწმობენ, რომ საკულტო მოედნებზე ალაპი და მიცვალებულთა რიტუალი სრულდებოდა. ადამიანთა ძვლები, რომელთაც ცეცხლის კვალი ეტყობათ მიუთითებენ ნაწილობრივ კრემაციაზე და სარიტუალო ცეცხლის გამოყენებით მეორადი დაკრძალვის წესზე [თორთლაძე, გველესიანი 2019: 28].

რა სიტუაციაა ამ მხრივ თანამედროვე აფაზეთის ტერიტორიაზე. ტყვარჩელში - ჯანტუხის სამაროვანზე¹¹ წარმოდგენილია ძვ.წ. VIII-VII სს-ების კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, სადაც დასტურდება მიცვალებულთა სრული და ნაწილობრივი კრემაცია, თავისი საკრემაციო მოედნებით. ანალოგიური სურათი უნდა დასტურდებოდეს მერხეულისა (გულრიფშის რ-ნი) და ფიჩორის სამაროვნებზე [ბარამიძე 1977; Шамба 1984: 72; Шамба 1990; ბარამიძე 1998: 53-54; ბარამიძე 2013: 159; Барамидзе и друг. 1985: 14-16]. მიცვალებულთა ნაწილობრივი კრემაცია ასევე გამოიყოფა გუადიხუს სამაროვანზეც.

თანამედროვე აფხაზეთის გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელია ოსუარიუმები-ურნა სამარხები (ქვევრსამარხები). ისინი ცნობილია შემდეგი პუნქტებიდან: ახალი გაგრა, პრიმორსკოე, აბგარხურკი, ზემო ეშერა, ზვანდრიფში,

¹⁰ ზემო რაჭაში ბრილის სამაროვანზე შუაბრინჯაოს მიწურულიდან დასტურდება მიცვალებულთა კოლექტიური დაკრძალვები ზოგჯერ სრული და არასრული კრემაციით [გობეჯიშვილი 1970: 273-275].

¹¹ ჯანტუხის სამაროვანი გამოვლენილი იქნა XX საუკუნის 80-იან წლებში. ამ პერიოდში ეს ძეგლი ითხრებოდა აფხაზი არქეოლოგების მიერ [Шамба 1984, Шамба 1990]. 2009-2015 წწ. ჯანტუხის სამაროვანს სწავლობდა (გათხრები დღესაც მიმდინარეობს) არქეოლოგიური ექსპედიცია რუსი არქეოლოგის ალ. სკაკოვის ხელმძღვანელობით. როგორც აღნიშნავენ, საქმე უნდა გვქონდეს კოლექტიური დაკრძალვის მქონე ორფენიან სამარხ ორმოებთან, კრემაციის გამოყენებით (ძვ.წ. XIII-XII-IX-VIII-VII სს-ები). გვხვდება ჭის ფორმის მაგვარი ინდივიდუალური სამარხი ორმოებიც. ასევე ძვ.წ. V-III სს-ის სამარხი ორმოები [Скаков и друг. 2013: 23; Скаков 2015: 85-86]. ჯანტუხის სამაროვანზე გამოყოფენ უფრო ადრეულ სამარხულ კომპლექსს კრემაციის კვალით (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) [Скаков 2015: 85-86]

აპმდვანი (ძველი ორჯონიკიძე), ვერეშაგინის მთა, ბოგოფრიპში, ყულანურხვა, წითელი შუქურა (8 ურნა სამარხი) [Иващенко 1935: 14; Күфтин 1949: 155-188; Воронов 1969: 24,27; Шамба 1984: 56-57; Бгажба, Воронов 1982: 30-31; Бжания 1990-ბ; ზარამიძე და სხვ. 2013: 136]. ოსუარიუმები ძირითადად გვხვდებიან სამარხ ორმოებთან ერთად შერეული სახით.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (ისე როგორც მთელ კოლხეთში) გვხვდება კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახეობით: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები (ოსუარიუმები), დოლმენები, კრომლევები. ორმოსამარხებში გამოყოფენ დაკრძალვის შემდეგ წესს: მიცვალებულთა დაკრძალვა პირაღმა მდგომარეობაში, მოხრილ მდგომარეობაში, სრული კრემაციით, მეორადი დაკრძალვის წესით და ა.შ. დასტურდება მეორადი დაკრძალვის წესი ცეცხლის გამოყენებით [დოლიძე 1999:8].¹² ქვევრსამარხებში კი მიცვალებულებს კრძალავენ მეორადი დამარხვის წესით და დებენ ჭურჭელში. გამოვლენილია ორ ათეულამდე სამარხი ურნები, რომლებიც ძირითადად ლოკალიზდება სოხუმსა და გაგრას (ფსოუსა და გუმისთას) შორის მდებარე ტერიტორიაზე [Шамба 1984: 70]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ურნა სამარხებმა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში განიცადა ტრანსფორმაცია და გავრცელდა ცენტრალური კოლხეთის მიმართულებით [Күфтин 1949: 72]. წითელი შუქურას სამაროვანზე გვხვდება 17 ჭისმაგვარი სამარხი [Күфтин 1949: 70].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, კოლხური კულტურის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები აღმოჩენილია დაახლოებით 46 პუნქტში [ლორთქიფანიძე 2001: 93-194]. თუმცა რამდენამე განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძების აღმოჩენაზე (52 ერთეული) [აფაქიძე 2006: 66-88] (ტაბ.III).¹³ ასევე დაახლოებით 14 პუნქტში გამოვლენილია ბრინჯაოს ნივთები, რომელსაც უფრო მეტად აკუთვნებენ კოლხური გვიანი ბრინჯაოს ხანის განძებს; 7 პუნქტში კი დასტურდება განძები თუ

¹² ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ფორმის ორმოსამარხებში ფიქსირდება დაკრძალვის სამი წესი: ინჰუმაციური, სრული და ნაწილობრივი კრემაციით, ასევე მეორადი დაკრძალვა. ეს უკანასკნელი ასევე დამახასიათებელია დოლმენებისათვის, კრომლევებისა და ქვევრსამარხებისათვის [Скаков 2015: 135]

¹³ იხსენიებენ მანამდე უცნობ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის განძების აღმოჩენებს ჭუბურხინჯსა (1994 წ.) და ზვადრიფში (2008 წ.) [Скаков 2015: 107]

სამარხეული კომპლექსები. ცალკე აქვთ გამოყოფილი ბრინჯაოს ზოდების შემცველი განძები, თუ ლითონსადაც სახელოსნოების მასალა [აფაქიძე 2006: 79-87, ტაბ. I]. ამ სტატისტიკური მონაცემების (მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს განძები) მიხედვით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გვევლინება კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ კერად.

70-80-იანი წლებიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, მთელ რიგ ძეგლებზე დადასტურდა სპილენძ-ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები: სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, კარახტინი, სახოველი (საირხე), მახვილაური, ისპანი, ნამჭედური, ჩოლოქი, დაბლაგომი, ნაოხვამუ, ცივა, ყულევი, ანაკლია I, ანაკლია II, მაქსანია და სხვ. [ჯიბლაძე 2016: 185, 190, რუკა I; ინანიშვილი, ჯიბლაძე 2019: 87-96]. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც წარმოდგენილია ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთები: ვერემზაგინის გორა, სოხუმის მთა, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ფიჩორის N4 და N6 ბორცვები, ტამიში, ბომბორა, ეშერა, მგუძირხვა, ამქასარა, კისტრიკი და ა.შ. [ინანიშვილი, ჯიბლაძე 2019: 96-100] (ტაბ. IV). ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთები ხელახალი ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლინდა გუანდრას ნასახლარის ადრებრინჯაოს ხანის ფენაში, რომელსაც ადრე ენეოლითის ხანას აკუთვნებდნენ [Цвинария 2007: 578-580]. ზოგიერთ ძეგლზე შემორჩენილი იყო ბრინჯაოს სადნობი ღუმელი (ვერემზაგინის გორა, სოხუმის მთა) და ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაგებობათა ნაშთები, მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ყალიბების ფრაგმენტებით (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი) [კალანდაძე 1953; ჯიბლაძე 2007: ტაბ. C-CIII; Джопуа, Нюшков 2015: 15-22]. აფხაზეთის საწარმოო სახელოსნოები ეყრდნობოდა ადგილობრივ სამთამადნო წარმოების კერებს (ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი კერები), რომლებიც განლაგებული იყვნენ ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე, მდ. კოდორისა და ბზიფის სათავეებში.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მართალია ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში აქ გვხვდება რამდენადმე განსხვავებული სახის მასალები, რომელიც უფრო იგრძნობა მდ. ფსოუსა და სოხუმს შუა მდებარე ტერიტორიაზე. ეს ფაქტი შესაძლოა აიხსნას ამ მხარის ძეგლების ლოკალური ხასიათით. ასევე

შეხვედრებით კოლხეთის დაბლობის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურების მონათესავე დოლმენურ კულტურასთან, რომელიც მთლიანად მოქცეულია პროტოკოლხური კულტურის მძლავრი გავლენის ქვეშ.

ძველი კოლხური კულტურის არეალში მძლავრად არის მოქცეული თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ წარმოდგენილია სხვადასხვა კატეგორიის ძეგლებით და მათგან მომდინარე ნივთიერი მასალებით. განსაკუთრებით ეს კარგად იგრძნობა ძველკოლხურ II ეტაპზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ძველი კოლხური კულტურის მატარებელი ტომები-ქართველური ზანურენოვანი მოსახლეობა სამოსახლოდ მჭიდროდ ითვისებს მთელი კოლხეთის ტერიტორიასთან ერთად თანამედროვე აფხაზეთის მხარეს მდ. ფსოუმდე და მის გარეთაც. ეს ხანა ძველი კოლხეთის სახელმწიფოს წარმოქმნის წინა პერიოდია. ხდება დემოგრაფიული აფეთქება და მიმდინარეობს მთელი რეგიონის კოლხიზაცია.¹⁴


¹⁴ კოლხური კულტურის გავრცელების არეალი კოლხეთის ტერიტორიის გარდა საკონტაქტო და ინფილტრაციის ზონებით მოიცავს საქართველოს მიმდებარე თურქეთის ტერიტორიას, აფხაზეთის მომიჯნავე ჩრდილოეთ ნაწილს, შიდა ქართლისა და და ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ მონაკვეთებს [ლორთქიფანიძე 2001: 127-140; სულავა 2019: 5; Панцхава и друг. 2003: 2-17].

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. აფხაზეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების გავრცელების

რუკა:

1. კოლხიდა 2. ბიჭვინთა (ლმა) 3. იუპსი 4. კისტრიკი 5. ბომბორა 6. ააქსტა 7. ყულანურხვა 8. ოთხარა 9. პრიმორსკოე 10. ანაკოფიის ციხე 11. ანუხვა აბხაზსკაია 12. ახალი ათონი (ორი დიუნური სადგომი) 13. გუანდრა 14. ლეჩქოფი 15. აბგიძრა 16. ამჟასარა 17. ვერეშაგინის მთა 18. გუმისთის ნამოსახლარები (გუმისთა I, გუმისთა II, აჭანდარა) 19. ეშერა 20. სოხუმის მთა 21. სოხუმის კონცხი 22. წითელი შუქურა 23. გუადიხუ 24. ლემსა 25. ალექსეევკა 26. ბაგრატის ციხე 27. სოხუმის ნამოსახლარები (#4 სკოლა, რკ. სადგური) 28. ახრა-კაპში 29. პალი 30. თეთრი მღვიმე 31. ზედა მღვიმე 32. ჯამპალ I 33. კამან I 34. აბგახურკი 35. აგუძერა 36. შიცკუარა 37. მაჭარა (სამი ნამოსახლარი) 38. მერხეული 39. ატარა არმიანსკაია 40. ტამიში 41. მოქვი (ორი ნამოსახლარი) 42. ივაშენკო 43. აგუბედია 44. ოჩამჩირე I (დასავლეთი, ცენტრალური, სამხრეთი ბორცვები) 45. ოჩამჩირე II 46. გუდავა (ორი დიუნური სადგომი) 47. ოქუმი 48. გაგიდა 49. ფიჩორი (10-11 ბორცვი) 50. განმუხური (ორი ბორცვი) 51. ნაკარღალი (4-5 ბორცვი) 52. ჯვარალები (5-6 ბორცვი) 53. თაგილონის წიფურია (3-4 ბორცვი) 54. ჭუბურხინჯი 55. განახლება 56. აბაჟუ 57. გალი 58. მზიური (2-3 ბორცვი) 59. რეფო-შემეღეთი (4-5 ბორცვი) 60. წარჩე




- △ — ხელოვნური ბორცვ-ნამოსახლარები
- ▲ — ბუნებრივ ბორცვზე (მთის ფერდზე, ტერასაზე) გამართული ნამოსახლარები
- — დიუნური სადგომები
- — ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასაზე, ვაკე ადგილზე გამართული ნამოსახლარები
- — მღვიმეში (ფარდული, ესი, გამოქვაბული) გამართული ნამოსახლარები
- — საწარმოო ნამოსახლარები

ტაბ. II. აფხაზეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნების

გაგრცელების რუკა:


1. განთიადი-დოლმენები
2. ფსოუ-სამარხეული ინვენტარი
3. ძველი გაგრა-მღვიმეში აღმოჩენილი სამარხები
4. ახალი გაგრა - ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის სამაროვანი (სამარხი ორმოები, ოსუარიუმები)
5. აჩმარდა-დოლმენები
6. ოთხარა ძვ.წ. IX-VIII სს-ის სამაროვანი (სამარხი ორმოები)
7. ოთხარა-ადრე და შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები
8. კოლხიდა - ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხი ორმო
9. ხაბიუ-ძვ.წ. III ათასწლეულის და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის დოლმენები
10. აჩანდარა-დოლმენები
11. აჩანდარა-წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სოფლის სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი)
12. მიქელრიფში-დოლმენები
13. ტროიცი-დოლმენები
14. გუდაუთა - ძვ.წ. IX-VIII სს-ის სამარხები (სავარაუდოდ სამარხი ორმოები)
15. კისტრიკის ნამოსახლარზე VIII-VII სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები
16. ბომბორას ველის ძვ.წ. VIII ს-ის სამაროვანი
17. ბომბორას ნამოსახლარზე ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები
18. ლავინაია ბალკას ფარდულში (ცისფერ ტბასთან) მდებარე ადრე ბრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო
19. მდ. რიშევიუს ხეობა-დოლმენები
20. ფსხუ-დოლმენები
21. ყულანურხვა-დოლმენი
22. ყულანურხვა - ძვ.წ. VIII-VI სს-ების სამაროვანი
23. მუგუმირხვა (ააქსტა) წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები)
24. პრიმორსკოე-ძვ.წ. VIII-VIIIსს-ების სამაროვანი (ურნა სამარხები)
25. მდ. მჭისთას ხეობა-დოლმენი
26. აბგარხუკი-დოლმენი
27. აბგარხუკი-წინაანტიკური ხანის სამაროვანი (ურნა და სამარხი ორმოები)
28. სანჩარი-დოლმენი
29. დოუ-დოლმენთა ჯგუფი
30. ლაპსთა-ადრე ბრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხები
31. მდ. აგურიფსთას ხეობა-დოლმენები
32. მდ. ბაულის ხეობა-დოლმენები
33. კალდახვარას მღვიმეში აღმოჩენილი ადრე ბრინჯაოს ხანის გრუნტული სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით
34. მდ. მადენგას ხეობა-დოლმენები
35. მდ. გუმრიფშის ხეობა-დოლმენები
36. ანუხვა აფხაზსკაია-დოლმენები
37. ახალი ათონი-დოლმენი
38. ახალი ათონი - ძვ.წ. VIII-VIIIსს-ების სამარხები
39. მისრა-ორი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხის კვალი
40. ზემო ეშერა- დოლმენები (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული, ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი
41. ზემო ეშერა-წინაანტიკური ხანის სამაროვანი (ოსუარიუმები, სამარხი ორმოები)
42. ქვემო ეშერა-კრომლეხები კოლექტიური

მეორადი დაკრძალვით 43. ქვემო ეშერა-წინაანტიკური ხანის სამაროვანი 44. შრომა (ყოფილი მიხაილოვსკოე)-დოლმენი 45. შრომა-მღვიმეში გამართული ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები 46. ლეჩქოფი-VIII-VII სს-ის სამარხი 47. სოხუმის მთა - ძვ.წ. VIII-VII სს-ების სამაროვანი (სამარხი ორმოები) 48. ცუგუროვკა-დოლმენები 49. წითელი შუქურას წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები) 50. გუმისთა I-ის ნამოსახლარზე გამართული ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ქვის წრით შემოსაზღვრული სამარხი ორმოები 51. ვერეშაგინის მთა-ძვ.წ. VIII-VII სს-ების სამაროვანი (ურნა სამარხები) 52. იაშთხვა-გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები 53. შუბარა-წინაანტიკური ხანის სამარხები 54. ზვანდრიფში-წინაანტიკური ხანის ოსუარიუმები 55. გუმისთა II - გვიანბრინჯაოს ხანის დაზიანებული სამარხი 56. სოხუმის ჰესი - ძვ.წ. IX-VIII ს-ის ქვაყუთი 57. კამან I-მღვიმეში გამართული ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები 58. მდ. ხიფსთას ხეობა-გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო მეორადი დაკრძალვით 59. პრცხა (ყოფილი როჟდესტვენსკი) - ორი დოლმენი 60. ახუპაჩი-დოლმენისებური ფილის ნაგებობანი 61. აპშდვანი (ორჯონიკიძე)-წინაანტიკური ხანის ურნა სამარხები 62. ჩობალუკი - ძვ.წ. IX-VIII ს-ის ორმო სამარხები 63. აჩკაცი - ძვ.წ. X-VIII ს-ის სამარხები 64. ბარმაში - ძვ.წ. VIII-VI სს-ის სამარხეული მასალა 65. ალექსეევკას ხეობა-სამარხეული ინვეტარი 66. ბეშკარდაში - წინაანტიკური ხანის დანგრეული სამარხი 67. აზანთა-შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები 68. აზანთა - ქვაყუთი 69. სული - შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები 70. ოქტომბერი-სამარხის (ყორღნის) კვალი 71. ჩხალთა - დოლმენები 72. მდ. ჯამპალის ხეობა - დოლმენები 73. მერხეული (ადგილი ლაკადა) ძვ.წ. VII-VI სს-ის ინდივიდუალური და კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები 74. ახუცა ჯგერდა-დოლმენები 75. ქლუხორის უღელტეხილი-ფარდულში გამართული ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო 76. ბედია-დოლმენი 77. ტამიშის ნამოსახლარი - ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები 78. პოვრეში (ფოქვეში) - ქვაყუთი. თარიღი მითითებული არ არის 79. ჯანტუხი-ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით 80. გაგიდა-შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის სამარხეული ინვეტარი 81. ფიჩორი-კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო 82. გალი უინვენტარო ქვევრსამარხი.




ტაბ. III. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის განმეხის გავრცელება აფხაზეთში (რუკა შედგენილია ჯონი აფაქიძის მიერ). დასახელებული პუნქტები იხილეთ [აფაქიძე 2006:87].

III



კოლხური გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის განმეხის გავრცელება აფხაზეთის ტერიტორიაზე (ჯონი აფაქიძის მიხედვით)

ტაბ. IV. კოლხეთის ენეოლით, ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ლითონ ჩამომსხმელი სახელოსნოები. 1 - წითლად აღნიშნულია ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაშთები აფხაზეთში; 2. შავწითლად სამთამადნო წარმოების ძეგლები მთიან აფხაზეთში.



1-სამქლე კლდე; 2-სამერცხლე კლდე; 3-მოდინახე; 4-ისპანი; 5-ანაკლია I (ქვედა ფენა); 6-ფიხორის ცენტრალური ბორცვი (VIII, VII-IV, V ფენები); 7-ფიხორის №6 ბორცვი; 8-ანაკლია II; 9-ერგეტა (IV ფენა); 10-ნოსირი III (I ფენა); 11-ნამჭედური (VI-III ფენები); 12-ჩილოქისპირა ბორცვი (VI- III ფენები); 13-ქვემო ჭალადიდის ზურგა (ქვედა ფენა); 14-ქვემო ჭალადიდის II უბანი; 15-ყუღევი (II-III ფენები); 16-ცივა; 17-ანაკლია II-ის მიმდებარე ბორცვები; 18-ბაქსანია; 19-დაბლაგოში; 20-მუხურჩის ნაწისქვილარი; 21-ღეხაინდრაო; 22-ოჩხოშური; 23-ნოქალაქევი; 24-ფახულანი; 25-ზემო ღუმურიში; 26-ფიხორის №4 ბორცვი; 27-ნაოხვამუ (III ფენა); 28-მახინჯაური; 29-ფიჭენარი; 30-მაჭარა №2 დიუნა; 31-სონუმის მთა; 32-ბომბორა; 33-კისტრიკი; 34-ტამიში; 35-დენჯეხა ; 36-კიწია; 37-გაჭედილი; 38-ნახუნაო; 39-კურზუ; 40-დოშაყე; 41-ითხვისი; 42-სახოველა; 43-კარახტინი; 44-ცხეთა; 45. ნამარნუს ჩრდილოეთი ბორცვი; 46. გუღეიკარი; 47. ეშერა; 48. შგუძირხვა; 49. ამქასარა

ლიტერატურა

- აფაქიძე ჯ. 2006: აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები. აფხაზეთი I, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ.66-88
- ბარამიძე მ. 1977: მერხეულის სამაროვანი, თბილისი
- ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ჩიგოშვილი თ. 1990: არქეოლოგიური კვლევა-ძიება აფხაზეთის ასსრ სამშენებლო მოედნებზე, „ძეგლის მეგობარი“, #1, თბილისი, გვ.18-21
- ბარამიძე მ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი. დაცულია მეცნიერის პირად არქივში.
- ბარამიძე მ. 1999: ძვ.წ.III-II ათასწლეულების არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. საქართველო-აფხაზეთის მოამბე №2-3, თბილისი, გვ. 23-35.
- ბარამიძე მ., წითლანაძე ლ., დოლიძე ნ. 2013: აფხაზეთის მატერიალური კულტურა, ტომი II, თბილისი
- ბარამიძე მ. 2017: ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი
- გასვიანი გ. 1991: ნარკვევები შუასაუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბილისი
- გობეჯიშვილი გ. 1970: გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბილისი, გვ. 201-243
- დოლიძე ნ. 1999: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი
- თავამაიშვილი გ. 1999: უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, ხელთნაბეჭდი.
- ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. 2010: საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ. წ. III-I ათასწლეულებში), თბილისი
- ინანიშვილი გ., ჯიბლაძე ლ. 2019: კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი
- კალანდაძე ა. 1953: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი
- კილანავა ბ. 2009: რჩეული შრომები, მეორე ტომი, თბილისი
- ლორთქიფანიძე ოთ. 1986: არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი

- ლორთქიფანიძე ოთ. 2001:** განძები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში. ჟურნ. ძიებანი, დამატებანი, VI, გვ. 178-194
- მელიქიშვილი გ. 1965:** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი
- მიზიანი თ. 1989:** დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი
- მიქელაძე თ. 1974:** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი
- მიქელაძე თ. 1985:** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი
- ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან - აფხაზეთი 2007: თბილისი
- პაპუაშვილი რ. 1999:** ერგეტის სამაროვნები. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, გვ. 317-321
- პაპუაშვილი რ. 2000: ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის, ძიებანი, N 5, თბილისი, გვ. 55-66
- პაპუაშვილი ნ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ. 2006:** კოლხეთის ენეოლითის, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში N17-18, თბილისი, გვ. 127-132
- სულავა ნ. 2019:** არქეოლოგია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (კოლხური ბრინჯაოს კულტურის გამო). იბერია - კოლხეთი საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ - ისტორიული კვლევანი, 15, თბილისი, გვ. 5-8
- ფხაკაძე გ. 1978:** მტკვარ-არაქსის და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სას II თბილისი, გვ. 3-12
- ფხაკაძე გ. 1992:** ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში სა II, თბილისი, გვ. 216-280
- ფხაკაძე გ. 1993:** დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბილისი
- ფხაკაძე გ. 1998:** კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი, ძიებანი 2, თბილისი, გვ. 32-41

- ფხაკაძე გ., ბარამიძე მ. 2001:** ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი გალის რ-ში. კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი N6 დამატება თბილისი, გვ. 125-128
- ფხაკაძე გ. 2006:** აფხაზეთის დოლმენების კვლევის ზოგიერთი ასპექტი. აფხაზეთი I, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ.138-140
- ჩართოლანი შ. 1971:** სპილენძის ძველი გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს თბილისი, გვ. 49-61
- ჩიგოშვილი თ. 1999:** ენგურ-კოდორის აუზის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი
- ჩიგოშვილი თ. 2006:** ენგურ-კოდორის ორმდინართის ნამოსახლართა კულტურა და ქრონოლოგია - პერიოდიზაციის საკითხები. აფხაზეთი I. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ. 133-137
- ჯაფარიძე ო. 1961:** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 1976:** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 1991:** საქართველოს არქეოლოგია, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2003:** საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2006:** ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები N17-18, თბილისი, გვ. 44-50.
- ჯიბლაძე ლ. 1997:** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით), თბილისი
- ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ. 2004:** შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის უახლესი აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში, ძიებანი N13-14, თბილისი, 74-82
- ჯიბლაძე ლ., ხვისტანი რ. 2006:** გალის რ-ნის ბრინჯაო - ადრერკინის ხანის ძეგლების არქეოლოგიური რუკა. კრებული, აფხაზეთი I, აფხაზეთი არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბილისი, გვ.62-66

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ.III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი

ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ. 2013: ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია N4, თბილისი, გვ. 100-112

ჯიბლაძე ლ. 2016: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია, კრებული გურია N 6, თბილისი, გვ.77-124

ჯიბლაძე ლ. 2016-ა: ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები კოლხეთიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, N 23, თბილისი, გვ.179-190

ჯიბლაძე ლ. 2017: კოლხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კულტურები. სტატია ესეს სახით შედის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტში - საგრანტო ნაშრომი - საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული ენციკლოპედია (ძვ.წ. III-I ათასწლეულები). განთავსებულია ინტერნეტის საიტზე <http://geoarchencyclopedia.ge>

ჯიბლაძე ლ. 2020: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების (ნამოსახლარები, სამაროვნები, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები) არქეოლოგიური რუკები, ონლაინ არქეოლოგია, 18, გვ. 80-98

Барамидзе М., Пхакадзе Г., Бжания В., Шамба Г., Квирквелия Г., Чигოшвили Т 1982-:

Основные итоги исследований на строительных площадках Абхазской АССР.

Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тбилиси, стр.90-99

Барамидзе М. В., Чигошвили Т. Э., Квирквелия Г. Т., Джибладзе Л. В., Хубутия Г. 1985:

Археологические исследования в селе Пичори в 1981 - 1982 гг. – АО Абхазии 1981-1982 гг., Тбилиси, стр. 14-16

Барамидзе М., Чигошвили Т., Пхакадзе Г., Джибладзе Л., Махарадзе З., Шеразадишвили

Б., Датунашвили Т. 1987: Работы археологических экспедиции Абхазии. ПАИ в 1984-1985 гг., Тбилиси, стр:42-47

Бгажба., Воронов В. 1982: История изучения археологии Абхазии, Тбилиси

- Бжания В. 1966:** Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхазии, СА №1, Москва, стр. 113-126
- Бжания В. 1973:** Поселение Очамчирской культуры в горах Абхазии. Кавказ и восточная Европа в древности. Москва. стр. 65-76.
- Бжания В. 1989:** Основные итоги работ на новостройках Абхазии . Вопросы археологии Абхазии, Сухуми, стр.40-43
- Бжания В., Габелия А. 1990:** Результаты исследования Бомборского поселения. АО Абхазии в 1986-1987 гг. Тбилиси, стр. 3-5
- Бжания Д., Вардания Г., Джопуа А., Сангулия Г. 1990** з-:Раскопки в селе Тамиш АО Абхазии 1985, Тбилиси, стр. 9-12
- Бжания В., Бжания Д. 1990-з:** Гагрский могильник, Сухуми
- Бжания В., Сакания С., Бжания Д. 2014:** Выявление Археологических памятников в селе Арасадзыхь, Е. И. Крупнов и развития Археологии Северного Кавказа, XXVIII Крупновские чтения, Материалы международной научной конференций Москва
- Воронов Ю. 1969:** Археологическая карта Абхазии. Сухуми
- Воронов Ю. 1971:** История Абхазии от древнейших времен до раннего средневековья Автореферат диссертации на соиск. учен. степ. канд. ист. наук. Москва
- Воронов Ю. 1979:** Древности Сочи и его окрестностей, Краснодар
- Воронов Ю. 1982:** Древности Азантской долины. Тбилиси
- Габелия А. 1984:** Поселения Колхидской культуры (по материалам Абхазии). Автореферат диссертации на соиск. учен. степ. канд. ист. Наук, Москва
- Габелия А. 2014:** Металлургия и металлообработка Абхазии в эпоху поздней бронзы. Е.И Крупнов и развитие археологии Северного Кавказа. XXVIII Крупновские чтения, Москва стр.136-138
- Габелия А. 2014- з:** Абхазия на преантичную и античную эпоху, Сухуми
- Гогадзе Э. 1990:** Хронология памятников Колхидской культуры эпохи Средней бронзы и некоторые вопросы культурной отрибуции вариантов общеколхидской культуры эпохи ранних металлов. Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Телави-Сигнахи, 1983, Тбилиси, стр. 2-17
- Гунба М 1990:** Археологичесские исследования в селе Цуарче Гальского района. АО Абхазии 1986-1987, Тбилиси, стр.13-15

- Джопуа А., Ньюшков В. 2015:** Бронзолитейные печи на рубеже поздней бронзы и раннего железного века в Абхазии. Историко-археологический альманах, вып. N13, Армавир-Краснодар - Москва, стр. 15-22
- Иващенко М. 1935:** Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии, Тбилиси
- Инал-Ифа Ш. 1976:** Вопросы Этно-Культурной истории Абхазии, Сухуми
- Куфтин Б. 1949 :** Материалы к археологии Колхиды, том I, Тбилиси
- Куфтин Б. 1950:** Материалы к археологии Колхиды, том II, Тбилиси
- Лукин А. 1941:** Материалы по археологии Бзыбской Абхазии, ТОИПКГЭ, I, Ленинград стр. 1-97
- Марковин В. 1978:** Долмены западного Кавказа. Москва.
- Марковин В. 1994:** Долмены западного Кавказа. Археология эпохи бронзы Кавказа и средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва стр . 228-253
- Скаков А., Джопуа А., Козубова А. 2013:** Открытия Г.К. И С. М. Шамба на Могильнике Джантух: Новый взгляд на старые находки. третья Абхазская международная археологическая Конференция: Проблемы древней и средневековой археологии Кавказа, Сухум, стр. 22-45
- Скаков А. 2015:** Археология в абхазии в начале XXI века: сотрудничество российских и абхазских ученых. Абхазия в мировой истории и международных отношениях Материалы Международной научной конференции, Сухум, 14-17 мая, г. Сухум-2015, стр. 74-135
- Соловьев Л. 1947:** Следы древнего соляного промысла в близь г.Очамчире Сухуми. Труды Абхазского Государственного Музея, I, Сухуми, стр.25-50
- Соловьев Л. 1950:** Селища с Текстильной керамикой нга побережье Западной Грузии, СА XIV,М - Л, стр. 265-286
- Соловьев Л. 1960:** Погребение дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского района. Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, т. XXXI, Сухуми, стр.69-100
- Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р. 2003:** Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? Кавказоведение, № 4, Москва, стр. 102 - 117
- Шамба Г. 1984:** Раскопки древних памятников Абхазии, Сухуми

Пхакадзе Г. 2009-2010: Колхидская раннебронзовая культура. Археология Кавказа. №2-3.
стр. 74-86.

Шамба Г. 1970: Эшерские Кромлехи, Сухуми

Шамба Г. 1990: Археологические памятники верховья реки Галидзга (Джантух). Тбилиси

Шамба Г. 2005: Древний Сухум, Сухум

Цвинария И. 1978: Поселения Гуандра, Тбилиси

Цвинария И. 1990: Новые памятники дольменной культуры Абхазии, Тбилиси, 1990.

Цвинария И. 2007: Раскопки на поселении Гуандра. АО 2005 г. Москва, стр.578-580

შემოკლებათა განმარტება:

სას-საქართველოს არქეოლოგიის საკითხები

სა-საქართველოს არქეოლოგია

ПАИ – Полевые археологические исследования

СА – Советская археология

ТОИПКГЭ- Труды Отдела истории первобытной культуры

Государственного Эрмитажа

სამკვდრო წესები ანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ხანის ქართლის სამეფოში

ნაწილი I.

მიცვალებულის კულტთან, ინდივიდის გარდაცვალებიდან დაკრძალვის ჩათვლით პროცესის კვლევის მცდელობაა ნაშრომი „სამკვდრო წესები ანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ქართლის სამეფოში“, რომელიც ცალკეული ნაკვლევების სახით დაიბეჭდება აკად. ანდრია აფაქიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალში „არქეოლოგია“.

ნაშრომის პირველი, შესავალი ნაწილი, ეთმობა: 1. საკითხის ზოგად მიმოხილვას; 2. გარდაცვლილის გაპატოსნება-დაკრძალვასთან დაკავშირებული ცნებების განსაზღვრა-დადგენის ცდას.

1. საკითხის ზოგად მიმოხილვა. საქართველოს ისტორიაში ძვ. წ. IV-III - ახ. წ. IV სს. წარმოადგენს ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს. სწორედ ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე მოდის კოლხეთის სამეფოს დაკნინება-დაცემა და შემდგომ, ახლად შექმნილი ქართლის სამეფოსთან შეერთება; ქართველის სახელმწიფოებრივი გაერთიანების (ერთეულის) პოლიტიკური (და არა მხოლოდ) ცენტრის ჩრდილოეთით, შიდა ქართლში, კერძოდ მტკვრისა და არაგვის ხეობისში გადმონაცვლება და ახალი სამეფოს შექმნა; ქალაქწარმოქმნის პროცესის დაწყება და ოდნავ მოგვიანებით, გაძლიერება; მკვიდრი მოსახლეობის - ქართველთა წარმართული პანთეონისა და შესაბამისად, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ერთიან მწყობრ სისტემად ჩამოყალიბების დასრულება; გარე სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად მისი გამდიდრება-გამრავალფეროვნება;

მთელი ამ ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესის საფინალო აკორდად იქცა ქრისტიანობის შემოსვლა, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზის გავლის შემდეგ მოსახლეობის ფართო მასებში დამკვიდრება.

ცხადია, ჩამოთვლილი მოვლენები ჩაისახა და განვითარდა ქართველ ტომთა წიაღში და განპირობებული იყო ერთი მხრივ, მოსახლეობის ეთნო-ფსიქოლოგიითა და ეთნოკულტურით, მეორეს მხრივ, გარე სამყაროდან სხვადასხვა გზებით შემოსული ნაკადებით.

სწორედ ამ ნაკადებმა შექმნა ქვეყანაში ვითარება, რომელიც ლეონტი მროველმა გადმოგვცა ცნობილი ფრაზით: „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა...“. აღნიშნულ ამონარიდს, ისევე როგორც სხვა მაგალითებს ეროვნული თუ უცხოენოვანი ნარატიული და დოკუმენტური წერილობითი წყაროებიდან, სათანადო ადგილას შევებები.

ეთნიკური კულტურა ცნებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც თითქოსდა თავისი შინაარსის გამო ძალზედ იოლად იკითხება, თუმცა დღემდე ბოლომდე გაუშიფრავ, ან ძნელად ამოსახსნელ უცნობთა მთელ დასტას შეიცავს.

არადა, ქვეყნის ძირძველი თუ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მოსული ეთნოსების კულტურისა და საზოგადოდ ცხოვრების წესის (modus vivendi) გამოწვილვითი კომპლექსური ანალიზის გარეშე, შეუძლებელია ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, ან კიდევ საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების, თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით ახსნა; შეუძლებელია და როგორც წესი მცდარ დასკვნამდე მივყავართ ეთნოსისა და მით უფრო, ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის ცხოვრებაზე (წარსულზე), კონტექსტიდან ამოღებული რომელიმე ერთი მხარის ანალიზის საფუძველზე გამართულ მსჯელობას. ანუ საზოგადოების ცხოვრების თუნდაც გარკვეული მონაკვეთის შესწავლისას. მეთოდოლოგიურ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს კულტურის ის განმარტება, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს, როგორც მატერიალურს, ასევე სულიერს [ედვარდ სეპირი. 1993:466].

ქართლის სამეფოში დროის განსახილველ მონაკვეთში მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესების შესასწავლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას, განსაკუთრებით სამარხეულ ძეგლებს.

სახელდობრ, სამარხთა სახეობების, დაკრძალვის წესის, ნივთიერი მასალისა და კომპლექსთან დაკავშირებული სხვა ელემენტების სრული ანალიზი და მიღებული შედეგების შეჯერება სხვა რიგის წყაროების მონაცემებთან, ახალ გასაღებს გვადლევს ქართლის სამეფოს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად.

გარდაცვლილის გაპატოსნება-დაკრძალვასთან დაკავშირებულ რიტუალს განსაზღვრავს რამდენიმე პარამეტრი. მათ შორის, უპირატესი და მარეგლამენტირებელია რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. მაგრამ მხოლოდ მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, ვერ იქნება ობიექტური სურათის ბოლომდე ამსახველი.

განსახილველი რიტუალის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ბევრი სხვა მხარეც. კერძოდ, გარდაცვლილის სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, გადმონაშთები და ამა თუ იმ საზოგადოებასა და ამ საზოგადოების კონკრეტულ სოციალურ ფენაში იმ კონკრეტული დროისათვის არსებული მოდა და სხვ.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. განსხვავებით აღნიშნული რიტუალის იმ შემადგენელი ელემენტებისაგან, რომლებიც კარგად დასტურდება დახურულ კომპლექსებში, სხვა მხარეებმა სრულად ვერ მოაღწია ჩვენ დრომდე. შესაბამისად, წინა ეპოქათა რელიგიური და ზნეობრივ-ეთიკური კოდექსის მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათის აღდგენა, შესაძლებელი ხდება, მხოლოდ ყველა სახის ისტორიული წყაროს კომპლექსური კვლევითა და მათი ურთიერთშეჯერებით.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წესებს განსაზღვრავენ საუკუნეების მანძილზე, ამა თუ იმ ეთნოკულტურის წიაღში შექმნილ-დამკვიდრებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები;

დროთა განმავლობაში, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები განიცდიდა ცვლილებებს და მდიდრდებოდა ახალ-ახალი ელემენტებით.

დახურული კომპლექსებისაგან განსხვავებით, რომლებშიც კარგად დასტურდება აღნიშნული რიტუალის სხვადასხვა სეგმენტი, წინარექრისტიანული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ ფრაგმენტულადაა შემონახული წერილობით წყაროებსა და ხალხის ცნობიერებაში. ეს, განსაკუთრებით თვალშისაცემია, ქრისტიანობამდელი დროის მონაცემების შედარებისას, რომლებიც დაცულია ქართულ და უცხოენოვან (ძველევგვიპტური, აქადურ-შუმერული, ბერძნულ-რომაული) ნარატიულ და დოკუმენტურ წერილობით წყაროებში.

სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ეთნოკულტურაში საზოგადოდ, და მომეტებულად, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული წინარექრისტიანული ეპოქების მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წესების კვლევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ ძეგლებს; ეს, ერთის მხრივ, როგორც ვთქვი, გამოწვეულია სხვა სახის წყაროთა შედარებით სიმწირითა და არ შევცდები თუ ვიტყვი, ბოლომდე შეუსწავლელით; მეორეს მხრივ, არქეოლოგიური წყაროების მეტი დოკუმენტურობითა და სანდოობით. ცხადია, მათი სწორი ფიქსაციისა და შემდგომ გააზრების შემთხვევაში.

და მაინც, წინა ეპოქათა რელიგიური და ზნეობრივ-ეთიკური კოდექსის ძირითადი მომენტების მეტ-ნაკლებად ობიექტური სურათის აღდგენა შესაძლებელი ხდება, მხოლოდ ყველა სახის ისტორიული წყაროების კომპლექსური კვლევითა და მათი ურთიერთშეჯერებით.

გარდაცვლილის გაპატოსნება-დაკრძალვა მრავალკომპონენტური და საკმაოდ რთული პროცესია, რომელთაგან არქეოლოგიურად დასტურდება სამი ელემენტი: 1. სამარხის სახეობა; 2. მიცვალებულის პოზა-დამხრობა, ანუ ჩემი კლასიფიკაციით, საკუთრივ დაკრძალვის წესი (ამაზე ქვემოთ) და 3. სამარხეული ინვენტარი - კომპლექსში შემავალი ნივთიერი მასალა; შედარებით იშვიათად, სამარხზე აღმართული ეპიტაფია ან ალაპის ნაშთი [L. S. Binford. 1971:21-23].

დაკრძალულის ეთნიკური, რელიგიური და სოციალური კუთვნილების, აგრეთვე, მისი ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად, ზემოთ ჩამოთვლილი

მომენტების გარდა, აუცილებელია სამაროვნის ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და სამარხის გამართვის დროის განსაზღვრა; ცხადია, კონკრეტული ისტორიული ვითარების გათვალისწინება.

აღნიშნული ელემენტებიდან, თუნდაც ერთის გაუთვალისწინებლობა ან არასრული კვლევა, უცილობლად მიგვიყვანს არასწორ დასკვნებამდე.

სამარხეული კომპლექსი, მით უფრო სამაროვანი, უნიკალურ საშუალებას იძლევა, მაქსიმალური ობიექტურობით აღვადგინოთ ამა თუ იმ საზოგადოების არა მარტო სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების, სოციალური სტრატეგიკაციის საკითხები, არამედ ამ საზოგადოების შემადგენელი ცალკეული თემების ეთნიკური შემადგენლობა და რელიგიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

აღნიშნული შედეგების მისაღწევად, განვმეორდები, აუცილებელია მიცვალებულის კულტთან, მისი დაკრძალვისა და შემდგომი ქმედებების მაქსიმალური სიზუსტით ფიქსაცია-კვლევა-აღდგენა.

სამწუხაროდ, სამარხეული ძეგლების ფიქსაციის მდგომარეობა (ყოველ შემთხვევაში ბეჭდური პროდუქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ), რიგ შემთხვევაში არც თუ სახარბიელოა.

ყველაფერი ამის გამო კი, დავკარგეთ და ვკარგავთ უამრავ საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციას; ხოლო, გამოტანილი დასკვნები, შესაბამისად არასრულია და ობიექტურობასაა მოკლებული.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობ შემდეგ მაგალითს.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წესების შემადგენელი ელემენტებიდან, დროში ყველაზე სწრაფად ცვალებადია ნივთიერი მასალა. ამასთან, სწორედ ნივთიერ მასალას ენიჭება უპირატესობა გარდაცვლილის ეთნიკური, რელიგიური, სოციალური თუ სხვა საკითხების კვლევისას. თუმცა, თავისთავად, მხოლოდ სამარხეული ინვენტარი, კომპლექსში შემავალი სხვა კომპონენტების გაუთვალისწინებლად, ჩამოთვლილი საკითხების შესწავლისას არ გამოდგება განმსაზღვრელ ფაქტორად.

სამარხეული ინვენტარის განხილვა დასახლებული პუნქტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ პუნქტში არსებული სამაროვნის და ამ სამაროვანზე საკვლევი კომპლექსის ადგილის, სამარხის სახეობის, დაკრძალვის წესისა და დროისაგან მოწყვეტით, აგრეთვე ზემოთ ნახსენები საკითხების შესწავლა-გათვალისწინების გარეშე, წარმოგვიდგენს წარსულის არასრულყოფილ და რაც ყველაზე სამწუხაროა, არასწორ სურათს.

თავისთავად, სამარხეული ინვენტარი წარმოადგენს კომპონენტს, რომლითაც ხდება უშუალო კავშირის დადგენა გარდაცვლილისა და მის ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობას შორის; ნივთიერი მასალა, რიგ შემთხვევაში, გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის გარდაცვლილის რელიგიური კუთვნილების შესახებაც. თუმცა, მხოლოდ სამარხეული ინვენტარის შესწავლით, ვიმეორებ, სხვა მონაცემების (მაგ., სამოსახლოებიდან მომდინარე მასალის) გაუთვალისწინებლად, შეუძლებელია დადებითი ობიექტური დასკვნების გაკეთება რელიგიის ისტორიის, ისევე და ისევე სოციალური სტრატეფიცირებისა თუ ეთნიკური კუთვნილების საკითხების კვლევისას.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოების გაუთვალისწინებლად, ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, როდის ასახავს სამარხეული ინვენტარი გარდაცვლილის მხოლოდ ქონებრივ შესაძლებლობას და როდის მის სოციალურ სტატუსს ან რელიგიურ კუთვნილებას.

თვალსაჩინოებისათვის მოკლედ შევეხები ნივთების ორ, ძალზე საინტერესო და არაერთგზის განხილულ-გაანალიზებულ ნივთების ჯგუფს.

1. საქართველოსა და საზოგადოდ, ამიერკავკასიის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ლითონმქანდაკებლობის ძეგლებიდან, ბევრი პარამეტრით გამოირჩევა ბრინჯაოსაგან დამზადებული სარტყლები, რომელთა რაოდენობამ, დღიდან აღმოჩენისა (ფრ. ბაიერნი, სამთავროს ველი, 1872 წ.), მხოლოდ საქართველოში ორმოცს გადააჭარბა.

საქართველოში აღმოჩენილი სარტყლების კვლევა, უმეტესწილად, ხორციელდებოდა სამარხეული კომპლექსებიდან მოწყვეტით, განცალკევებით. ბრინჯაოს სარტყლების კვლევით დაკავებულ თითქმის არც ერთ მკვლევარს არ განუხილავს საკრძალავის აღმოჩენის პუნქტი და სამაროვანი, სამარხეული კომპლექსი (გარდაცვლილის სქესი, სამარხეული ინვენტარი), რომელშიც აღმოჩნდა კონკრეტული სარტყელი.

შესაბამისად, დასკვნებიც გამოჰქონდათ მხოლოდ საკვლევი ობიექტისა და სხვა, დეკორის თვალსაზრისით მსგავსი ნაკეთობების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე. ასეთი გზით მიღებული დასკვნები კი, რიგ შემთხვევაში აცდენილია რეალურ ვითარებას.

ბრინჯაოს სარტყლები, ისტორიული დიდი მცხეთისა და მიმდებარე პუნქტებში (ნარეკვავი, წეროვანი, ნაბაღრები) აღმოჩენილია მხოლოდ მამაკაცების განსასვენებლებში, რომელთაგან ნაწილი მაინც, უდავოდ გამოირჩევა თავისი სოციალური სტატუსით. ნათქვამის დასტურად გამოდგება, ამ რიგის სამარხებში, სარტყლებთან ერთად თიხის ჭურჭლის, სამკაულის და რაც მთავარია, საბრძოლო იარაღის ხაზგასმით დიდი რაოდენობით აღმოჩენა. ამავე რიგის რამდენიმე სამარხში დადასტურებულია ხელისუფლების ინსიგნიებიც (შტანდარტები, კვერთხის თავები და ა. შ.) [თ. ბიბილური. 2021:174].

იგივე შეიძლება ითქვას ბრინჯაოს ჭვირული ბალთების შესახებაც, რომლებიც დახურული კომპლექსებიდან, მხოლოდ ქალების სამარხებშია აღმოჩენილი; თანაც, თანმხლები ინვენტარის ნაწილი, რომელშიც ხაზგასმით საკულტო დანიშნულების ნივთების რაოდენობა იქცევა ყურადრებას [თ. ბიბილური. 2001:9,10].

აღნიშნული გარემოება, ვფიქრობ, იძლევა საცთურს, ახლებური კუთხით განვახორციელოთ გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და გვიანრომაული ეპოქების ლითონმქანდაკებლობის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების კვლევა. დარწმუნებული ვარ, კვლევის შედეგები არა მარტო განსხვავებული, არამედ საკმაოდ საინტერესო დამატებითი ინფორმაციის მომცემი იქნება.

კიდევ ერთი, ძალზედ მნიშვნელოვანი და უცილობლად განსახილველი საკითხი. სამარხეულ კომპლექსის კვლევისას, მასში შემავალი თითქმის ყველა ნივთი სკრუპულოზური ანალიზი ხორციელდება (რაც სრულიად ბუნებრივია); თუმცა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაკრძალვის წესის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა სამარხში გრძივი ღერძისა და მასში ჩასვენებული ნეშთის დამხრობა, ორიოდ გამონაკლისის გარდა, არასოდეს გამხდარა ყურადღების საგანი [რ. რამიშვილი. 1979:58; მისივე. 1983:112; ჯ. ნადირაძე. 1975:76; თ. ბიბილური. 1983; მისივე. 1998; ვ. ჩიხლაძე. 2015:161-165].

მეტიც, ძალზედ ხშირად დამხრობის ფიქსაციაც კი არ ხდება სათანადოდ; თითქმის სრულადაა უგულვებელყოფილი სამარხისა და მიცვალებულის დამხრობის გაზომვა სათანადო სიზუსტით.

შემიძლია ჩამოვთვალო სხვადასხვა წლებში გამოცემული ათობით ნაშრომი, რომლებშიც დამხრობის შესახებ ნათქვამია მხოლოდ ის, რომ „დამხრობა გარკვეულ კანონზომიერებას არ ემორჩილება“, „სამაროვანზე დაკრძალვა ხორციელდებოდა ნებიმიერი მიმართულებით“; მეტიც, გვხვდება პუბლიკაციები, სადაც საერთოდ არაა ნახსენები დამხრობა ან მხოლოდ სამარხის გამართვის მიმართულებაა მოცემული და ა. შ. მსგავსი ნაშრომების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ჩამოთვლას აზრი არა აქვს.

არადა, სამარხის ჩადგმის ღერძის (დამხრობის) დიდი სიზუსტით ფიქსაციის, პალეოასტრონომიული, ასტრონომიული და სხვა მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელია არაერთი საყურადღებო ინფორმაციის მიღება; მათ შორის, იმის დადგენა, თუ წლის რომელ დროსაა კონკრეტული სამარხი გამართული [Б. В. Фармаковский. 1901:17; Я. И. Гумель 1936:214; თ. ბიბილური. 1983:40-42].

1976-1979 წწ., არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხ-ლი აკად. ანდრია აფაქიძე) სამთავროს რაზმის (ხ-ლი, ბატონი გიორგი მანჯგალაძე) შემადგენლობაში მუშაობისას, საშუალება მომეცა დიდი მცხეთის საქალაქო სამაროვნის ჩრდილო უბანზე (სამთავროს ველი) გრადუსებისა და რიგ შემთხვევაში, მინუტების სიზუსტით გამეზომა 90 სამარხი; უპირატესად,

ქვაყუთები და თიხის ფილასამარხები, რომელთაგან 50 სამარხი გაუმართავთ ძირითადი O – W ღერძიდან სამხრეთისაკენ გადახრით; შესაბამისად, აღნიშნული სამარხები გაუმართავთ ზამთარში.

მასალის სიმცირის გამო, შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ძნელია, თუმცა, უდავოდ დადასტურდა, რომ ზამთრის პერიოდში სიკვდილიანობის პროცენტი, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე წლის სხვა პერიოდებში [თ. ბიბილური. 1983:42].

დიდი მნიშვნელობა აქვს სამარხეული კომპლექსის კვლევისას დაფიქსირებული სხვა მონაცემების ანალიზსაც. აი, რამდენიმე მაგალითი:

1. დიდი მცხეთის საქალაქო სამაროვანის ჩრდილო უბანზე დაკრძალულთა სქესისა და ასაკის კვლევით და მიღებული მონაცემების სხვა ქრონოლოგიური ჯგუფების მონაცემებთან შედარებით გაირკვა, რომ დიდი მცხეთისა და შემოგარენის მცხოვრებთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, წინა პერიოდებთან შედარებით გვიანანტიკურ ხანაში გაზრდილა 10-15 წლით [იქვე].

2. შემდეგი მაგალითი. ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე დღემდე შესწავლილ თიხის ფილასამარხებში, ქარონის კულტთან დაკავშირებული დაფიქსირებული რიტუალის შესრულებისას (მონეტის პირში ან ხელში ჩადება), არც ერთხელ არ გამოუყენებიათ პართული მონეტა.

3. ქართლის სამეფოს ელინისტურ-გვიანრომაული ხანის სამაროვნების შესწავლით ირკვევა, რომ დაკრძალვისას ქალებისა და მამაკაცების უფლებრივი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ქართლის სამეფოს ნახსენები დროის საკრძალავებში, დედაკაცებისა და მამაკაცების სამარხეული ინვენტარი თითქმის ერთგვაროვანი იყო. განსხვავებაა მხოლოდ ერთ-ერთი სქესისათვის დამახასიათებელ სამოსისა თუ სამკაულის რაგვარობასა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა საიმქვეყნიო ნივთების მრავალფეროვნებას, ხარისხსა და რაოდენობას შორის. თუმცა, ვიმეორებ, ერთი სოციალური ფენის წარმომადგენელ დედაკაცებსა და მამაკაცებს, ფაქტობრივად, ერთნაირი შემადგენლობისა და რაოდენობის ნივთებს ატანდნენ სამარხში.

ვფიქრობ, ასეთივე საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციის მიღება შეიძლება ნებისმიერი ეპოქისა და რეგიონის სამაროვნების შესწავლისას მაქსიმალურად მრავალმხრივი და ზუსტი ფიქსაციის შემთხვევაში.

მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წესებიდან, დროში ერთი ყველაზე მდგრადი კომპონენტია სამარხში მიცვალებულის სხეულის მდებარეობა და დამხრობა. ქრისტიანობისა და მოგვიანებით ისლამის გავრცელებამდე, უპირველესად, სწორედ ეს ორი კომპონენტი განსაზღვრავდა გარდაცვლილის ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებას, სოციალურ სტატუსსა და ქონებრივ შეძლებას. ორივე ეს კომპონენტი, ჩამოყალიბებული და მკაცრად განსაზღვრულია კონკრეტული ეთნოკულტურის წიაღში შექმნილ-დაკანონებული რელიგიური და სხვა სახის კოდექსების მიხედვით.

სამაროვნების, საკრძალავების ტიპების, დაკრძალვის წესებისა და კომპლექსებში დადასტურებული ნივთიერი მასალის გამოწვილვითი ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება სხვა რიგის წყაროების მონაცემებთან, ახალ გასაღებს იძლევა საქართველოს მოსახლეობის როგორც ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ისევ და ისევ, სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ადრეანტიკურ-ელინისტური დროიდან ვიდრე ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრებამდე.

2. მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ცნებების განსაზღვრის საკითხისათვის.

ქართული ენა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ არაერთ ცნებას იცნობს, რომელთაგან თითოეული, დროთა განმავლობაში, იძენს გარკვეულ მნიშვნელობას. ასეთებია, დამარხვა, დაფლვა, დაკრძალვა; სამარხი, საკრძალავი და სხვ.

აღნიშნული ცნებები, გამოწვილვით აქვს განხილული ეთნოგრაფ სტეფანე მენტეშაშვილს არც თუ დიდი მოცულობის, მაგრამ მრავალმხრივ საინტერესო წერილში „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის“ [1944:163-176]; აღნიშნული ნაკვლევი, რომელიც შეიქმნა თითქმის 80 წლის წინ,

დღემდე ერთადერთ სრულფასოვან ნაკვლევად რჩება ქართული არქეოლოგიური კვლევის მიმარულებით.

აწ განსვენებული მკვლევარის სტეფანე მენტეშაშვილის მიერ შესწავლილი ცნებების ნაწილი (მაგ., სამარე, სამაროვანი, დაკრძალვა, აკლდამა) მყარად დამკვიდრდა ქართულ არქეოლოგიურ (და, არა მარტო) ლიტერატურაში; ნაწილი, ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლა-დაზუსტებას.

სამწუხაროდ, ბატონ სტეფანე მენტეშაშვილის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, თითქმის არ გამხდარა ქართველ მკვლევართა შესწავლის საგანი. ცალკეული არქეოლოგიური (არა მხოლოდ სამარხეული) ცნებებისადმი მიძღვნილი ნაკვლევები, დიდად ვერ ცვლიან ვითარებას [ა. აფაქიძე. 1966:7-11; გ. მინდიაშვილი. 1980:175-186; თ. ბიბილური. 1983:9-12,25-29].

ნახსენები ცნებების გარდა, ქართულ ენაში დაცულია არაერთი სიტყვა, რომელსაც შეუძლია გაამდიდროს და მეტი სიცხადე შეიტანოს მიცვალებულის გარდაცვალება-დაკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებში.

სახელდობრ, დასაზუსტებელ ცნებათა რიგს განეკუთვნება „დაკრძალვის წესი“ ან „დამარხვის წესი“, რომლებიც ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენოვან სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინების (“Mortuary Practics” და „Burial ritual”; “Bestattungsritual” - “Rituale zur Bestattung” და “Bestattungsmethode”; “Погребальный обряд”, “Способ захоронения”) თანაბარზომიერად გამოიყენება; თუმცა, შინაარსობრივად, დამოწმებულ ცნებებს შორის სხვაობა დიდია (განსაკუთრებით ინგლისურ “Mortuary Practics”-თან მიმართებაში).

ინგლისური “Burial ritual”, გერმანული “Bestattungsmethode” და რუსული “Способ захоронения“, გულისხმობს, წინასწარ ყოველმხრივ მომზადებული მიცვალებულის ნეშთის, ასევე წინასწარ მომზადებულ სამარხში ჩასვენებას.

“Mortuary Practics”, “Bestattungsritual” და “Погребальный обряд”, კი გულისხმობს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ყველა სტადიას - მიცვალებულის დასაკრძალავად მოსამზადებელი რიტუალის შესრულებას (განბანვა, შემოსვა და ა. შ.),

სამარხი ნაგებობის მოწყობა-გამართვას, მიცვალებულის პოზა-დამხრობას, სამარხეულ ინვენტარს.

ესა თუ ის სპეციალისტი გარკვეულწილად განსხვავებულ ტერმინოლოგიას და რიგითობას იყენებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამერიკელი მკვლევარის, პროცესუალური არქეოლოგიის ერთ ერთი ფუძემდებლის პროფ. ლუის ბინფორდის სქემა, რომელიც გულისხმობს შემდეგ ქმედებებს: 1. სხეულის მომზადება; 2. სხეულის დამუშავება; 3. მიცვალებულის განთავსება; 4. სამარხის კონსტრუქცია; 5. სამარხის დამხრობა და მდებარეობა; 6. ინვენტარის შემადგენლობა; 8. ინვენტარის რაოდენობა [L. S. Binford. 1971:22].

ისტ. მეცნ. დოქტ. ვადიმ მასონის სქემის მიხედვით, კვლევისას გასათვალისწინებელია ეთნიკური, სოციალური და იდეოლოგიური ასპექტები, რომელსაც ეფუძნება “Mortuary Practics”-„Погребальный обряд“-ი; ისინი კი, არქეოლოგიურ პრაქტიკაში სამი სეგმენტისაგან: 1. ინვენტარი; 2. „Burial ritual“-„Способ захоронения“; 3. სამარხის მოწყობა [B. M. Масон. 1976:150; სურ. ტექსტში17].

ქრისტიანული დოგმატიკის მიხედვითაც გარდაცვლილის გაპატიოსნება-დაკრძალვა შედგებოდა ხუთი, თუმცა, განსხვავებული ეტაპისაგან: 1. სხეულის მოსამზადებელი წესი, რომელიც სრულდებოდა დაკრძალვამდე; 2. წესი, რომელიც სრულდებოდა ტაძრამდე ან დაკრძალვის ადგილამდე; 3. წესები, რომელიც სრულდებოდა უშუალოდ დაკრძალვამდე; 4. დაკრძალვის აქტი; 5. დაკრძალვის შემდეგ განხორციელებული წესები [Иеромонах Николай (Летуновский). 2005].

ძველი ქართული ენა იცნობს მიცვალებულთან კულტთან დაკავშირებულ ზემოთ ნახსენებ ყველა ელემენტს. ისინი კარგადაა დიფერენცირებული ლიტერატურის ძეგლებში. მაგ. მოვიხმობ V ს. აგიოგრაფიულ ძეგლს „შუმანიკის წამება“, რომელშიც სტენოგრაფიული სიზუსტითაა მოცემული მთელი პროცესი, გარდაცვალებიდან დაკრძალვით დამთავრებული: „და მაშინღა მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად სუდარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა მისთაჲ. და ეგრეთ სხვათა მათ აღვიღეთ გვამი იგი ფრიად

დამაშვრალი...და განვბანეთ...და შევმოსეთ მჩვრითა მით (შედარ. „და მოიღეს გუამი იესუმსი და შეგრაგნეს იგი ტილოებითა სულნელითა მათ თანა, ვითარცა ჩვეულება არს ჰურიათად დაფლვასა“ [იოანე. I:19,40] ...და მაშინლა ეპისკოპოსმან მათ ორთავე - იოვანე და აფოც..., ყოვლითა კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხვენით პატიოსანნი ძვალნი და გამოვიხვენით წმიდასა მას ეკლესიასა... და დავჰკრძალენით წმინდანი იგი და დიდებულნი პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა“ [იაკობ ხუცესი. 1987:242,243].

დამოწმებულ ამონარიდში მოცემულია მიცვალებულის გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე სრული რიტუალი. სახელდობრ, დასაკრძალავად სხეულის მომზადება („...მსწრაფლ მოიღო ... შესაგრაგნელად სუდარი წმიდაა წმიდათა მათ და პატიოსანთა მისთა. და ეგრეთ სხვათა მათ აღვიღეთ გვამი იგი ფრიად დამაშვრალი... და განვბანეთ... და შევმოსეთ მჩვრითა მით...“); ეკლესიაში გადასვენება და დაკრძალვისწინა რიტუალის შესრულება („და მაშინლა ეპისკოპოსმან მათ ორთავე - იოვანე და აფოც..., ყოვლითა კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხვენით პატიოსანნი ძვალნი და გამოვიხვენით წმიდასა მას ეკლესიასა“); სამარხის მომზადება და ნეშთის დაკრძალვა („დავჰკრძალენით წმინდანი იგი და დიდებულნი პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა“).

მოცემული საკითხისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართველი ისტორიკოსების ვახუშტი ბატონიშვილისა და თეიმურაზ ბატონიშვილის შრომებში მოტანილი ცნობები.

„მკუდარსა დაჰფლიდიან ყოვლითა შესამოსლითა და საჭურველითა და სამკაულითა“ [ბატონიშვილი ვახუშტი. 1973:24];

ვახუშტის ამ ცნობის მეტ დეტალიზაციას ახდენს თეიმურაზ ბატონიშვილი: ჭირისუფალნი „...კაცთა მომკვდართა სამამაცოთა სამკაულითა და საჭურველითა, და ქალთა საქალო სამკაულითა, შთაუწყობდეს პირთა შინა დრჰკანსა ოქროსასა და

ვეცხლისასა და ესრეთ მისცემდეს პატიოსანსა დაფლვასა (დაკრძალვას, დამარხვას - თ.ბ.) მიწასა შინა“ [თეიმურაზ ბატონიშვილი. 1848:51].

ორივე ნაშრომში სრულყოფილადაა გადმოცემული წინარექრისტიანული დროის საქართველოში მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის ერთი კონკრეტული ასპექტი.

ქართული ეროვნული ტრადიცია, როგორც დავრწმუნდით, იცნობდა არა მხოლოდ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ პროცესს, არამედ, განასხვავებდა დაკრძალვის წარმართულ წესს ქრისტიანულისაგან [თ. ბიბილური. 1983:11].

დამოწმებული ამონარიდებიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ ცნებები „დაკრძალვა“ – „დამარხვა“ გულისხმობს კონკრეტული დროისათვის გაბატონებული წეს-ჩვეულებებით ყოველმხრივ მომზადებული ნეშტის, ასევე წინასწარ გამზადებულ სამარხში ჩასვენებას [იქვე].

ამრიგად, „დაკრძალვის წესი“ სრულად შეესატყვისება ინგლისური „Burial ritual“-ს, გერმანულ "Bestattungsmethode" -სა და რუსულ „Способ захоронения“-ს. შესაბამისად, არასწორი იქნება ამ ტერმინის უფრო ფართო შინაარსის გამოყენება; მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული იმ ელემენტების დამატება, რომელიც ცილდება წინასწარ მომზადებულ სამარხში ჩასვენებული მიცვალებულის პოზას, დამხრობას და ჩატანებულ ნივთებს.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებმა შემოგვინახეს კიდევ ერთი ცნება, რომელიც სრულად ასახავს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ მთლიან ციკლს და აბსოლუტურად შეესაბამება ინგლისურ "Mortuary Practics"-ს, გერმანულ Bestattungsritual“-სა და რუსულ „Погребальный обряд“-ს.

ესაა „სამკვდრო წესი“, მოცემული ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში: „...და ჯეროვნითა გალობითა და სანთელთა სიმრავლითა და საკმეველთა სულნელებითა შემურეს და დადვეს საფლავსა, რომელი-იგი თვით შეემზადა მას აღმოსავალით საკურთხეველისა...და ესრეთ სრულყვეს წესი იგი სამკვდროდ“ [ქელძ. 1978:118; ქმ.1. 1987:674,675] (ხაზი ჩემია - თ.ბ.).

ცნება „წესი სამკვდრო“ („სამკვდრო წესი“), რომ სრულად ასახავს გარდაცვლილის გაპატიოსნების მთელ რიტუალს, ნათლად ჩანს დამოწმებული ციტატიდან. „სამკვდრო წესი“ გულისხმობს როგორც დატირება-გლოვას, ასევე მიცვალებულის ნეშთის მომზადება-დაკრძალვას წინასწარ მომზადებულ სამარხში.

„სამკვდრო წესი“ უნივერსალური ცნებაა, რომელიც თანაბრად მიესადაგება ნებისმიერი რელიგიური კოდექსით განპირობებულ წესებს და მისი გამოყენება შეიძლება როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული კვლევისას.

შევეხები სამკვდრო წესთან დაკავშირებულ და არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ გამოყენებულ ცნებათა კიდევ ერთ ჯგუფს. ასეთთა რიგს განეკუთვნებიან "ინდივიდუალური სამარხი", "წყვილადი სამარხი", საოჯახო სამარხი", "საგვარეულო სამარხი", "კოლექტიური სამარხი". ძალზედ ხშირად ნახსენები ცნებები ვერ ასახავენ რეალურ ვითარებას; პირიქით, ამახინჯებენ ობიექტურ სურათს. შესაბამისად, აქ დასახელებული ტერმინებიდან თითოეული საჭიროებს დაზუსტებას, რიგ შემთხვევაში არსებულის ახალი ცნებით ჩანაცვლებას.

თითოეულ ცნებას განვიხილავ შესაბამისი მაგალითების მოშველიებით.

1. ინდივიდუალური სამარხი.

სამარხეული ძეგლებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში მყარად დამკვიდრებული და ყველაზე ხშირად გამოყენებადი ცნებებია „ინდივიდუალური სამარხი“, „ინდივიდუალური დაკრძალვა“: "ადრინდელ ორმოსამარხებში, მხოლოდ თითო მიცვალებული მარხია, ამიტომ ასეთ სამარხებს ინდივიდუალური სამარხები ეწოდება" (საქართველოს არქეოლოგია. 1959) (ხაზი ჩემია - თ.ბ.). „ორმოსამარხების უმეტესობა, როგორც მათი აღწერილობიდან დავრწმუნდებით, ინდივიდუალურია, ე. ი. თითო ადამიანისათვის არის განკუთვნილი“ [ალ. კალანდაძე. 1980:24]; „სათვალისწილის სამარხის... ყველა სამარხი ინდივიდუალურია...“ [ვ. ფიცხელაური. 1973:61] და სხვ.

იშვიათად ვხვდებით მის სახესხვაობას; მაგალითად, აკად. ლევან ჭილაშვილი, "ინდივიდუალური დაკრძალვის" თანაბარზომიერად იყენებდა "ერთეული

დაკრძალვა" ("ორმოსამარხები უმთავრესად ერთეული დაკრძალვით გვხვდება ..."
[ურბნისის ნაქალაქარი...]).

რეალურად, ცნება "ინდივიდუალური სამარხი" ყოველთვის არ გულისხმობს ერთი ინდივიდის დაკრძალვას; შესაძლოა, სამარხში დაკრძალული იყოს ორი ან მეტი მიცვალებული, მაგრამ სამარხი, მიჩნეული იქნეს ინდივიდუალურად, ანუ ერთი მიცვალებულისათვის გამართულად.

მაგალითად, სომხეთში, სევანის ტბის მიდამოებში გათხრილ ერთ-ერთ გორასამარხში ერთი მიცვალებულის ირგვლივ დასვენებული იყო ცამეტი ინდივიდი, რომლებიც ძირითადი მიცვალებულისათვის შეწირულ ტყვეებად ან მონებადაა მიჩნეული [Б. Пиотровский. 1949:58]; კიდევ უფრო ნათლადაა განსახილველი მომენტი დაფიქსირებული სოფ. ახმახის (მთიანი ყარაბაღი, აზერბაიჯანი), მიდამოებში გათხრილ სამ ყორღანში, სადაც გულაღმა გამოტოვ მდგომარეობაში დაკრძალული მიცვალებულისათვის, ჩაუყოლებიათ დამჯდარ მდგომარეობაში ჩასვენებული მსხვერპლად შეწირული ადამიანები (N 1 - სამი; N2 - ორი; N3 - რვა ინდივიდი). ჩონჩხების შესწავლისას გაირკვა, რომ ძირითადი მიცვალებულები რიგი ანთროპოლოგიური ნიშნებით განსხვავდებოდნენ ჩაყოლებული პირებისაგან [იქვე; შედ. იხილეთ ნ. თუმიშვილი. 1971:75,76];

საქართველოში მსგავსი ფაქტი დადასტურებულია გვიანბრინჯაოს ხანის მადნისჭალის სამაროვანზე. ძეგლის გამთხრელი ისტ. მეცნ. კანდ. ნიკოლოზ თუმიშვილი წერდა, რომ II გორასამარხის "ძირითადი სამარხის სახურავზე მდებარეობს ორი, უშუალოდ მასთან დაკავშირებული სამარხი. ამათგან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეორე სამარხი, სადაც მკვეთრად მოხრილ ჩონჩხს ზემოდან რიყის ქვები ეყარა: იქმნებოდა მიცვალებულის ჩაქოლვის სრული შთაბეჭდილება. საგულისხმოა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მონის ან ტყვეობაში მყოფი პირის შეწირვის, ან "საიქიო ცხოვრებაში" წარჩინებული პიროვნებისათვის მსახურის გაყოლების წეს-ჩვეულებასთან" [1972:74].

ალაზნის ველზე გათხრილ ყორღანებშიც დადასტურდა მსგავსი ვითარება. N1 ყორღანში აღმოჩნდა რამდენიმე მიცვალებული. ძეგლის მკვლევარი შიო დედაბრიშვილი მიიჩნევდა, რომ N1 ყორღანი განკუთვნილი იყო ერთი მიცვალებულისათვის, ხოლო დანარჩენები წარმოადგენდნენ მსხვერპლად შეწირულ პირებს [Ш. Дедабришвили. 1979:22-24].

ვანის ნაქალაქარზე გაითხარა ე. წ. "მეომრის სამარხი" (N9), რომელშიც "...რამდენიმე ჩონჩხი აღმოჩნდა. მის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო მთავარი მიცვალებული (ხაზი ჩემია - თ. ზ.), რომელიც ინვენტარის მიხედვით წარჩინებული მეომრისა უნდა იყოს.

„სამარხი ორმოს სამხრეთ ნაწილში, მთავარი მიცვალებულის ფერხით, ათიოდე სმ-ით უფრო მაღლა, აღმოჩნდა კიდევ ორი ჩონჩხი (ქალის და მამაკაცის)... მეორე ჩონჩხი ძაღლის ჩონჩხზე იყო დასვენებული" [ვანი I. გვ.203].

1884 წ. ა. ბობრინსკიმ მდ. ტიასმინას მარცხენა ნაპირზე გათხარა ყორღანი, რომლის ცენტრალურ ადგილას ესვენა ძირითადი მიცვალებული - ქალი და მის ფეხებთან მამაკაცი [А. Бобринский. 1901]. ო. განინას სრულიად მართებული დასკვნით, „ღარიბული ინვენტარი და მიცვალებულის პოზა მოწმობენ იმას, რომ ეს იყო მომსახურე მონა, რომელიც გააყოლეს მის ქალბატონ საიქიოში“ [О. Ганина. 1960:167].

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ყველა ეს სამარხი გამართულია ერთი მიცვალებულისათვის, ყველა დანარჩენი მიცვალებული კი წარმოადგენს მსხვერპლად შეწირულ პირს; ანუ, ამა თუ იმ კონკრეტული სამკვდრო წესის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს.

ამდენად, განხილული კომპლექსები უნდა მივიჩნიოთ არა წყვილად, საოჯახო ან კოლექტიურ (ამ ტერმინებს ქვემოთ განვიხილავ), არამედ ინდივიდუალურ სამარხებად; სრულად კი, ამ რიგის საკრძალავებს შეიძლება ვუწოდოთ "ინდივიდუალური სამარხი ადამიანის(თა) მსხვერპლშეწირვით".

ამრიგად, ინდივიდუალური სამარხი - ერთი მიცვალებულისათვის განკუთვნილი საკრძალავი ნაგებობაა; თუმცა, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ინდივიდუალურ სამარხში, გარდა ძირითადი მიცვალებულისა (საკუთრივ ვისთვისაც აიგო სამარხი), კრძალავდნენ შეწირულ პირებსაც. ამ შემთხვევაში სამარხი მაინც ინდივიდუალურია [გარდაცვლილთათვის ადამიანთა მსხვერპლშეწირვის შესახებ იხ. Н. Я. Бичурин, А. П. Ковалевский. 1956:147; Рашид Ад Дин. 1960:19].

„წყვილადი სამარხი“ (paired burial, twin burial – Zwillingsbestattung, paarweise Bestattung - парное погребение, парное захоронение).

ამ სიტყვათშეთანხმების გამოყენების დროსაც არაა ერთსულოვნება მკვლევართა შორის. არასწორ ტრადიციად დამკვიდრდა ცნება "წყვილადი სამარხის" გამოყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საკრძალავი გამოუყენებიათ ზოგადად ორი მიცვალებულის გასაპატიოსნებლად. მაგ., დედა-შვილის, მამა-შვილის, ორი მამაკაცის ან ორი ქალის, ორი ბავშვის.

განვიხილავ მაგალითებს. "ამ სამაროვნის (ნერონ-დერესის - თ.ბ.) ცალკეულ სამარხებში წყვილადი დაკრძალვის (ხაზგასმა ჩემია - თ.ბ.) შემთხვევებიცა გვაქვს (მაგალითად, ქალისა და ათიოდე წლის ქალიშვილისა) [საქართველოს არქეოლოგიის ... გვ. 285].

"...მოზრდილების სამარხი იყო (NN 5,6). მათში ძირითადი მიცვალებულის ძვლების გარდა აღმოჩნდა ადამიანის ძვლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც არ ეკუთვნოდა პირველს და მეტყველებდა ქვაყუთის მეორად გამოყენებაზე" [მ. სინაურიძე. 1977:185].

ცნება "ძირითადი მიცვალებული" აქ სრულიად უადგილოდაა გამოყენებული, რადგან "ძირითადი მიცვალებული" გულისხმობს პირს, ვის გასაპატიოსნებლადაცაა აგებული (გამართული) კონკრეტული სამარხი. ამასთან, თუ არსებობს ძირითადი მიცვალებული, იქვე უნდა იყოს იმ ინდივიდის(თა) ნაშთიც, რომელიც მსხვერპლად შეუწირავთ "ძირითადი მიცვალებულისათვის".

განხილულ შემთხვევაში ეს მომენტი არ ჩანს; პირიქით, ვისთვისაც გაუმართავთ სამარხი, ის ჩანს მიხვეტილ-შევიწროებული მეორე მიცვალებულის დაკრძალვისას (ავტორის მიხედვით, პირველი, ანუ ძირითადი მიცვალებულის დაკრძალვისას). განსახილველ ცნებასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ საქართველოს სინამდვილეში, ამ დროისათვის (ახ.წ. V-VI სს.) საზოგადოდ შეუძლებელია "ძირითად მიცვალებულზე" საუბარი. ვფიქრობ, ეს სადაო არ უნდა იყოს.

აღნიშნული ცნების არასწორი გამოყენების შემთხვევები გვხვდება უცხოენოვან ლიტერატურაშიც. მაგ., რუსი არქეოლოგები არც თუ იშვიათად იყენებენ ამ ცნებას ("парное захоронение") ორი ბავშვის, ორი ქალის და ა. შ. დაკრძალვის შემთხვევაში.

ასე მაგ., ი. მარჩენკო წყვილადად მიიჩნევდა ყველა იმ სამარხს, რომლებშიც დაკრძალულნი იყვნენ ქალა და ბავშვი [И. Марченко. 1957; ო. განინა კი წყვილადად თვლიდა ყველა იმ სამარხს, რომლებში დაფიქსირდა ორი, ოთხი და ა. შ. მიცვალებული [О. Ганина. 1960]

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება; თუმცა დამოწმებულიც საკმარისია საკითხის არსში გასარკვევად. ერთი უდავოა - ყველა ეს სამარხი განეკუთვნება სხვა ჯგუფებს, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ.

საოჯახო სამარხი. ესაა ცნება, რომელიც შედარებით იშვიათად გამოიყენება ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში. გარკვეული უპირატესობა ენიჭება სხვა, ჩემი აზრით, საკმაოდ მოუხერხებელ სიტყვათ შეთანხმებას - „კოლექტური სამარხი“. ამ უკანსაკნელ ტერმინს ქვემოთ შევხები; აქ კი, დავუბრუნდები ცნებას „საოჯახო სამარხი“.

ცნება „საოჯახო სამარხი“ გულისხმობს კონკრეტული ოჯახის წევრების დაკრძალვას ერთ სამარხში. შეიძლება იყოს დედა-შვილის საკრძალავი, რომელიც ჩვენში არც თუ იშვიათად არასწორად მოიხსენიება წყვილად სამარხად; მეუღლეების ერთ სამარხში ჩასვენება. მსგავსი სამარხის მიმართ, მეტი კონკრეტიზაციისათვის უმჯობესია გამოვიყენოთ ზემოთ განხილული ცნება „წყვილადი სამარხი“; საოჯახო სამარხების რიგს განეკუთვნება მშობლებისა და ბავშვების დაკრძალვა.

დიდი მცხეთის საქალაქო სამაროვანზე (სამთავროს ველი) სხვადასხვა დროს შესწავლილ იქნა რამდენიმე სამარხი, რომლებიც უდავოდ განკუთვნილი იყო ორი მიცვალებულისათვის, მაგრამ მათში მხოლოდ ერთი ნეშთი დაფიქსირდა; ყველა შემთხვევაში, დაკრძალული იყო დედაკაცი. ვფიქრობ, მათი საოჯახო სამარხებისადმი მიკუთვნება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

იგივე სამაროვანზე გავთხარეთ თიხისფილა სამარხი (N605), რომელშიც ორი, ზრდასრული ქალისა და მამაკაცის ნეშთი დავაფიქსირეთ. მათგან, ერთის ძვლები მზრუნველად იყო შეგროვებული სამარხის ერთ კუთხეში, ზემოდან ედო თავის ქალა და ორივე მიცვალებულისათვის განკუთვნილი ყველა ნივთიც მისთვის დაუწყვიათ. ცხადია, ეს ყოველგვარი კითხვის გარეშე სწორედ საოჯახო სამარხი იყო.

სამრავალკაცი სამარხი. განვიხილოთ კიდევ ერთი ცნება, რომელიც სულ ახლახანს ვახსენე. ესაა „კოლექტიური სამარხი“; ცნება, რომელიც გამოიყენებოდა და დღესაც ვხვდებით სამარხეული ძეგლებისადმი მიძღვნილ მაშრომებში.

დავიმოწმებ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. „ორმოსამარხების უმეტესობა, ინდივიდუალურია, მაგრამ ამავე დროს არის კოლექტიური სამარხებიც“ [ალ. კალანდაძე. 1980:24]; „...დანარჩენები კოლექტიურ სამარხებს წარმოადგენდნენ“ [ლ. ჭილაშვილი. 1964:68]; „...ხშირად ეს სამარხები კოლექტიურია...“ [კ. ფიცხელაური. 1973:77].

აღნიშნული ტერმინი, რომელიც ასე მყარად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში, ისევე როგორც ბევრი სხვაც, ჩვენში შემოვიდა რუსული ენიდან („**Коллективное погребение**“); თუმცა, სამკვდრო წესთან კავშირში ცნება კოლექტიური გამოიყენება ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაშიც [Robin Skeates და სხვები. 2021:382]. ვფიქრობ, ცნება „კოლექტიური“, მაინცდამაინც მარჯვე არ უნდა იყოს სამკვდრო წესთან მიმართებაში. მით უფრო, რომ ქართულ ენაში არსებობს შინაარსობრივად ტევადი და განსახილველ საკითხთან სრულად შესატყვისი ცნება „სამრავალკაცი“.

ცნება „სამრავალკაცო“ შემოგვინახეს ქართულ ენაზე თარგმნილმა ბიბლიურმა ტექსტებმა: „იხილენ გზანი შენნი სამრავალკაცოს შინა, და ცან, რად ჰყავ“ [იერემია წინასწარმეტყველი. 2.23]

„და განხვდე სამრავალკაცოდ ძეგბისა შვილთა მათთასა, რომელი არს წინა კართა ზედა ბჰისა ხარსიდისასა, და წარიკითხენ მუნ ყოველნი სიტყუანი, რომელნიცა ვთქუნე შენდამი. (+ 19, 2 იერემ. ZAA) სამძლე აკ(ა)ლდამა ZA.

„ამისთვის, აჰა, დღენი მოვლენან, - იტყვს უფალი, - და არა ეწოდოს მერმე ადგილსა ამას დაცემულება და სამრავალკაცო ძისა ენომისსა, არამედ სამრავალკაცო სრუსა“ [იერემია. 2,23].

„და იყოს, მას დღესა შინა მიეცეს გოგს ადგილი სახელოანი, საფლავი ისრაჴლსა შორის, სამრავალკაცოდ მომავალთად აღმოსავალით ზღვსადთ, და გარემოაშენონ პირისგარე ჳევისად; და დაჰვლან მუნ გოგ და ყოველი სიმრავლე მისი დაეწოდოს მრავალსაკაცო გოგისა“ [ეზეკ. 39,11].

სულხან-საბა ორბელიანი, სწორედ ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლიური ტექსტებიდან სათანადო მაგალითებს ეყრდნობა ცნება „სამრავალკაცო“-ს გამნარტებისათვის: „სამრავალკაცო (+ 19,2 იერემ. ZAA) სამძლე აკ(ა)ლდამა ZA. სამძლე აკლდამა (ეზეკ.39 39,11) B. აკლდამა ძვალთა, გინა ჳეობა C“ [1993:40].

ქართულ ენაზე თარგმნილი ბიბლიური ტექსტებიდან და სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომიდანაც ჩანს, რომ ცნება „სამრავალკაცო“ უნივერსალური ცნებაა (სამრავალკაცო ხეობა, სოფელი, სამარე), რომლითაც სრულად შეიძლება უცხო ტერმინის ჩანაცვლება.

სამარხთან კავშირშია წარმდგენილი აღნიშნული ცნება, ონლაინ არქიტექტურული ლექსიკონში: „სამრავალკაცო – ყორღანი; სამაგრით გარშემორტყმული სამარხი, რომელიც რამდენიმე აკლდამას მოიცავს“.

1979 წ. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის (ხ-ლი აკად. ანდრია აფაქიძე) წილკნის რაზმმა (ხ-ლი ვახტანგ ნიკოლაიშვილი) სოფ. წილკანში შეისწავლა გვიანანტიკურ-ადრემუასაუკუნეების ძეგლები (ნამოსახლარის, ეკლესიისა

და სამაროვნის ნაშთები), რომელთა შორის ბევრი პარამეტრით გამოირჩა კარგად დამუშავებული ქვათლილებით ნაგები აკლდამა.

„აკლდამაში რვა მიცვალებული აღმოჩნდა დასვენებული - ყველა მამაკაცი. შვიდი მიცვალებული ტახტრევენებზე და მათ შორის არსებულ ფართობზე იყო დაკრძალული ქრისტიანული წესით - გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ერთი მიცვალებული კი I ტახტრევენის თავთან იყო ჩაფლული აკლდამის იატაკში...წილკნის აკლდამა აშკარად მაღალი რანგის სასულიერო“ [მცხეთა. VI. 1982:200, 201].

ამ, მრავალი პარამეტრით გამორჩეულ აკლდამას, სწორედაც, რომ განხილული ცნება მიესადაგება - „სამრავალკაცო აკლდამა“.

ასეთია სამკვდრო წესთან დაკავშირებული საკითხების ჩემეული მოკლე ანალიზი. დასასრულ, სრული გულწრფელობით მინდა ვთქვა, რომ მადლიერი ვიქნები განსახილველად წარმოდგენილ საკითხებში გაწაფული ყველა კოლეგის, ვინც არ დაიზარებს და კრიტიკულად შეაფასებს ჩემს ამ მცდელობას. მსგავსი აქტივობა მხოლოდ წაადგება საქმეს და ვინძლო, სათავე დაუდოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისადმი ინტერესის გაღვივებას.

ბიბლიოგრაფია

აფაქიძე ანდრია. გორა, გორანამოსახლარი, გორასამარხი. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. კრებ. მიძღვნილი აკად. ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს. „მეცნიერება“. თბილისი. 1966

აფაქიძე ანდრია. მცხეთა. 1976-1979 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. არქეოლოგიური კვლევის შედეგები. ტ. VI. „მეცნიერება“. თბილისი. 1982

ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1941

ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. IV. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1973

ბატონიშვილი თეიმურაზ. ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა. 1848

ბიბილური თეიმურაზ. თიხისფილა სამარხები ანტიკური ხანის საქართველოში. საკანდიდატე დისერტაცია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1983

ბიბილური თეიმურაზ. ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის სამაროვანი (დაკრძალვის წესების ახლებური გააზრების ცდა). კულტურის ისტორიის საკითხები. „ირმისა“. თბილისი. 1998

ბიბილური თეიმურაზ. ბრინჯაოს ქართული ჭვირული ბალთების დანიშნულების შესახებ. წინარეჟრისტიანული ხანის ქართული ხელოვნება. საქართველოს აკად. შალვა ამირანაშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმის II სამეცნიერო სესია. მასალები. თბილისი. 2001

ბიბილური თეიმურაზ. რეცენზია შოთა ირემაშვილის ნაშრომზე „ხეკორძულას ხევის არქეოლოგიური ძეგლები“. აკად. ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-არქეოლოგიური ჟურნალი „არქეოლოგია“, N 4. „AUREUS“. თბილისი. 2021

ზარზმელი ბასილ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. 1. „ნაკადული“. თბილისი. 1967

ზარზმელი ბასილ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1978

თუშიშვილი ნიკოლოზ. მადნისჭალის სამაროვანი. „მეცნიერება“. თბილისი. 1971

მენტემაშვილი სტეფანე. მიცვალებულთა დამარხვის წესისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის. საქართველოს სახემწიფო მუზეუმის მოამბე. XII-B. თბილისი. 1944

იაკობ ხუცესი. შუშანიკის წამება. ქართული მწერლობა. ტ. 1. „ნაკადული“. თბილისი. 1987

კალანდაძე ალექსანდრე. სამთავროს სამაროვნის წინარეანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსები. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევის შედეგები. ტ. V. „მეცნიერება“. თბილისი. 1981

ლორთქიფანიძე ოთარ. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ. ვანი. I. არქეოლოგიური გათხრები 1947-1969. „მეცნიერება“. თბილისი. 1972

მინდიაშვილი გიორგი. გორა ნამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N 4. „მეცნიერება“. თბილისი. 1980

ნადირაძე ჯურხა. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1975

რამიშვილი რამინ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. „მეცნიერება“. თბილისი. 1979

რამიშვილი რამინ. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-73 წწ. განათხარის მიხედვით. ჟინვალი. I. „მეცნიერება“. თბილისი. 1983

ჩიხლაძე ვერა. ჟინვალის სამაროვანი. წინარექრისტიანული ხანის ჟინვალის სამაროვანი (კატალოგი და გამოკვლევა). თბილისი. 2015

წინასწარმეტყველება იერემიასი. მცხეთური ხელნაწერი. გამოსაცემად მოამზადა ელენე დოჩანაშვილმა. „მეცნიერება“. თბილისი. 1985

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელაშვილმა და სხვ. თბილისი. 1962.

ჭილაშვილი ლევან. ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი. 1964

Алекшин Вадим. Погребальный обряд как археологический источник // КСИА АН СССР. 167. 1981.

Binford Lewis. Mortuary Practics: Their Study and Their Potential – Mem of the Society for American Archaeology, N 25. 1971.

Бобринский Алексе́й. Курганы и случайные археологические находки близ местечка Смелы. Санкт-Петербург. 1901

Ганина Ольга. О женских захоронениях в парных погребениях скифского времени 1960. ЗОАО.І(34). Одесса. 1960

Дедабришвили Шио. Курганы Алазанской долины. Тбилиси. 1979

Бичурин (Иаринф) Никита. Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена. Т. I. М.-Л. 1950;

Ковалевский Андре́й. Книга Ахмеда Ин Фадлана о его путешествии на Волгу в 921-922 гг. Харьков. 1956

Марченко Ирина. Раскопки восточного некрополя Фанагории в 1950-1951 г. МИА. N 57. Москва. 1957

Массон Вадим. Экономика и специальный строй древних обществ (в свете данных археологии). „Наука“. Ленинград. 1976

Пиотровский Борис. Археология Закавказья. Издат. ленинградского университета им. А. А. Жданова. Ленинград. 1949

Рашид Ад Дин. Сборник летописей. Т. II. М.-Л. 1960. С.19.

Сепир Эдвард. Избранные труды по языкознанию и культурологии. Пер. с англ. под ред. и с предисл. д-ра филол. наук проф. А. Е. Кибрика. Прогресс: Универс, Москва. 1993.

Skeates Robin. Rethinking Collective Burial in Mediterranean Caves: Middle Bronze Age Grotta Regina Margherita, Central Italy. 2021

ემღვნება აკადემიკოს გურამ
ლორთქიფანიძის ხსოვნას

ქუფური მონეტების განძი საგარეჯოდან

აბრეშუმის გზის საკითხები ნუმისმატიკური მასალების მიხედვით

ელინიზმის პერიოდის დადგომა, კერძოდ კი მაკედონური დაპყრობები, მომწიფებული იყო საწარმოო ურთიერთობის განვითარებით აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, პონტოს ქვეყნებში და აზიაში. ძვ.წ. IV ს. ელინიზმის სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები უმთავრესად ვაჭრობაში გამოჩნდა. ძველი სტრატეგიული ცენტრები კარგავდნენ ან ინარჩუნებდნენ თავის მნიშვნელობას, იმის მიხედვით, თუ როგორ ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ მთელ ელინისტურ სამყაროსთან მიმართებაში.

აღმოსავლურმა კულტურამ ურთიერთზეგავლენის პრიზმაში განვითარების გრძელი და უაღრესად საინტერესო გზა განვლო. არაბებმა ბევრი რამ გადაიღეს წინა აზიის ხალხთა მონაპოვრებიდან დაპყრობითი ომების წყალობით. ეზიარნენ ბიზანტიურ, ირანულ კულტურას. სპარსელებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს არაბულ - მუსლიმური კულტურის განვითარებაზე, თურქმენული წარმოშობის ხალხი შემდგომში მათი მოწაფეები აღმოჩნდნენ.

თავის მხრივ უძველესი ჩინური და ინდური ცივილიზაციები ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა კულტურაზე. გარესამყაროსთან ჩინეთის კულტურულ ურთიერთობებში უმთავრესი როლი შეასრულა დიდმა აბრეშუმის გზამ, რომელიც ძვ.წ. II ს. ჰანის დინასტიის ბატონობისას გაიკვალა ჩჟან ციანის ელჩობის დროს ბაქტრიაში. იმ დროიდან მოყოლებული ამ გზაზე სავაჭრო ქარავნები მიემართებოდა შუა აზიაში, ირანში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და სხვ. აბრეშუმის გარდა ჩინეთიდან გაჰქონდათ რკინა, სპილენძი, კალა ძვირფასი ქვები და სხვა მეტალები. დასავლეთიდან კი შეჰქონდათ შუშა, ჭურჭელი, ასევე სანელებლები ინდოეთიდან და სხვა. აბრეშუმის გზის მეშვეობით სხვადასხვა ქვეყნებს შორის არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ვითარდებოდა, არამედ მიმდინარეობდა კულტურათა გაცნობა-გაზიარება.

ჩინეთში თანგის დინასტიის ბატონობის ხანაში (618-907წწ.) ისლამის მომძლავრება დაიწყო. პირველი არაბული ელჩობა 651წ. გამოჩნდა. არაბებმა მნიშვნელოვანი შუამავლის როლის შესრულება დაიწყეს აღმოსავლეთისა

და დასავლეთის კულტურულ-სავაჭრო ურთიერთობებში. ერთი საუკუნის შემდეგ – 751წ. მდინარე ტალასთან (ჩრდ. ყირგიზეთი) ბრძოლაში მათ ჩინელები დაამარცხეს და აბრეშუმის გზის დასავლეთ ნაწილს დაეპატრონენ. სწორედ არაბთა წყალობით ჩინელთა გამოგონებები ევროპაში მოხვდა. მაგალითად: კომპასი, ქაღალდი, წიგნის ბეჭდვა, ასევე გავრცელდა ჩინური ხელოსნური ნაკეთობები.

მართალია, შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური კულტურა ორგანულად უკავშირდება ისლამს, მაგრამ ამ კულტურის საწყისი ელემენტების სასაზღვრო ირანში ჩაისახა. სწორედ მისი კულტურული მონაპოვარი იქცა შემდგომში მუსლიმური კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც VII-VIII სს. ყალიბდებოდა, განვითარების მაღალ საფეხურს და აყვავებას IX-X სს. მიაღწია. არაბულ-მუსლიმური კულტურა მოიცავდა ერთდროულად დასავლურ და აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებს. რომელთა გამოვლენა სხვადასხვა რეგიონში ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში რომაულ-ბიზანტიური გავლენა დომინირებდა, აღმოსავლეთ ნაწილში – ირანული გავლენა. ეს განპირობებული იყო რომისა და ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობით, ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ნაწილში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – ირანისა. შესაბამისად, თუ რომაელთა ბატონობის ხანაში (661-750) პრიორიტეტი რომაულ-ბიზანტიურ ინსტიტუტებს ენიჭებოდა, სახალიფოს შემდგომი დინასტიის, აბასიდების დროს (750-1258) ირანის ძლიერი ზეგავლენა გამოიკვეთა.

ძვ.წ. 139-126 წლებში გაიხსნა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშირებდა. მე-19 ს-ის გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა¹ მას მოხდენილი სახელი – „აბრეშუმის გზა“ უწოდა. ამ გზით ვაჭრობას დასაბამი მიეცა ძვ.წ. II საუკუნეში. აბრეშუმის დიდი გზა იწყებოდა სიანში. ქ. დუნხუანიდან იგი ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ორივე გზა - პირველი ლობნორის ტბის ჩრდილოეთით ქ. ტურფანის, მეორე კი იმავე ტბის სამხრეთით ქ. ხოტანისა და ქ. იარქენდის გავლით ქ. კაშგარში იყრიდა თავს. აქედან ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან შავი ზღვით ბიზანტიასა და რომს აღწევდა. მეორე გზა კაშგარიდან ბალხსა და ჩრდილოეთ ირანზე გავლით შუამდინარეთისაკენ, იქიდან კი ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისაკენ მიემართებოდა.

აბრეშუმის დიდი გზით უმთავრესად გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი, რომლის მთავარი მომხმარებელი რომის წარჩინებულები იყვნენ. აბრეშუმის ექსპორტი რომში (შემდეგ ბიზანტიაში) ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების პართიისა და მოგვიანებით სასანიანთა ირანის შუამავლობით ხორციელდებოდა. ჩინური აბრეშუმის შეტანა რომს ყოველწლიურად 100 ათასი

1. ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენი. (1833 - 1905). გერმანელი გეოლოგი და გეოგრაფი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის მკვლევარი. იგი ითვლება გეომორფოლოგიის ფუძემდებლად და პირველად იყენებს ტერმინს „აბრეშუმის გზა“

სესტერციუსი უჯდებოდა. აბრეშუმის დიდი გზის იმ მონაკვეთისათვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთზე გადიოდა, რომსა და ბიზანტიას საუკუნოვანი ომები ჰქონდათ ჯერ პართიასთან, შემდეგ სასანიანთა ირანთან. აღსანიშნავია, რომ აბრეშუმის დიდი გზის მარშრუტები პართიაში სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა. VII-IX საუკუნეებში ამ გზით შემოტანილი საქონლით ვაჭრობას არაბთა სახალიფო უწყევდა კონტროლს. შემდგომში მასზე მონოპოლია მონღოლებმა დაამყარეს.

აბრეშუმის დიდმა გზამ მნიშვნელობა დაკარგა XVII საუკუნის მიწურულს, როდესაც ევროპელებმა საბოლოოდ აითვისეს საოკეანო გზები აფრიკის შემოვლით.

აბრეშუმის გზამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ზემოთ მოგახსენეთ იმ ნედლეულის, ნაკეთობებისა და ნოვაციების შესახებ, რითაც აღმოსავლური განვითარებული სახელმწიფოები ამარაგებდნენ დასავლეთს. ურთიერთგაცვლით არანაკლებ სარგებლობდნენ ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები. ამ გზით აღმოსავლეთში შევიდა მინა, ფუფუნების საგნები, გავრცელდა ზოგიერთი კულტურული მცენარე, არაბული ცხენი და სხვა, შეაღწია აგრეთვე რელიგიურმა და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმი, მანიქეველობა, იუდაიზმი, ისლამი, ნესტორიანელობა).

იაპონელმა არქეოლოგებმა ანკორში ქაშანური ჭურჭლის ნაშთები და სხვა ისეთი არტეფაქტები აღმოაჩინეს, რომელთა ადგილობრივი წარმომავლობა შეუძლებლად მიიჩნია საერთაშორისო დონის ექსპერტებმა. დადგინდა -- ანკორის სამეფოს სიმდიდრეს და კეთილდღეობას აღებ-მიცემობა უფრო განაპირობებდა, ვიდრე ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზეც ორი ან სამი მოსავლის მიღება შეეძლოთ წლის განმავლობაში.

ამგვარად, აბრეშუმის გზა, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებდნენ, ოქროს აბრეშუმის გზა, ერთმანეთთან აკავშირებდა მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციებს: ჩინეთს, მონღოლეთს, ინდოეთს, საბერძნეთს, ბიზანტიას, ირანს, მესოპოტამიასა, რომს და სხვ. ეს იყო ორმხრივად მიმართულების მარშრუტი, რომელსაც უამრავი განშტოება ერთვოდა, მათ შორის – ჩრდილოეთ ევროპის ქარვის გზა.

კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში გადიოდა სავაჭრო გზები. VI-IV საუკუნეებში ბერძნული ნაწარმი მტკვრისა და რიონ-ყვირილას მთელ მაგისტრალზე მოედინებოდა. აბრეშუმის გზის 12 ათას კილომეტრზე გადაჭიმული ამ მარშრუტის მთავარი ცენტრები თანდათანობით იქცა ვაჭრობის, კულტურისა და რელიგიის მძლავრად განვითარებულ კერებად, როგორც ვხედავთ, აბრეშუმის გზა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხოლოდ დამაკავშირებელი კონცეფცია კი არ არის, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთისაც. (ხაზგასმა ჩვენია, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად შევჩერდებით).

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გზების მნიშვნელობის წარმოსაჩენად, ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ აბრეშუმის გზის საყოველთაო როლს მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესში -- ამ ტრანსკონტინენტალური მაგისტრალის მეშვეობით შემოდიოდა ძვირფასი ქვები ინდოეთიდან და პაკისტანიდან, ბეწვეული რუსეთიდან,

ოქროსა და ვერცხლის ნატიფი ნაკეთობანი თურქეთიდან და სხვა. დასავლეთმა სწორედ ამ გზის მეშვეობით შეიტყო ბუდიზმის, ზოროასტრიზმის, კონფუციანელობის არსებობა, ევროპამ კი მისიონერები წარგზავნა აღმოსავლეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად. იდეების ურთიერთგაცვლა მიმდინარეობდა ანტიოქიაში, არზრუმში, ჰამადანში, ბუხარაში, სამარყანდში და მრავალ სხვა ქალაქში, რომელთა სახელები ახლა დაკარგულია. თვალს თუ გადავავლებთ აბრეშუმის გზაზე არსებულ ქვეყნების ისტორიას (იაპონია, კორეა, ჩინეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, საბერძნეთი, ეგვიპტე), აღმოვაჩინთ კულტურათა ურთიერთგავლენის უამრავ მაგალითს, ახალი მიმართულებების გაჩენას ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში და არქიტექტურაში რომლებიც კულტურათა მიჯნაზე შეიქმნა. ბერძენმა ისტორიკოსებმა²

შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-ის საუკუნეებში საქართველო წარმოადგენდა სავაჭრო მაგისტრალს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა არა მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, არამედ სამხრეთსა და ჩრდილოეთსაც. ეს გზა ისტორიულად არსებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარე საერთაშორისო სავაჭრო გზათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროებზე სავაჭრო ფაქტორიები ჯერ კიდევ ძვ.წ VIII-VII სს. დაარსდა. VI-IV სს. ბერძნული ნაწარმი მოედინებოდა მდინარე მტკვრის, რიონ-ყვირილასა და ტეხურის მთელს მაგისტრალზე.

XII-XIV ს.ს მონღოლებისა და შემდგომ თემურ ლენგის ლაშქრობებმა მოშალეს ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკა. მონღოლების დიდი ექსპანსიის შედეგად უაღრესად დიდი სივრცე ერთ მმართველობაში მოექცა, მათ დაიქვემდებარეს მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, შექმნეს ერთიანი საბაჟო სისტემა. შემდეგ 1453წ. ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობამ, ამიერკავკასია დიდი ხნით ჩამოაშორა დასავლეთის ცივილიზაციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამას მოჰყვა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და საზღვაო მაგისტრალების გახსნის შემდეგ აბრეშუმის საქარავნო-სავაჭრო გზამ ნელნელა შეწყვიტა თავისი არსებობა, საქარავნე გზის გასწვრივ მდებარე ქალაქები თანდათანობით მიტოვებული იქნა და ზოგიერთი მათგანი ქვიშით დაიფარა.

მოგეხსენებათ ძვ.წ. IV საუკუნის შემდგომ პერიოდში საქართველოს დედაქალაქი მცხეთა გახლდათ, ამ დროს ვაჭრობა განსაკუთრებულ ხასიათს იღებს. ბერძნული კულტურა ერწყმის ახლო აღმოსავლეთის უაღრესად კარგად განვითარებულ კულტურას. ვაჭრობისა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის გარდა ეს სამხედრო გზაც გახლდათ. ვინც ფლობდა კავკასიაში ამ გზებს და მათი უსაფრთხოების გარანტი იყო ის ფლობდა კავკასიას და მის კარიბჭეებსაც აკონტროლებდა. სწორედ იმის გამო, რომ საქართველო ამ გზაზე მდებარეობს, ფაქტობრივად, აღმოსავლეთიდან შემომავალი გზის კარიბჭეებს

2. პლუტარქე (დაახ. 46–127). ნიკოლოზ დამასკელი (ძვ.წ 64–4 წლის შემდეგ). სტრაბონი (ძვ.წ 64/63 – ახ.წ 23/24).

აკონტროლებს, ესარისგზაჩრდილოკავკასიაზე, შავი ზღვის სანაპიროსკენ დასამხრეთით ხმელთაშუაზღვის ქვეყნებისკენ. თბილისი ისევე, როგორც მცხეთა ამ გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ქალაქი თბილისი ერთგვარად ითვლებოდა იბერიის დედაქალაქის – მცხეთის დასამეფოს აღმოსავლეთ კარიბჭედ. მტერს შემოჭრის შემთხვევაში, ჯერ კარგად გამაგრებული სამხედრო გარნიზონისთვის უნდა აეყო გვერდი, რომელიც თბილისს იცავდა და შემდეგ დედაქალაქ მცხეთისაკენ უნდა გაელაშქრა. არქეოლოგიურმა კვლევამ, რომელიც 40 სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარდა, ასევე ქალაქური ტიპის ციხე-სიმაგრისა და ანტიკური ხანის აბანოს აღმოჩენამ, მოგვცა საშუალება, გარკვეული ხედვა ჩამოგვეყალიბებინა მცხეთიდან დედაქალაქის სამეფო რეზიდენციის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით. მთავარი კონცეფცია გახლავთ ის, რომ მიზანი თბილისში დედაქალაქის გადმოტანისა, შორსმხედველი მეფის და დიდი მთავარსარდლის -- ვახტანგ გორგასალის³ მიერ ჩაფიქრებული და განხორციელებული გეგმაა, რომელიც ქრისტეს კვართთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ ქრისტეს კვართი დაცული ყოფილიყო, ვახტანგ გორგასალმა თბილისი, როგორც ქალაქი დაარსა და დედაქალაქად აირჩია. მეფე გორგასალმა იცოდა, რომ დედაქალაქი ყოველთვის გალესილ ხმალზე დევს. მტერი, პირველ რიგში, სახელისუფლებო ცენტრის, დედაქალაქის, დაპყრობას ცდილობს. რელიგიური მოსაზრებებით მცხეთა მეორე იერუსალიმად ითვლებოდა, რადგან აქ იერუსალიმის ყველა სიწმინდე მეორდებოდა.

დავუბრუნდეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გზებს, რომლებიც არა მარტო დასავლეთს აღმოსავლეთთან, არამედ სამხრეთს ჩრდილოეთთან აკავშირებდა. განვიხილოთ რამოდენიმე კონკრეტული ისტორიული წიაღსვლა. „არაბი ხალიფები“⁴ – აბუ ბექრი (632-634) და ომარ იბნ ალ-ხატაბი (9634-644) გონებითა და სულით გამორჩეული პიროვნებები იყვნენ და უზომოდ მაღლა იდგნენ იმ ქრისტიან იმპერატორებზე და მმართველებზე, ვისთანაც ომი ჰქონდათ. მათი დამსახურება იყო, რომ არაბებმა დიდი საომარი ენერჯის მემკვიდრით, ძალზე სწრაფად მიაღწიეს სამხედრო წარმატებებს სირია-პალესტინის დაპყრობაში და ამასთან, ახალ ქვეშევრდომებს გასაოცარი პოლიტიკური ალღოთი და ზომიერებით ეპყრობოდნენ. ასეთი პოლიტიკის წყალობით არაბებმა რამოდენიმე წელიწადში დაამარცხეს სპარსეთი, დაიპყრეს ჩრდილოეთ სირია, ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე⁵ სასტიკად დაამარცხეს იარმუკთან ბრძოლაში და წმინდა ქალაქ იერუსალიმს მიადგნენ. ორი წლის უშედეგო ალყის შემდეგ, არაბული წყაროების მიხედვით, იერუსალიმის მცხოვრებლებმა წამოაყენეს პირობა, რომ ქალაქს მხოლოდ ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბს გადასცემდნენ. ხალიფა ომარი ამ მოთხოვნას დაეთანხმა და ქალაქის კარიბჭესთან შემოგებებულ იერუსალიმის პატრიარქ სოფრონს⁶ მოსახლეობის დაცვის სიგელი

3. ვახტანგ I გორგასალი (დაახლოებით 440—502 წ.) იბერიის მეფე. ხოსროვიანი — მეორე ქართული სამეფო დინასტია ფარნავაზამდე შემდეგ ბაგრატიონებამდე.

4. მაია სტეფანაძე. საქართველო და ეთიოპია: აბრეშუმის გზის ორი რგოლი. თბილისი 2002.

5. ფლავიუს ჰერაკლე ავგუსტუსი (575 – 641) – ბიზანტიის იმპერატორი.

6. წმინდა სოფრონი I იერუსალიმელი – იერუსალიმის პატრიარქი (634-638); მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი.

გადასცა. გარდა ამისა, ქრისტიანებთან გააფორმა შეთანხმება, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა მათი რელიგიისა და მღვდელმსახურებისადმი. ოსმანთა სულთნის მეჰმედ II (1451-1481) დროიდან მოყოლებული XVII საუკუნის შუა ხანებამდე ყოველი მუსლიმი გამგებელი თავს ვალდებულად თვლიდა განეახლებინა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა იერუსალიმის პატრიარქებისათვის ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბის მიერ გადაცემული უფლებების დაცვას.

ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბის მიერ პატრიარქისათვის გაცემული სიგელით ნათელი ხდება, რომ იერუსალიმისა და ბეთლემის წმინდა ადგილები ქართველი და ეთიოპიელი სამღვდლოებისა და ბერების ხელშია, ისინი, სხვა ქრისტიანებისაგან განსხვავებით, „იქ მყოფად“ მოიხსენებიან, თავისუფლდებიან ალ-კუმამასა (აღდგომის ტაძარი) და სხვა წმინდა ადგილებში შესასვლელი გადასახადებისაგან, მათი საჭიროების დაკმაყოფილებას, ხმელეთსა და ზღვებზე მათ დაცვას, არაბთა ხელისუფლება თავის თავზე იღებს მათ მიერ გამოვლენილი „მორჩილებისა და თვინიერების“ შესაბამისად. გარდა ზემოთქმულისა, ამ სიგელში თვალშისაცემია ორი ფაქტორი – ქართველები უმრავლესობას შეადგენდნენ იერუსალიმის წმინდა ადგილებში, მაგრამ რატომ დაუყენეს მათ გვერდით აბისინიელები, რომლებიც იგივე პრივილეგიებით დააჯილდოვეს და მეორე – რა იგულისხმება „მორჩილებასა და თვინიერებაში,“ რომლის სანაცვლოდ ამ ორმა ერმა გამორჩეული პრივილეგიები მიიღო.

ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთიოპიელთა ანუ აბისინიელთა და იბერიელთა მოქცევა, რომელიც ერთდროულად მომხდარა. საყურადღებოა, რომ „მოქცევაი ქართლისა“ ავტორიც ამ ორ ფაქტს ერთმანეთთან აკავშირებს. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ აქსუმიდან (ეთიოპიის სახელმწიფო) მეწამულ ზღვამდე გადაჭიმული მთავარი გზის გასწვრივ განლაგებულ მეტნაკლებად მსხვილ ქალაქებში ქრისტიანული ტაძრები სწორედ IV-VI საუკუნეებშია აგებული, რაც აშკარად მოწმობს, თუ ქვეყნისათვის რა მნიშვნელოვანი ტერიტორიები მოიცვა ქრისტიანობამ. ჩვენამდე მოღწეული ეთიოპიური წყაროები მოწმობენ, რომ აქსუმის მმართველებმა ახალი რწმენა ბიზანტიელი ვაჭრების ზეგავლენით მიიღეს, რითაც მათთან მჭიდრო ურთიერთობებით დაკავშირდნენ, ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოს იდეოლოგია აღიარეს. აქსუმის სამეფომ თავის თავზე აიღო ბიზანტიური პოლიტიკის გატარება მეწამული ზღვის (წითელი ზღვა) აუზში, რომლის გავლითაც ბიზანტიური, სირიული და ეგვიპტური სავაჭრო ხომალდები ინდოეთის ოკეანეში აღწევდნენ და ცეილონთან ვაჭრობდნენ.

ამავე სავაჭრო საზღვაო გზაზე მდებარეობდა სამხრეთ არაბეთი, რომელიც ბიზანტიაში სანელებლების დიდი მიმწოდებელი იყო. ამდენად ბიზანტია, რომელიც გამწვავებულ ბრძოლას აწარმოებდა სავაჭრო გზების გაკონტროლებისათვის არაბების გაძლიერებულ სახელმწიფოსთან, მოახერხა შემოვლითი გზების მოძებნა – კავკასიასა და მის ჩრდილოეთით და სამხრეთით – მეწამული ზღვის აუზში, აქსუმის⁷ სამეფოზე

7. აქსუმის სამეფო. მნიშვნელოვანი სამეფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში.

დაყრდნობით. უკვე VI საუკუნეში აქსუმი ბიზანტიისა და სასანიდური ირანის სამფლობელოების სამხრეთით მდებარე ვრცელ რეგიონში ჰეგემონი გახდა. ეთიოპიის უმსხვილესი პორტი ადულისი ვაჭრობდა აზიურ აღმოსავლეთთან, ჩინეთთან, ინდოეთთან და ცეილონთან. იგი ბიზანტიელი ვაჭრებისათვის ერთადერთი შუამავალი იყო ინდური და ჩინური საქონლის შესაძენად.

ძველი აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციის ცენტრებთან სიახლოვემ და მეტად ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო სატრანზიტო გზების უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო გზათა სისტემის კომპლექსში. ეს მაგისტრალური გზად ჩინეთში – სიანძანში იწყებოდა, ქალაქ დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ ორივე გზა ქალაქ კამგარში იყრიდა თავს აქედან კი გზის სამხრეთი შტო ირანის გავლით ხმელთა შუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ანტიოქიაში ჩადიოდა, ხოლო ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით ალბანეთის, ქართლის და ეგრისის გავლით ჩადიოდა ქალაქ ფაზისში.

რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი ძირითადი სახე აბრეშუმით ვაჭრობა გახდა. აბრეშუმის ნაწარმი ბიზანტიაში ირანელი ვაჭრების შუამავლობით, ირანის ტერიტორიაზე გავლით შედიოდა, ამ რიგად ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო გზები ადრიდანვე გახდა დიპლომატიური მოლაპარაკებების და სამხედრო კონფლიქტების უშუალო მიზეზი.

ბიზანტია იძულებული იყო აბრეშუმი ირანელთა მიერ დაწესებულ ფასებში შეეძინა. ამდენად ირანი გაცილებით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. ბიზანტია უშედეგოდ ცდილობდა ირანის შუამავლობისაგან თავის დაღწევას, ვითარება შეიცვალა VI საუკუნის შუა ხანებიდან, როცა ცენტრალურ აზიაში თურქთა ხაკანატი შეიქმნა. ეფტალიტების და ჩრდილოეთ ჩინეთის იმპერიების დამარცხების შემდეგ თურქთა ხაკანატის ხელში აღმოჩნდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი საქარავნო გზა. ხარკის და საჩუქრების სახით დაგროვილი დიდი რაოდენობით ჩინური აბრეშუმი თურქებმა მათ ქვეშევრდომ სოგდიელ ვაჭრებს მიანდვეს დასავლეთის ქვეყნებში ვაჭრობისათვის. მოხერხებული სოგდიელი ვაჭრები ჩინურ აბრეშუმთან ერთად შუა აზიაში (ფერღანაში), სოგდიანთა წარმოებულ აბრეშუმსაც იყენებდნენ.

სოგდიანელი ვაჭრები ზარალდებოდნენ აბრეშუმზე ირანის მიერ დაწესებული მაღალი ფასების გამო. მათ გადაწყვიტეს ახალი სავაჭრო გზა ბიზანტიისკენ, ირანის გვერდის ავლით, ჩრდილოეთიდან გაეკვლიათ. ახალი სავაჭრო გზის გაკვლევით ბიზანტიელებიც იყვნენ დაინტერესებული. ახალი მარშრუტით სოგდიანელი ვაჭრები შუა აზიიდან ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილებით ალბანეთში, ქართლში ან ეგრისში უნდა მოხვედრილიყვნენ და იქიდან ბიზანტიაში გადავიდოდნენ. იმ ხანად ალბანეთი და ქართლი სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყნები იყვნენ, შესაბამისად დარუბანდის და დარიალის გადასასვლელებს სპარსეთი აკონტროლებდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთზე, კერძოდ

მისიმინეთზე⁸ (დალის ხეობა და ჭვიბერის თემი) დასავლეთ საქართველოში გარდამავალი უღელტეხილია. დაბრკოლება აქაც სპარსეთმა შექმნა და 562 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობდა დიპლომატიური ბრძოლა სვანეთის საკითხის ირგვლივ.

სოგდიანელთა პირველი ელჩობა ბიზანტიაში 568 წელს ჩავიდა. იმპერატორმა იუსტინიანე II (565-578) თურქთა ელჩობა კარგად მიიღო და დადო მათთან სავაჭრო ხელშეკრულება. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი აბრეშუმის გზის ახალ მაგისტრალს. ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი 12 უღელტეხილიდან 4 (ჭუბერის, ნაკრა დონღუზ-ორუნი, ბეჩოს, ტვიბერის) აპრილის ბოლოდან ნოემბრის თვემდე ადვილი დასაძლევია, ამ უღელტეხილების მეშვეობით ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დასაწყისიდან მოძრაობდა საქონელი და ფული, რაც არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. სვანეთის სამიმოსვლო გზების საკითხს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა პროფ. ზვიად კვიციანიძე⁹.

XI საუკუნის დასავლეთ ევროპის კათედრალებსა თუ მონასტრებში ხშირად წარმოთქვამდნენ სავედრებელ ლოცვას: უფალო, შენ დაგვიფარე ნორმანთა მძვინვარებისგან. ევროპის ისტორია სავსეა ვიკინგების წარმატებული ბრძოლების ისტორიით, ვიკინგები საუკუნეთა განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით არბევდნენ ევროპის ქალაქებსა და სოფლებს. მეცნიერებს დღემდე უჭირთ იმის თქმა თუ რამ გამოიწვია ვიკინგების მსგავსი წარმატება, ფაქტია, რომ მათ არც გამორჩეული იარაღი ჰქონდათ და არც განსაკუთრებული საბრძოლო სტრატეგია, მათ წარმატებას მეცნიერთა დიდი ნაწილი ზღვაზე სწრაფ და მოხერხებულ გადაადგილებას მიაწერენ, მათი გემები ორმოცდაათიდან ასამდე კაცს იტევდა. VIII საუკუნიდან მოყოლებული ვიკინგების სამხედრო აგრესია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: ნორვეგიიდან და დანიიდან გამოსულმა მეომრებმა ძირითადად თანამედროვე გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისი სანაპირო ზოლის აოხრებას მიჰყვეს ხელი.

ძველი ბერძნები ვიკინგებს ვარანგებად მოიხსენიებდნენ, მათ ვიკინგების შესახებ ბიზანტიელებისგან უნდა გაეგოთ, X საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიკინგები ბიზანტიის სამეფო კარზე მსახურობდნენ და ბიზანტიის სახელმწიფოს სიძლიერის შენებაში იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ ამ ორი ქრისტიანულიკულტურის ცენტრთან, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობდა. მეცნიერები დაობენ პირველად ქართველებმა ვიკინგების შესახებ ცნობები ბიზანტიელებისგან მიიღეს თუ ბერძნებისგან მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ენაში ვიკინგებს ბერძნების მსგავსად ვარანგებად ან ვარიაგებად მოიხსენიებდნენ.

XI საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში ძმათა მკვლელი ომი იყო

8. მისიმინელები. ერთ-ერთიძველი ქართული (სვანური) ტომი.

9. ზვიად კვიციანიძე, „საქართველო - ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები“ (კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები VIII. თბ. 2000 წ.)

გაჩაღებული, ბაგრატ IV-ეს და განდგომილ ფეოდალ ლიპარიტ ბაღვაშს¹⁰ შორის, სამოქალაქო ომი 20 წელზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც მძიმე დაღი დაასვა მაშინდელ საქართველოს, ამ 20 წლიან პერიოდში მხოლოდ ერთხელ მოხდა ვარიაგების ჩართვაბრძოლაში. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ვარიაგებს ევროპელები როგორც დაქირავებულ მეომრებს ისე იყენებდნენ და ფეოდალური საქართველოც არ იყო ამაში გამონაკლისი, 1045 წელს მას შემდეგ რაც ლიპარიტ ბაღვაშმა კიდევ ერთხელ აქცია ზურგი საქართველოს მეფეს ბაგრატ IV – რის გამოც საქართველომ დაკარგა კონტროლი ანისის სომხურ სამეფოზე, ახლად დაზავებული საქართველო კვლავ ძმათა მკვლელ ომში ჩაება. ბაგრატ IV საომრად სულ 3000 ვიკინგი მოიწვია, რომლებიც პირველად რიონის დინებით სოფელ ბაშში შემოვიდნენ და იქ დაბანაკდნენ. გადამწყვეტ ბრძოლაში მეფემ მხოლოდ 700 ვარიაგი წაიყვანა, როგორც ჩანს დარჩენილ 2300 მეომარს ბიზანტიელების მძიმე ტყვეობისაგან ძალაგამოლეულებს და დასახიჩრებულებს, ბრძოლის ძალა აღარ შერჩენოდათ. ბაგრატ IV-ის ლაშქარმა ლიხის მთა გადმოიარა და დღევანდელი კასპის რაიონში, სოფელ სასირეთის ჭალასთან დაიბანაკა. ლიპარიტ ბაღვაში მოპირდაპირედ, მდინარე თემძის მარცხენა მხარეს იყო გამაგრებული. ბრძოლის დაწყებას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ბაგრატ IV კიდევ ელოდა დამატებით ძალებს მესხეთიდან, მაგრამ ამ დროს საკუთარ სიმაძაცესა თუ სიძლიერეში დარწმუნებულმა ვიკინგებმა, სარდლობასთან შეუთანხმებლად იერიშ მიიტანეს ლიპარიტის ბანაკზე. ამ თავხედურმა მოქმედებამ საქართველოს მეფე იძულებული გახადა, ბრძოლაში ჩართულიყო. ქართველი მემკვიდრეები გაკვირვებით აღნიშნავენ: ვარიაგები მესხებს აღარ დაელოდნენ და ლიპარიტს შეუტყვესო. კლდეკარის მოღალატე ერისთავს ბიზანტიელთა გარნიზონები უმაგრებდნენ ზურგს. სისხლისმღვრელი შეტაკება მცირერიცხოვან ვიკინგთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის დამარცხებით დასრულდა. ევროპაში სახელგანთქმულმა ნორმანებმა მტკვრისა და თემძის ხეობაში მარცხი იწვნის. ლიპარიტ ბაღვაშმა ვიკინგებს სამარცხვინო სასჯელი მიუსაჯა. მათ პური გააცხრილვინა, შემდეგ კი, ბაშში დაბანაკებულ თანატომელებთან გაისტუმრა. ეს იყო ერთადერთი სამხედრო ეპიზოდი, როცა ვარიაგები ქართველ მეზობლებს შეერკინნენ.

სასირეთის ბრძოლას შეიძლება ისტორიაში არც დაეკავებინა ასეთი გამორჩეული ადგილი, რომ არა მასში ვიკინგთა მონაწილეობა. ამის შემდეგ ბაგრატ IV და ლიპარიტ ბაღვაშს შორის ძმათამკვლელი ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, თუმცა ვარიაგების დაქირავება არცერთს არ უფიქრია, რადგან ვიკინგი-ვარიაგი საქართველოში უძლეველი მეომრის სინონიმად ვერ იქცა, ისინი როგორც პურის საკაზმავად მოწვეული მეომრები ისე შემორჩა ქართულ ისტორიას. დანარჩენი 2000 ვიკინგი კი, რომელიც ბაგრატ მეოთხემ არ ჩართო ბრძოლაში, ქუთაისთან ახლოს, სოფელ ბაშში დაასახლა. მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ საქართველოში.

10. ლიპარიტ IV ბაღვაში. კლდეკარის ერისთავი XI საუკუნის 30-60-იან წლებში, ლიპარიტ III-ის ძე. ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანების პერიოდში საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი.

სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაურების დაფლული განძები, ვერცხლის მონეტებისა და ვერცხლისაგან დამზადებული სხვადასხვა ნაკეთობებისაგან იყო შემდგარი, ასეთი განძი 800 - ზე მეტია აღმოჩენილი. ყოველ წელს სულ მცირე ერთ განძს მაინც აკვლევენ არქეოლოგები. ვერცხლის ნაკეთობების უმეტესობა სამკაულია -- ჭარბობს სამაჯურები. ვარაუდობენ, რომ მათ მონეტების გადადნობით ამზადებდნენ ადგილობრივი ხელოსნები, თუმცა იმპორტული ნაკეთობებიც მრავლად არის წარმოდგენილი. ვერცხლის ნაკეთობებს ძირითადად საცხოვრებელი სახლების ან სამეურნეო ნაგებობების იატაკქვეშ მარხავდნენ. არის შემთხვევები, როცა განძის ქვეშ სხვა განძიც ყოფილა. ამიტომ ადგილობრივმა არქეოლოგებმა ივარაუდეს, რომ იმიერ ცხოვრებაში „ვალჰალში“ საკეთილდღეოდ ატანდნენ წინაპრებს დიდი ოდენობით ვერცხლს. ქვედა ფენაში არსებულ განძს არ ეხებოდნენ, როგორც სიწმინდეს. სკანდინავიაში და ზოგადად იმდროინდელ სამყაროში იატაკქვეშ მიცვალებულთა დაკრძალვის უძველესი ტრადიცია კარგადაა ცნობილი კულტუროლოგებისთვის.

საყურადღებოა კუნძულ გოტლანდზე, ქალაქ ვისბეში, სპელინგსის ფერმაში აღმოჩენილი განძი. საკმაოდ დიდი 15 x 50 მ-იანი ნაგებობის ნაშთი ყოფილ საწყობად იქნა მიჩნეული, რადგან ღუმელის ან ბუხრის მსგავსს ვერაფერს მიაგნეს მკვლევარებმა.

ვერცხლის წონა 67 კგ.-ს აღწევდა. სხვა ნაკეთობებთან ერთად 14000 მონეტა აღმოჩნდა. მათგან ძალიან ცოტა იყო მოჭრილი იტალიაში და დანიაში. მონეტების 99 % არაბული წარმოშობის დირჰემი გახლდათ.

სხვა მრავალფეროვანი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მოძიება შემდგომი კვლევების ამოცანაა. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს როლის წარმოჩენას დიდად შეუწყობს ხელს ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებიც.

როგორც ე.ა. პახომოვი წერს თავის ნაშრომში¹¹ IX - X საუკუნეებში მასიურად გაედინებოდა აღმოსავლეთიდან არაბული დირჰემები ევროპის ქვეყნებში, კერძოდ: ჩრდილოეთ რუსეთში, სკანდინავიაში (დანია, შვედეთი, ნორვეგია). გერმანიასა, ფინეთსა და ლატვიაში, გარდა თბილისში მოჭრილი აბასიანთა დირჰემებისა ჯაფარიანთა ნაჭედი მონეტაც იყო აღმოჩენილი. ლაპარაკია ჯაფარ იბნ მანსურის¹² მიერ მოჭრილ მონეტებზე. თბილისი იმხანად ჯაფარიანთა დინასტიის საამიროს დედაქალაქი გახლდათ. ნაპოვნია ასევე ტაო-კლარჯეთის მმართველის, დავით III კურაპალატის, დრამი, რომელსაც ჩვენ ქართულ ბიზანტიური მონეტების ტიპს მივაკუთვნებთ, იგი მართლაც ჩამოჰგავს იმ პერიოდის ევროპულ მონეტებს. აღმოჩენილი ასეთი სამი მონეტიდან სამივე ევროპაშია ნაპოვნი¹³.

კავკასიაში აბრეშუმის გზის კვალი კარგად ჩანს ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის არქეოლოგიური მასალები. გარკვეული

11. Е.А. Пахомов. „Монеты Грузии“ თბილისი 1970წ. გვ.49.

12. ჯაფარ II იბნ-მანსური. ტბილისის საამიროც ამირა 914-952წწ. ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენელი.

13. Е.А. Пахомов. „Монеты Грузии“ თბილისი 1970წ. გვ.53.

რაოდენობა შემოტანილი საქონლისა ნაწილობრივ ილექებოდა იმ ტერიტორიებზე და სახელმწიფოებში, რომლებიც ჩართული იყვნენ არა მარტო ჩინეთთან ვაჭრობაში, არამედ საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

2017 წლის გაზაფხულზე ქ. თბილისიდან 59 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ საგარეჯოსთან (საქართველოს რესპუბლიკა) სახლის მშენებლობის დროს აღმოაჩინეს განძი, რომელიც ძირითადად შედგებოდა არაბული დირჰემებისაგან. განძი თიხის ქილაში იყო მოთავსებული და ისე იყო დაფლული. ძნელი სავარაუდოა თუ რა აუცილებლობამ გამოიწვია ფულის ასეთი სახით შენახვა ან დამალვა, რადგან ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევები არ ჩატარებულა.

განძის შესწავლის შედეგად მივიღეთ ძალიან საინტერესო გეოგრაფია მოცემული მონეტებისა, რომლებიც ნაჭედია ჩრდილო-დასავლეთ აფრიკიდან მოყოლებული, ირანის დასავლეთის ჩათვლით. არაბული მონეტების ჭედვის თარიღი იწყება ჰიჯრის 86წ. = (705ახ.წ.) და სრულდება ჰიჯრის 189წ. = (805ახ.წ.). განძის შემადგენლობაში არის ერთი არაბულ-სასანური მონეტა ჰიჯრის 80 წ. = (699ახ.წ.) ასევე ორი არაბულ-ტაბარისტანული მონეტა, ორივე ჰიჯრის 163წ. = (780ახ.წ.) ოთხი მონეტა ხოსრო მეორესი ჰიჯრის (590 წ. – 628ახ.წ.) და ხოსრო პირველის ერთი ეგზემპლიარი (531 წ. – 579ახ.წ.).

კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ განძი დაფლული უნდა იყოს: ჰიჯრის 189წ. = (805ახ.წ.) შემდგომ ან 2–3 ათეული წლის დამლევს – ჰარუნ ალ-რაშიდის 3. 170 წ. – 193 წ. (809ახ.წ.) გარდაცვალების შემდეგ დაწყებული არეულობის დროს.

გთავაზობთ განძის შემადგენლობაში არსებული 115 მონეტის მოკლე აღწერას და ამოკითხული ქალაქების ჩამონათვალს. მონეტების უმეტესობა არის აბასიდური დირჰემები 105 ცალი, აქედან: 27 მონეტა ნაჭედია მადინათ ალ-სალამში, 17 მონეტა ალ-მუჰამადიაში, 17 ალ-აბასიათში, 9 მადინათ ჯეი, 3 არმინია, 5 ალ-ბასრა, 3 ალ-ანდალუზიაში, 5 ალ-ბარდა, 2 რაბათი, 1 მონეტა მადინათ ბალხი, 1 არანი, 1 ალ-ჰარუნია, ალ-თაიმარა 1, 2 მონეტა მადან ბაჯუნაისი, 2 იფრიგია. 2 მონეტა არის ომეიდების მოჭრილი ქალაქ ალ-თაიმარში და ბი-ვასიტში. ასევე განძში არის არაბულ-სასანური მონეტები მოჭრილი ბიშაფურში და 2 მონეტა ტაბარისტანში. განძში არის 5 სასანური მონეტა, აქედან 3 ნაჭედია ისფაჰანში, თითო ცალი ქტესიფონში და გუნდი – შაფურში.




ქალაქების ჩამონათვალი

1. **al – ‘Abbāsīyat** – (ალ აბასიათი) ქალაქი ეგვიპტის და ლიბიის საზღვარზე. العباسية
2. **Medīnat es – Salām** – (მადინათ ალ – სალამი) ქალაქი ერაყში ირანის საზღვართან. مدينة السلام
3. **al – Mohammadiya** – (ალ მუჰამადია) თეირანი 3.148 – წლის შემდეგ نامحمدية
4. **Bi – Wāsīt** – (ვასიტი) ტიგროსის დასავლეთ სანაპიროზე ისტორიული ქალაქ კამკარის საპირისპიროდ. აშენდა 3.82 – 83 = 702წ. بواسط
5. **Armīniyat** – (არმინია) სასომხეთი. بارمينية
6. **al-’Andalus** – (ანდალუზია) ესპანეთი (არაბული იბერია) الاندلس
7. **al - Bārda** – (ბარდა) ქალქი თანამედროვე აზერბაიჯანში განჯას და ბაქოს შორის. الباردة
8. **Arrān** – (არანი) თანამედროვე აზერბაიჯანის არაბული სახელი. اران
9. **al - Taimurā** – (ალ თაიმარა) ქალაქი არის ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე და გადაბმულია მაროკოს სამეფოს დედაქალაქ რაბათზე. التيمارة
10. **Medīnat Balkh** – (მაადინ ბალხი) ქალაქი ავღანეთის პროვინცია ბალხში. مدينة بلخ
11. **al-Rabāt** — (რაბათი) თანამედროვე მაროკოს სამეფოს დედაქალაქი. رانة
12. **Medīnat Jayy** – (მადინათ ჯეი) ისპაჰანის ძველი სახელი. مدينة جى
13. **al – Basra** – (ალ ბასრა) ქალაქი ერაყში. باصرة / بالبصرة
14. **al Hārūniya** – (ალ ჰარუნია) ქალაქი დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე. الخرونبه
15. **Ma’dan Bajunays** – (მაადინ ბაჯუნაისი) ქალაქი სასომხეთში, თანამედროვე ბზუნისი (Բզնունի) – بمعدن باجنيس
16. **Ifriqiya** – (იფრიგია) ძველი რომაული პროვინცია ტუნისში (აფრიკა) افريقية
17. **Sfahān** – (ისპაჰანში) მდებარეობს თეირანის სამხრეთით 252 კილომეტრზე და ისფაჰანის პროვინციის დედაქალაქია. اصفهان
18. **Tabaristan** – (ტაბარისტანი) კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპირო. طبرستان
19. **Bishapur** – (ბიშაფური) იყო უძველესი ქალაქი სასანიდური სპარსეთის (ირანი) უძველეს გზაზე, პერსისსა და ელანს შორის. بيشاپور
20. **Ktesifon** – (კტესიფონი) იყო უძველესი ქალაქი მესოპოტამიაში, ტიგროსის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ქალაქის ნანგრევები კილომეტრში. قطيسفون
21. **Stakhr** – (სტახრი) იყო უძველესი ქალაქი მდებარე სამხრეთ ირანის, პროვინცია ფარსში, ხუთ კილომეტრში პერსიპოლის ჩრდილოეთით.
22. **Sīstān** – (სისტანი) ისტორიული და გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ ირანში. سيستان
23. **Merv** – (მერვი) დიდი ქალაქი ოაზისი ცენტრალურ აზიაში, მდებარეობდა ისტორიულ აბრეშუმის გზაზე, თანამედროვე თურქმენეთის ტერიტორიაზე. مرو
24. **al-Yamāmah** – (იამამა) უძველესი ისტორიული რეგიონი თანამედროვე საუდის არაბეთში.


Kufic coins finds

Conventional signs


- ▲ Dirhem
- Dinar
- ◇ Fulus
- kufic treasures
- Tiflis Emirs Ja'farids
- ▲ kufic treasures with an admixture of coins Umayyads, Sasanian and Abbasid governors in Iran




Map № 1



Map № 2



Map No 3



Map N° 4

Bi – Wāsit

Al-Walid b. Abd al-Malik
47– 95AH / 668 –715AD

№ 001. CHALIPHAL tip.

Ar. Dirhem. Bi – Wāsit 86AH. (705AD). 2.42g. 27-25mm.

Legend A. لا اله الا الله و حده/ لا شريكه There is no diety except (the one) God alone He has no equal.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم بواسط في ست و تسعين (In The Name of God. This dirham was struck in Bi – Wāsit in the year six end eighty). (86)

Rev. Legend J. الله احد الله / الصمد لم يلد و لم يولد و لم يكن/ له كفوا احد God is the only one, God is infinite, he didn't give birth neither he was given birth, and no one is his equal.

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



Al-Taymārā

№ 002. CHALIPHAL tip.

Ar. Dirhem. Al-Taymārā 91AH. (710AD). 2.65g. 26.5-26mm.

Legend A. لا اله الا الله و حده/ لا شريكه There is no diety except (the one) God alone He has no equal.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم التيمارة في احدى و تسعين (In The Name of God. This dirham was struck in Al-Taymārā in the year one end nainety). (91)

Rev. Legend J.

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



Al- Basra

Omar ibn Abd al-Aziz
97-98 - 101 AH / 717 - 720 AD

№ 003. Caliph Omar ibn Abd al-Aziz.

Ar. Dirhem. al – Basra. 100AH. (718-719AD). 2.38g. 27mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم بالبصرة سنة مئة (In The Name of God. This dirham was struck in al – Basra in the year hundred). (100)

Rev. Legend J. الله احد الله / الصمد لم يلد و لم يولد و لم يكن/ له كفوا احد God is the only one, God is infinite, he didn't give birth neither he was given birth, and no one is his equal.

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



Madinat al-Salam

Caliph Abū Ja‘far ‘Abdallāh al- Mansur
137-158H/754-775D

№ 004. ANONYMOUS.

Ar. Dirhem. Madinat al-Salam. 151 AH. (768 AD). 2.85g. 26-25 mm.

Obv. Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ مَدِيْنَةُ السَّلَامِ سَنَةِ اَحَدِيْ وَخَمْسِيْنَ وَ مِئَةٍ (In The Name of God. This dirham was struck in Madinat al-Salam in the year one and fifty and hundred). (151)

Rev. Legend C. مُحَمَّدٌ / رَسُوْلُ اللّٰهِ (Muhammad the Messenger of God).

Below نَخ (Bakh)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



№ 005. ANONYMOUS.

Ar. Dirhem. Madinat al-Salam. 151 AH. (768 AD). 2.48g. 24-24.5 mm.

Obv. Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ مَدِيْنَةُ السَّلَامِ سَنَةِ اَحَدِيْ وَخَمْسِيْنَ وَ مِئَةٍ (In The Name of God. This dirham was struck in Madinat al-Salam in the year one and fifty and hundred). (151)

Rev. Legend C. مُحَمَّدٌ / رَسُوْلُ اللّٰهِ (Muhammad the Messenger of God).

Below نَخ (Bakh)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



№ 006. ANONYMOUS.

Ar. Dirhem. Madinat al-Salam. 153 AH. (770 AD). 2.91g. 25.5-25 mm.

Obv. Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ مَدِيْنَةُ السَّلَامِ سَنَةِ ثَلَاثٍ وَخَمْسِيْنَ وَ مِئَةٍ (In The Name of God. This dirham was struck in Madinat al-Salam in the year three and fifty and hundred). (153)

Rev. Legend C.

Below نَخ (Bakh)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



№ 007. ANONYMOUS.

Ar. Dirhem. Madinat al-Salam. 155 AH. (772 AD). 2.87g. 25-24 mm.

Obv. Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدَّرْهَمَ بِمَعْدَنَ بَاجُنَيْسَ سَنَةِ اِحْدَى وَ تِسْعِينَ وَ مِئَةٍ (In The Name of God. This dirham was struck in Ma'dan Bajunays in the year one and ninety and hundred). (191)

Rev. Legend B.

Above أُم (mother)

Below ع (Ain)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



№ 105. (AM JAFAR) (Jafar's mother) with DAUD in the name of the Muhammad al-Amin Prince of the Faithful.

Ar. Dirhem. Ma'dan Bajunays 191 AH. (787AD). 2.81g. 25-24.5mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم بمعدن باجنيس سنة احدى و تسعين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in Ma'dan Bajunays in the year one and ninety and hundred). (191)

Rev. Legend B.

Above ام جعفر (mother Jafar's)

Below داود (Daud)

Rev. 1. Qur'an IX. 33.



№ 106. (AM JAFAR) (Jafar's mother) with DAUD in the name of the Muhammad al-Amin Prince of the Faithful.

Ar. Dirhem. Ma'dan Bajunays 191 AH. (787AD). 2.81g. 25-24.5mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم بمعدن باجنيس سنة احدى و تسعين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in Ma'dan Bajunays in the year one and ninety and hundred). (191)

Rev. Legend B.

Above ام جعفر (mother Jafar's)

Below داود (Daud)

Rev. 1. Qur'an IX. 33.



Ifriqiya

Caliph Abū' Abdallāh Muhammad al-Mahdī
158-169AH/775-785AD

№ 107. MUHAMMAD AI- MAHDI.

Ar. Dirhem. Ifriqiya, 161 AH. (778AD). 2.29g. 24.5mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم افريقية سنة احدى و ستين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in Ifriqiya in the year one and sixty and hundred). (161)

Rev. Legend N. محمد رسول الله نبي /رحمة Muhammad is the /Messenger/ of God, Prophet /Mercy.

Above محمد (Muhammad)

Below المهدي (al-Mahdi)

Rev. 1. Qur'an IX. 33.



Caliph Abū Ja‘far Harun al- Rashid
170-193AH/789-809AD

№ 108. Al-fazil In the name of caliph al-Rashid.

Ar. Dirhem. Ifriqiya 177 AH. (793-94AD). 2.64g. 26-25mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم افريقية سنة سبع و سبعين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in . Ifriqiya in the year seven and seventy and hundred). (177)

Rev. Legend C.

Above نخ (Bakh)

Below الفضل (Al-fazil)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



Al-Yamāmah

Caliph Abū‘ Abdallāh Muhammad al-Mahdī
158-169AH/775-785AD

№ 109. ‘ABDALLĀH bin SA’ID In the name of the caliph al-Mahdī.

Ar. Dirhem. al-Yamāmah. 168 AH. (784AD). 2.80g. 24mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم باليمامة سنة ثمان و ستين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in al-Yamāmah in the year eight and six and hundred). (168)

Rev. Legend D₂. محمد رسول / الله صلى الله عليه / او سلم الخليفة المهدي. Muhammad is the Messenger / of God, Praise Gods / upon him and pease / caliph al-Hadī.

Above عبد الله (‘Abd Allah)

Below بن سعيد (bin Sa’id)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



Caliph Abū Ja‘far ‘Abdallah al- Manṣūr
136-158 / 754- 775

№ 110. ‘ĪSĀ b. USAM....? in the name of caliph al-Manṣūr.

Ar. Dirhem. __?__. 156 AH. (773AD). 2.45g. 22.5-22mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم __?__ سنة ستين و خمسين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year six and fifty and hundred). (156)

Rev. Legend N. محمد رسول / الله نبي / رحمة. Muhammad is the /Messenger/ of God, Prophet / Mercy.

Above عيسى (‘ĪSĀ)

Below نن وسلم.....? (usam...?)

Rev. 1. Qur‘ān IX. 33.



Caliph Abū ‘Abdallāh Muhammad al-Mahdī
158-169AH/775-785AD

№ 111. (???) In the name of caliph al-Mahdi.

Ar. Dirhem. __?__. 160 AH. (777AD). 2.02g. 20mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ .__?__ سَنَةَ سِتِّينَ وَ مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year sixty and hundred). (160)

Rev. Legend N. مُحَمَّدٌ رَّسُولُ اللّٰهِ نَبِيُّ رَحْمَةٍ Muhammad is the /Messenger/ of God, Prophet/ Mercy.

Above عِلْفٌ or عَلِمٌ (???)

Below ام >؟؟؟ (Am Jafat)

Rev. 1. Qur’ān IX. 33.



№ 112. YAZID In the name of caliph al-Mahdi.

Ar. Dirhem. __?__. 163 AH. (780AD). 2.80g. 26-25.5mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ .__?__ سَنَةَ ثَلَاثَ وَ سِتِّينَ وَ مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year three and sixty and hundred). (163)

Rev. Legend C.

Above ○ .

Below يَزِيدٌ (Yazid)

Rev. 1. Qur’ān IX. 33.



№ 113. YAZID In the name of caliph al-Mahdi.

Ar. Dirhem. __?__. 163 AH. (780AD). 2.73g. 25.5-24mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ .__?__ سَنَةَ ثَلَاثَ وَ سِتِّينَ وَ مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year three and sixty and hundred). (163)

Rev. Legend C.

Above ○ .

Below يَزِيدٌ (Yazid)

Rev. 1. Qur’ān IX. 33.



№ 114. YAZID In the name of caliph al-Mahdi.

Ar. Dirhem. __?__. 163 AH. (780AD). 2.63g. 24mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَذَا الدِّرْهَمَ .__?__ سَنَةَ سَبْعَ وَ سِتِّينَ وَ مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year three and sixty and hundred). (163)

Rev. Legend C.

Above ○ .v

Below يَزِيدٌ (Yazid)

Rev. 1. Qur’ān IX. 33.



№ 115. YAZID In the name of caliph al-Mahdi.
Ar. Dirhem. __?__. 167 AH. (783AD). 2.89g. 24mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَٰذَا الدِّرْهَمَ . __?__ سَنَةِ سَبْعِ و سِتِّينَ و مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year seven and sixti and hundred). (1567)

Rev. Legend C.

Above ○ .

Below يَزِيد (Yazid)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



№ 116. YAZID In the name of caliph al-Mahdi.
Ar. Dirhem. __?__. 16(7?) AH. 2.67g. 24-21mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَٰذَا الدِّرْهَمَ . __?__ سَنَةِ (سَبْعِ؟) و سِتِّينَ و مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year seven and sixty and hundred?). (167?)

Rev. Legend C.

Above ○ .

Below يَزِيد (Yazid)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



Caliph Abū Ja'far Harun al- Rashid
170-193AH/789-809AD

№ 117. YAZID In the name of caliph al-Rashid.
Ar. Dirhem. __?__. 173 AH. (780AD). 2.64g. 24mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَٰذَا الدِّرْهَمَ . __?__ سَنَةِ ثَلَاثِ و سَبْعِينَ و مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year three and seventy and hundred). (173)

Rev. Legend C.

Above ○ .

Below يَزِيد (Yazid)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



№ 118. ALI In the name of caliph al-Rashid.
Ar. Dirhem. __?__. 174 AH. (790-91AD). 2.52g. 25-24.5mm.

Legend A.

Obv. 1. بِسْمِ اللّٰهِ ضَرَبَ هَٰذَا الدِّرْهَمَ . __?__ سَنَةِ اَرْبَعِ و سَبْعِينَ و مِئَةَ (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year four and seventy and hundred). (174)

Rev. Legend H.

Above نَخ (Bakh)

Below عَلِي (Ali)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



№ 119. YAZID In the name of caliph al-Rashid.
Ar. Dirhem __?__. 177 AH. (793AD). 2.72g. 25-24.5mm.

Legend A.

Obv. 1. بسم الله ضرب هذا الدرهم __?__ سنة سبع و سبعين و مئه (In The Name of God. This dirham was struck in __?__ in the year seven and seventy and hundred). (177)

Rev. Legend C.

Above نخ (Bakh)

Below يزيد (Yazid)

Rev. 1. Qur'ān IX. 33.



Arab Sasanids

al-Hajjaj bin Yusuf (40-95AH)

№ 120. Ar. Drachm. Al-Hajjaj Umayyad governor of Iran. Bishapur. 80AH/699AD. 3.86g. 34 - 32mm.

Obv. In the center, of the portrait of the ruler. To the left of the face Pahlavi inscription, **لشاهت** (glory/splendor increase/grow). In the face of the ruler, Arabic inscription: **الحجاج بن يوسف** (al-hajaj b. Yusuf). Around the circle: **بسم الله لا اله الا الله وحده رسول الله** "In the name of God. There is no god but God alone. Muhammad is the Messenger of God."

Rev. In the center, image of two figures near the altar. On the left-hand side is the date, on the Pahlavi **سنة ثمانين** (80AH. / 699AD.) On the right side, mint yard **لشاهت** (Bysh) Bishapur.



Arab Tabaristan

'Umar b. Al - 'Ala

155-164 AH / 771-782 AD

№ 121. Ar. Hemidrachma. 'Umar b. Al - 'Ala, Abbasid governor of Tabaristan. (Post Yazdgard Era) = 128 PYE = 163H = 780 AD. 1.72gr. 23mm.

Obv. In the center, of the portrait of the ruler. To the left of the face Pahlavi inscription, **لشاهت** (glory/splendor increase/grow). In the face of the ruler, Arabic inscription: **عمر** ('Umar). Behind the circle Pahlavi inscription: **سنة ثمانين** "Great."

Rev. In the center, image of two figures near the altar. On the left-hand side is the date, on the Pahlavi **سنة ثمانين** (128 PYE = 163H = 780 AD). On the right side, mint yard **لشاهت** (Tabaristan).



№ 122. Ar. Hemidrachma. 'Umar b. Al-'Ala, Abbasid governor of Tabaristan. (Post Yazdgard Era) = 128 PYE = 163H = 780 AD. 1.92gr. 25-24mm.

Obv. In the center, of the portrait of the ruler. To the left of the face Pahlav inscription, **𐭮𐭲𐭥𐭭𐭮𐭩** (glory/ splendor increase/grow. In the face of the ruler, Arabic inscription, **عمر** ('Umar). Behind the circle Pahlavi inscription: **𐭮𐭲𐭥𐭭𐭮𐭩** Great.

Rev. In the center, image of two figures near the altar. On the left-hand side is the date, on the Pahlavi **𐭮𐭲𐭥𐭭𐭮𐭩** (128 PYE = 163H = 780 AD). On the right side, mint yard **𐭮𐭲𐭥𐭭𐭮𐭩** (Tabaristan).



SASANIDS

Khosrow I. (531 - 579 AD.)

№ 123. Ar. Drachm. Khosrow I. Sistan. 3.26gr. 29-28mm.



Khosrow II Parvēr (590 - 628 AD.)

№ 124. Ar. Drachm. Khosrow II. Parvēr. Esfahān. 4.11g. 32-31.5mm.



№ 125. Ar. Drachm. Khosrow II Parvēr. Esfahān. 3.37gr. 31mm.



№ 126. Ar. Drachm. Khosrow II Parvēz. Ctesiphon. 2.38gr. 27-26mm.



№ 126. Ar. Drachm. Khosrow II Parvēz. Gundy Shapur. 2.66gr. 28.5-27mm.



№ 128 Ar. Drachm. Khosrow II Parvēz. Merv. 2.96gr. 27-26.5mm.



გამოსახულების მაშტაბი: 12 მმ : 10 მმ.



FORMULAE

Legend A. لا اله الا
الله و حده
لا شريكه

There is no diety except (the one) God
alone He has no equal.

Legend B. محمد رسول الله
مما لمربه الامير الامين
محمد بن امير المؤمنين

Muhammad is the Messenger of God /
From what was ordered by the Prince al-
Amin / Muhammad Son of The Prince
of the Faithful.

Legend C. محمد
رسول
الله
Muhammad the Messanger of God

Legend D. محمد رسول
الله صلى الله
عليه و سلم
الخليفة المهدي

Muhammad is the Messenger / of God,
Praise Gods / upon him and pease /
Caliph al-Mahdi.

Legend D2. محمد رسول
الله صلى الله عليه
و سلم الخليفة الهلدي

Muhammad is the Messenger / of
God, Praise Gods / upon him and pease
/ caliph al-Mahdi.

Legend I. محمد رسول
الله للامين ولي
عهد المسلمين

Muhammad is the messenger of / God
al-Amīn walī / ahd al-Muṣlīm̄s

Legend E. مما لمربه
المهدي محمد
بن امير المؤمنين

From what was ordered by / Mahdi
Muhammad / Son of The Prince of The
Faithful.

Legend F. محمد رسول الله
صلى الله عليه
و سلم الخليفة الرشيد

Muhammad is the messenger of God /
Gods prayer and salutations upon him /
the Caliph al-Rashid.

Legend G. محمد رسول
الله صلى الله عليه و سلم
مما لمربه الامير الامين
محمد بن امير المؤمنين

Muhammad is the messenger / of God,
Gods prayer and salutations upon him /
From what was ordered by the Prince al-
Amin / Muhammad Son of The Prince
of the Faithful.

Legend H. محمد رسول
الله صلى الله
عليه و سلم

Muhammad is the Messenger / of God,
Gods Prayer / and Salutations upon
him.

Legend M. محمد رسول الله
الخليفة المهدي
مما لمربه هرون
بن امير المؤمنين

Muhammad is the messenger of God /
The Caliph al-Mahdi / From what was
ordered by Harun / Son of the Prince of
the Faithful

Legend J. الله احد الله
الصمد لم يلد و
لم يولد و لم يكن
له كفوا احد

God is the only one, God is infinite, he didn't give birth neither he was given birth, and no one is his equal.

Legend K. محمد رسول الله
مما لمربه الامير المامون
عبد الله بن امير المومنين و لي
و لي عهد المسلمين

Muhammad is the messenger of God /
By the command of al-amīr al-Ma'mūn
/ 'Abd Allāh bin amīr al-mu'minīn walī
/ Walī 'ahad al-Muslimīn

Legend L. محمد رسول
الله مما لمربه الخليفة
هزون امير المومنين

Muhammad is the messenger of / God
From what was ordered by the / Harun,
Prince of The Faithful.

Legend N. محمد رسول
الله نبي
رحمة

Muhammad is the /Messenger / of God,
Prophet / Mercy.

Legend O. محمدرسول
الله صلى الله
عليه و سلم
الخليفة الرشيد

Muhammad is the messenger/of the
God, praise of God/upon him end
peace/ Caliph al-Rashid.



Table № 1

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
001	Al-Walid b. Abd allah	Bi-Wasit	Dirhem	86	705	2.42g.	27-25mm.
002	”	Al-Taymārā	”	91	710	2.65g.	26.5-26mm.
003	Abd al-Aziz.	Al-Basra	”	150	718	2.38g.	27mm.
004	Al-Mansur	Madinat al-Salam	”	150	768	2.85g.	26-25 mm.
005	”	”	”	151	768	2.48g.	24-24.5 mm.
006	”	”	”	153	770	2.91g.	25.5-25 mm.
007	”	”	”	155	772	2.87g.	25-24 mm.
008	”	”	”	157	774	2.89g.	25-24 mm.
009	”	”	”	158	775	2.90g.	26-25.5 mm.
010	”	”	”	158	775	2.88g.	25.5mm.
011	”	”	”	158	775	2.86g.	25-24 mm.
012	”	”	”	158	775	2.70g.	25-24 mm.
013	”	”	”	158	775	2.79g.	26-24.5 mm.
014	”	”	”	158	775	2.90g.	26.5-25.5 mm.
015	”	”	”	158	775	2.95g.	23 mm.
016	Muhammad al-Mahdī	”	”	159	776	2.87g.	28.5-27
017	”	”	”	159	776-77	2.31g.	26-24.5 mm.
018	”	”	”	159	776-77	2.92g.	27-26 mm.
019	”	”	”	160	777	2.9g.	26-25mm.
020	”	”	”	159	776-77	2.66g.	24-23 mm.
021	”	”	”	160	777	2.75g.	25.5-25 mm.
022	”	”	”	160	777	2.92g.	27 mm.

Table № 2

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
023	al-Mahdī.	Madinat al-Salam	”	162	779	2.88g.	24 mm.
024	”	”	”	164	781	2.92g.	24-23 mm.
025	”	”	”	164	781	2.92g.	23mm.
026	”	”	”	164	781	2.94g.	23.5-25mm.
027	”	”	”	164	782	2.92g.	27-26 mm.
028	Harun al-Rashid	Madinat al-Salam	Dirhem	170	786-87	248g.	25.5-25 mm.
029	”	”	”	180	796	2.55g.	26.5-25 mm.
030	”	”	”	180	796	2.86g.	24.5-24 mm.
031	”	”	”	180	796	2.92g.	25.5-24 mm.
032	”	”	”	181	797	281g.	26-25 mm.
033	”	”	”	181	797	2.94g.	24 mm.
034	”	”	”	181	797	278g.	26.5-26 mm.
035	‘Abdallāh al-Mansur	Al-Mohammadiya	”	151	768	2.84g.	26mm.
036	”	”	”	155	772	2.83g.	26mm.
037	”	”	”	155	772	2.60g.	26.5-25mm.
038	Mūsa al-hadī	”	”	170	786-87	2.94g.	25-24mm.
039	Harun al-Rashid	”	”	170	786-87	2.94g.	25-24mm.
040	”	”	”	173	782	2.78g.	25-24.5mm.
041	”	”	”	175	79-192	3.11g.	25mm.
042	”	”	”	175	79-192	2.91g.	25mm.
043	”	”	”	176	792-93	2.79g.	24.5-24mm.
044	”	”	”	176	792-93	3.05g.	25-24mm.

Table № 3

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
045	Harun al- Rashid	Al-Mohammadīya	Dirhem	178	794-95	2.49g.	27.5-27mm.
046	”	”	”	181	797	2.92g.	26-24mm.
047	”	”	”	183	799	2.88g.	27-26mm.
048	”	”	”	185	801	2.89g.	25mm.
049	”	”	”	186	802	2.72g.	26-25mm.
050	”	”	”	186	802	2.78g.	26-24mm.
051	”	”	”	187	803	3.09g.	24.5-23.5
052	”	”	”	189	805	2.78g.	26-24mm.
053	‘Abdallāh al- Mansur	Al – ‘Abbāsīyat.	”	157	774	2.58g.	25-24mm.
054	Muhammad al-Mahdī	”	”	161	778	2.44g.	26mm.
055	”	”	”	163	780	2.79g.	26mm.
056	”	”	”	163	780	2.77g.	27-25mm.
057	”	”	”	164	781	2.85g.	25mm.
058	”	”	”	165	782	2.73g.	25mm.
059	”	”	”	166	783	2.81g.	26.5-25mm.
060	”	”	”	166	783	2.54g.	25mm.
061	”	”	”	166	783	2.71g.	24.5mm.
062	”	”	”	166	783	2.67g.	25.5-24.5mm.
063	”	”	”	166	783	2.73g.	25.5mm.
064	”	”	”	167	783-84	2.88g.	25.5-25mm.
065	Harun al- Rashid	”	”	171	787	2.73g.	25mm.
066	”	”	”	171	787	2.251g.	26-24.5mm.

Table № 4

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
067	Harun al- Rashid	Al – ‘Abbāsīyat.	Dirhem	171	787	2.49g.	25-24mm.
068	”	”	”	176	792	2.88g.	22mm.
069	”	”	”	184	800	2.11g.	25.5-24.5mm.
070	”	”	”	??6	???	2.66g.	26-24.5mm.
071	Muhammad al-Mahdī	Medīnat Jayy	”	161	778	2.73g.	25.5mm.
072	”	”	”	162	779	2.73g.	28.5mm.
073	”	”	”	162	779	2.59g.	27mm.
074	”	”	Dirhem	162	779	2.90g.	27-26mm.
075	”	”	”	162	779	2.88g.	28-26.5mm.
076	”	”	”	162	779	2.87g.	26-25mm.
077	”	”	”	162	779	2.82g.	27.5-27mm.
078	”	”	”	162	779	2.77g.	26-24mm.
079	”	”	”	162	779	2.96g.	27-25mm.
080	”	”	”	162	779	2.79g.	27.5-27mm.
081	‘Abdallāh al- Mansur	Arminia	”	145	762	2.94g.	26mm.
082	Harun al- Rashid	”	”	171	787	2.94g.	27-25mm.
083	”	”	”	181	797	2.66g.	25-24mm.
084	‘Abdallāh al- Mansur	Al – Basra.	”	141	758	2.88g.	27-26mm.
085	”	”	”	143	760	2.88g.	26mm
086	”	”	”	146	763	2.85g.	27.5mm.
087	Muhammad al-Mahdī	”	”	167	783	2.63g.	24.5mm.
088	Harun al- Rashid	”	”	174	790-91	2.72g.	24mm.

Table № 5

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
89	'Abdallāh al- Mansur	Al-Andalus	Dirhem	155	772	2.72g.	29.5mm.
90	Muhammad al-Mahdī	"	"	166	782-82	2.71g.	26.5mm.
91	"	"	"	168	784-85	2.69g.	31-30mm.
92	'Abdallāh al- Mansur	Al - Bārda	"	153	770	2.50g.	26-25.5mm.
93	"	"	"	153	770	2.43g.	26-25.5mm.
94	Muhammad al-Mahdī	"	"	161	761	2.52g.	26.5-24mm.
95	"	"	"	167	783-84	2.45g.	29mm.
96	Harun al- Rashid	"	"	175	791	2.51g.	25.5mm.
97	"	"	"	175	791	2.34g.	27-25mm.
98	Harun al- Rashid	Rabāṭ	"	173	789	2.55g.	28mm.
99	"	"	"	175	791-92	2.66g.	25mm.
100	'Abdallāh al- Mansur	Balkh	"	152	769	2.56g	24.8-24mm.
101	"	"	"	157	783	2.92	24.5-24mm.
102	Muhammad al-Mahdī	Arrān	"	159	776	2.89g.	25-23.5mm.
103	Mūsa al-hadī	Al-Hārūnīa	"	170	786	2.89g.	25mm.
104	"	Ma'dan Bajunays	"	191	807	2.85g.	25-24mm.
105	"	"	"	191	807	2.93g.	24.8-24mm.
106	"	"	"	191	807	2.81g.	25-24.5mm.
107	Muhammad al-Mahdī	Ifriqiya	"	161	778	2.29g.	24.5mm.
108	Harun al- Rashid	"	"	177	793-94	2.64g.	26-25mm.
109	Muhammad al-Mahdī	al-Yamāmah	"	168	784	2.80g.	24mm.
110	'Abdallah al- Manşūr	Is not readable	"	156	773	2.45g.	22.5-22mm.

Table № 6

№	Caliph	Mint	Nominal	Date A.H.	Date A.D.	Winght	Size
111	Muhammad al-Mahdī	”	”	160	777	2.02g.	20mm.
112	”	”	”	163	780	2.80g.	26-25.5mm.
113	”	”	”	163	780	2.73g.	25.5-24mm.
114	”	”	”	163	780	2.63g.	24mm
115	”	”	”	167	783	2.89g.	24mm
116	”	”	”	16(7?)	78(?)	2.67g.	24-21mm.
117	Harun al- Rashid	”	”	173	780	2.64g.	24mm.
118	”	”	”	174	790	2.52g.	25-24.5mm.
119	”	”	”	177	793	2.72g.	25-24.5mm.
120	al-Hajjaj	Bishapur	Drachm			3.86g.	34-32mm.
121	‘Umar b. Al -‘Ala	Tabaristan	Hemidrachma			1.72g	23mm
122	‘Umar b. Al -‘Ala	Tabaristan	Hemidrachma			1.92g	25-24mm
123	Khosrow I	Sistan	Drachm			3.26g	29-28mm
124	Khosrow II	Esfahān	Drachm			4.11g	32-31.5mm
125	Khosrow II	Esfahān	Drachm			3.37g	31mm
126	Khosrow II	Ctesiphon	Drachm			2.38g	26-27mm
127	Khosrow II	Gundy Shapur	Drachm			2.66g	28.5-27mm
128	Khosrow II	Merv	Drachm			2.96g	27-26.5mm

გამოყენებული ლიტერატურა

- И.А. джалагания.** Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из села Цители Цкаро. Тбилиси 1980.
- И.А. джалагания.** Иноземная монета в денежном обращении Грузии V - XIII вв. Тбилиси 1979.
- Göbl. R.** *Sasanian Numismatics*. (Braunschweig, 1971).
- M. I. Mochiri.** Étude de numismatique iranienne sous les Sassanides et Arabe-Sassanides. Tome II, *Tehran*, 1977.
- Босворт. К.Э.** Мусульманские династии 1971.
- J. Walker,** *A Catalogue of the Arab-Sassanian Coins (Umayyad Governors in the East, Arab-Hephthalites, 'Abbasid Governors in Tabaristan and Bukhara)*, London, 1941.
- Dr. Aram R. Vardanyan.** ISLAMIC COINS STRUCK IN HISTORI ARMENIA.
- В.Тизенгаузен.** Монеты восточного халифата
- Irakli Paghava, Irina Varshalomidze, Severian Turkia.** Circulation of kufic currency in south-western Georgian. *Astivition, Batumi* 2016.
- Richard J. Plant** Arabic Coins and How to Read Them 1980
- Normand. Nicol.** Sylloge of Islamic coins in the ashmolean. Volume 4.
- Е.А.Пахомов.** Монеты Грузии
- Lowick Nicholas.** EAELY ABBASID COING A TYPE CORPUS (132-218H) - (750-833AD)
- И.К. ПАГАВА. Е.М. ЛЕМБЕРГ** Обращение куфического серебра в западных и юго-западных провинциях Грузии (в свете новых находок).
- Gocha Japaridze.** თბილისის ამირა ალი ბენ ჯაფარის მონეტები.
- Д. капанадзе.** Клад монет начала XIв.
- Медея Цоцелия.** Каталог Сасанидских монет Грузии.
მაია სტეფანაძე. საქართველო და ეთიოპია: აბრეშუმის გზის ორი რგოლი. თბილისი 2002.
- ზვიად კვიციანი. „საქართველო - ჩრდილო კავკასიისსაკომუნიკაციო საშუალებები“ (კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები VIII. თბ. 2000 წ.)
- Е. А. Пахомов. Монеты Грузии

<https://www.beastcoins.com/Sasanian/Sasanian.htm>

<https://www.zeno.ru/>

https://islamiccoins.ancients.info/abbasid/ABBASID_CALIPHS.htm

რეცენზია

გურამ ყიფიანის სტატიაზე „ფარნავაზის ცხოვრების ეპიზოდები“

(სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი არქეოლოგია. N 4. 2021: გვ. 27-32).

გურამ ყიფიანის ნაკვლევი ეხება ერთ, მეტად საინტერესო საკითხს, რომლის მიმართ არასოდეს შენელებულა ქართველოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართა მომეტებული ინტერესი.

ამ, მცირე მოცულობის ნაკვლევში, რომელშიც რამდენიმე საყურადღებო საკითხია წამოჭრილი, დაშვებულია სხვადასხვა ხასიათის შეცდომები.

მოკლედ თითოეული მათგანის შესახებ:

1. „ლეონტი მროველი: „და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვრსა ზედა, და დასდგა სახელი მისი არმაზი, და მოქმნა ზღუდე წყლითა კერძო, და ჰქვან არმაზი“ [გ. ყიფიანი. 2021:28]. ციტატის დასასრული.

მოტანილი ცნობა დაცულია არა ლეონტი მროველის ნაშრომში, არამედ „მატბერდის კრებულში“ შესულ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში [იხ. შკ. 1979:320].

2. ფარნავაზის სიზმარი.

ა. ზოგადად სიზმრის შესახებ

“...მისი (ფარნავაზის - თ.ბ.) სიზმარი რამდენადმე ძველი აღთქმის გამოძახილია. იქ ხომ მამამთავრები მუდმივად სიზმრებს ხედავენ“ [გ. ყიფიანი. 2021:28]; „განსხვავებით ახალი აღთქმისაგან, სადაც სიზმარს თითქმის არავინ ხედავს ერთადერთი გამონაკლისის გარდა - „იოსების სიზმარი“ - მათესთან (1. 19.20)“ [იქვე, სქ. 4]. ციტატის დასასრული.

შენიშვნა - ახალ აღთქმაში სიზმარს ხედავენ:

ა. იოსები, ნახსენების გარდა, კიდევ ორ სიზმარს ხედავს: 1. „და ვითარცა განემორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისაჲ გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და ივლტოდე ეგვპტედ...“ [მათე. 2.13]; 2. „და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თვისისა, შეეშინა მისვლად მუნ, არამედ ბრძანებაჲ მოილო ჩუენებით ანგელოზისაგან და წარვიდა ქუეყანად გალილეასა“ [მათე. 2.22];

ბ. მოგვებიც: „და მოიღეს ჩვენებით, რადთა არა მოაქციონ ჰეროდესა, არამედ სხვთ გზით წავიდნენ სოფლად თვსა“ [მათე. 2.12];

გ. პილატეს ცოლი. „არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ, რამეთუ მრავალი მეგნო მე დღეს ჩუენებით მაგისტუს“ (მათე. 27, 19).

დ. პავლე მოციქული. „და ჩუენებასა ღამისასა ეჩუენა პავლეს: კაცი ვინმე იყო მაკედონელი, დგა და ევედრებოდა მას და ეტყოდა: წიალ მოგუალე მაკედონიად და შემეწიე ჩუენ“ (საქმე 16, 9).

სიზმარს ახსენებს მაცხოვარიც: „...თქვენი ასულნი და თქვენი ჭაბუკნი ჩვენებას იხილავენ და თქვენს მოხუცებულებს სიზმრები დაესიზმრებათ“ (ხაზი ჩემია - თ.ბ.) [მოციქულთა საქმეები. თ. 2.17].

ახალი აღთქმიდან არა, მაგრამ ჩვენი რეალობიდან უნდა გავიხსენოთ მოციქულთა სწორი ნინოს სიზმარი [შატბერდის კრებული. 1979:333].

ბ. ფარნავაზის სიზმარი.

უშუალოდ ფარნავაზის სიზმრის შესახებ, მშვენიერი სამეცნიერო ესსე შემოგვთავაზა პროფ. ზურაბ კიკნაძემ და ამაზე წონადს ვერაფერს მოგახსენებთ [ზ. კიკნაძე. 2016:11-30].

დასტურად მოვიხმობ ერთ ვრცელ ამონარიდს ამ ნაკვლევიდან: „მეფობა“ ფარნავაზის სიზმრის ცენტრალური მითოლოგემაა. ეს სიტყვა სქემაზე კვადრატის შუაგულშია მოთავსებული, ყველა მასში მოქმედი მითოლოგემა - სიმბოლოს გადაკვეთაზე. ფარნავაზის სიზმარი ხომ მისი პატრონის გამეფების მითოსია. ფარნავაზი მითოსურად, და ისტორიულადაც (ის არ იყო მეფის შვილი), პირველი მეფეა. ის პირველად ქმნის საქართველოს ქვეყანას იმ სახით, რა სახითაც ის ისტორიულ სინამდვილეში, თუნდაც, მისი ჩაწერის ხანაში არსებობს. ფარნავაზი საქართველოს დემიურგია: ყველაფერი, რასაც ჩვენ ვადასტურებთ ისტორიულ ხანაში, მისი შექმნილია. ეს არის: ქვეყნის გამოხსნა უზურპატორისგან, სამეფო გვირგვინის მოპოვება, ქვეყნის დანაწილება, საერთო კულტის დაწესება, მწიგნობრობის შექმნა და ქართული ენის ჰეგემონიის დამყარება და განვრცობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცნობილი ტექსტი, ლეონტი მროველის ავტორობით, რომელსაც სათაურად უზის „ცხოვრება ფარნავაზისი“ წარმოადგენს კომპოზიციურად შეკრულ, ერთ მთლიან ნაწარმოებს თავისი დასაწყისითა და დასასრულით. დასაწყისია: „მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ“, ხოლო დასასრული - „და მოკუდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“. ამ ორ ცხოვრებისეულ სამანს შორის მოქცეულია სავსებით რეალისტურ-ისტორიული თხრობა - ამბავი ფარნავაზის გამარჯვებისა

უზურპატორ აზონზე (ვარ. აზოზე), ერთიანი ქვეყნის აშენებისა, მისი ორგანიზაციისა, ქართველთა პირველი მეფის კულტურულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლისა. ამ ტექსტში ჩართულია ერთი, ასევე დასრულებული მონაკვეთი თავისი დასაწყისითა და დაბოლოებით, რომელიც, როგორც თვითკმარი ტექსტი, შეიძლება საკუთრივი ანალიზის საგანი შეიქნას. ამ სიუჟეტს ის თავისებურება აქვს, რომ მისი ამბავი ორგზის არის გადმოცემული – ერთხელ სიზმარში (ანუ სიმბოლური სახით), მეორედ – ცხადში“ [ზურაბ კიკნაძე. ქართული მითოლოგია. 2016:12]

3. გამოქვაბულის შესახებ.

„ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წჳმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვა კარი ქუაბისა მის...“ [ლეონტი მროველი.1955].

ბატონ გურამ ყიფიანის მოსაზრებით, ფარნავაზის მიერ წვიმისაგან თავშესაფრად გამოყენებული გამოქვაბული „ხელოვნურია“ და არგუმენტად იხმობს ცნებას „შენებული“ [გვ. 28].

მოსაზრების პირველი ნაწილი სადაო არაა. ქართულ ენაში ცნება „ქვაბი“, სწორედაც, რომ ხელთქმნილს ნიშნავს: „კლდე გამონაკაფი“, „კლდე გამოკაფული“ და ა. შ. [ს.ს. ორბელიანი.1993:284].

რაც შეეხება ავტორის მიერ მოხმობილ არგუმენტს. ცნება „შენებული“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეხება არა ზოგადად ქვაბულს, არამედ მის შესასვლელს, რომელიც „აღმოქმნულ იყო ქვთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას...“; ამოგმანვა, ამოშენება კი, შესაძლებელია როგორც ქვაბულის, ასევე ბუნებრივი მღვიმის. ამდენად, ავტორის მიერ მოხმობილი ფაქტი, მთლად მარჯვე საბუთად ვერ გამოდგება.

ბატონ გურამ ყიფიანი წერს, რომ ქვაბული „მუდმივადაა“ ჩაკეტილი პორტკულისით (კლდოვან სამარხთა დასაგმინავი საგანგებოდ შექმნილ ბუდეებში ვერტიკალურად ჩადგმული ვერტიკალური ფილა)“ - აღმართული იყო ქვითა ძუელად“, რადგან იგი სიძველისაგან დაბზარული იყო. დილით მოსულმა, წვიმისაგან დასველებულმა ფარნავაზმა იგი ჩუგლუგით შეარღვია“ [გ. ყიფიანი. 2021:29; სტილი დაცულია - თ.ბ.]. ციტატის დასასრული.

საისტორიო ქრონიკის ავტორს გარკვევითა აქვს ნათქვამი, რომ შესასვლელი „აღმოქმნულ იყო ქვთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას...“ (ხაზი ჩემია - თ.ბ.).

ვერტიკალურად ჩადგმული ერთი ფილის შემთხვევაში, ნაკლებ სავარაუდოა, მემატიანეს დაეწერა „...შენებულს“-აო; გარდა ამისა, რა ისეთი რბილი ჯიშის ქვის ფილა ჩაუდგამთ, რომ სიძველისაგან დაშლის პირას მისულიყო. ქვიშაქვის ფილებიც კი, თითქმის ცვლილების გარეშე უძლებენ საუკუნეებს.

მივყვეთ ავტორის მსჯელობას: „მე მგონი „ცხოვრება ფარნავაზისი“-ს თხრობაში ამ გამოქვაბულის გეგმარებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ (?! - თ.ბ.): მან (ფარნავაზმა) ჯერ ხომ „დაამშრალა წვიმისა მისგან“ და შემდგომ შევიდა სიღრმეში და იქ „იხილა მუნ შინა განძი მიუწვდომელი“, ეს კლდოვანი სამარხის გეგმარების საყოველთაოდ გავრცელებული სახეა - „წინკარი“ და კამერა, ანუ მიცვალებილთა მუდმივი საცხოვრებელი (იხ. მაგალითები ტაბ. I). მგონია, რომ ციტირებულ ტექსტში განძის დეფინიციაა მოცემული“.

რეალური ვითარება აბსოლუტურად სხვაგვარია: „... ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვა კარი ქუაბისა მის, რათა-მცა მუნ შიგა დაიმშრალა წვიმისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ-შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწვდომელი“ (ხაზი ჩემია - თ.ბ.)

მოტანილ ამონარიდში, გარკვევით წერია, რომ ფარნავაზმა ჩუგლუგით შეანგრია კარი, რათა ანაზდად მოსული ძლიერი წვიმისაგან ქვაბულისთვის შეეფარებია თავი („მაშინ დაასხა წვმა მძაფრი..“).

მეტი დამაჯერებლობისათვის განვმარტოთ ამონარიდში გამოყენებული საკვანძო გამონათქვამები.

- „რათამცა“ = რომ, რათა [ი. აბულაძე. 1973:345];
- „მუნ შიგა“ = შიგნით;
- „დაიმშრალა წვიმისა მისგან“ = წვიმისაგან თავის არიდება, თავის შეფარება;
- „და შევიდა ქუაბსა მას“ - შევიდა ქვაბში.

ახლა ვნახოთ, რა მივიღეთ მათი შეერთებით: ფარნავაზმა ჩუგლუგით შეანგრია ქვაბის ამოშენებული და სიძველისაგან რღვევა დაწყებული („სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას“) კარი, რათა ანაზდად წამოსული ძლიერი წვიმისაგან თავის ასარიდებლად შესულიყო ქვაბში.

არავითარ ჯერ წინკარ-ტალან-დრომოსი და მასში „თავის დამშრალეზასა“ და შემდეგ ქვაბულში შესვლაზე, ტექსტში მინიშნებაც კი არაა. შესასვლელის დანგრევის შემდეგ, ის პირდაპირ ხვდება ქვაბულში - „გამოარღვა კარი ქუაბისა მის ... და შევიდა ქუაბსა მას...“

შედარებისათვის მომაქვს იგივე პასაჟი „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანიდან: „იმავე დღეს გავიდა მარტო სანადიროდ. დაინახა ერთი ნადირი (ერე) ტფილისის ღელე-ღულეებში. ესროლა მას ისარი, დაეცა ნადირი კლდის ნაპრალში და მიჰყვა მას. ჩავიდა მზე და დარჩა იქ ღამით. მოვიდა თოვლნარევი წვიმა და იძია ფარნავაზმა საფარველი. და ნახა იქ ძველი დროიდან ქვებით (და არა ფილით - თ.ბ.) დახშული ერთი შესასვლელი, რომელიც დარღვეული იყო. გააღო და ნახა ერთი ფართო გამოქვაბული (ნდარძაკ) ოქროსა და ვერცხლის განძით სავსე. გაეხარდა და მოაგონდა სიზმარი (ხაზი ჩემია - თ.ბ.). წავიდა და დაუძახა თავის დედას და ორ დას. ამოთხარეს განძი თხუთმეტ ღამეს და დაიცივეს ხელ ქვეშ სხვადასხვა ფარულ (მიყრუებულ) ადგილს [აბულაძე ილია. 1953:29-30].

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მკაფიოდაა ნათქვამი - „...ოქროსა და ვერცხლის განძით სავსე...“, „...ამოთხარეს განძი“.

4. მსგავსი თემები.

ფარნავაზის სიზმარი, ნადირობა, განძის აღმოჩენა და შემდგომი ამბები, ეულად არ დგას. განსახილველ თემას პარალელები ეძებნება დროსა და სივრცეში განსხვავებულ ეთნოკულტურებში. მაგალითისათვის გავიხსენოთ ამბავი, ჩვენთან გეოგრაფიულად ახლო არეალიდან; სახელდობრ, სივნიელი ბაბიკის თემა, რომელსაც არაერთი ნაშრომი მიემდვნა, მათ შორის ჩვენშიც [იხ. ზ. ალექსიძე. 1984:1952; მისივე. 2010:282,283; ზ. კიკნაძე. 2015:31,32].

აქ მომაქვს ლეგენდის ტექსტის ბატონ ზურაბ კიკნაძისეული თარგმანი: „...თავისი მეფობის პირველ წელს სანადიროდ გასული ბაბიკი მოიხილავდა უკაცრიელ არემარეს. ამ მოხილვაში მიაღწია შალატს და ავიდა ერთ ბორცვზე. უცებ საიდანღაც გამოხტა ირემი და პირდაპირ ბორცვისკენ გაიქცა, რომლის ქვეშაც ეკლესია იყო. ბაბიკი დაედევნა ირემს, მაგრამ იგი ბორცვზე გაუჩინარდა. როცა ბაბიკი ბორცვზე ავიდა, მოულოდნელად მისი ცხენის ფლოქვები მიწაში ჩაეფლო. შიშმა აიტანა ბაბიკი, დაქვეითდა და ძლივს ამოატრია საფლობიდან ცხენი. მერე დაიწყო მიწის თხრა და გადაყრა, ბორცვის ქვეშ კი დიდებული

ეკლესია აღმოაჩინა, იგი სავსე იყო ღვთიურ განძით, რომელიც სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ [Мовсес Каланкатуаци, 1984:67; ზ. კიკნაძე. 2015:31,32].

სწორედ ეს განძი გამოიყენა უფლისწულმა ბაბიკმა აოხრებულ-გაუკაცრიელებული ქვეყნის ასაღორძინებლად.

ზურაბ კიკნაძესა და ზაზა ალექსიძეს განძთან დაკავშირებული კიდევ რამდენიმე მაგალითი აქვთ დამოწმებული ნახსენებ ნაკვლევებში. მე მათზე აქ აღარ შევჩერდები.

5. უფლისციხეების შესახებ.

“აქვე უნდა ავღნიშნო, რომ პორტკულისთა ჩასასმელი ბუდეები საქართველოს კლდოვან ძეგლებზე სავსებით ცხადად იკვეთება - უფლისციხეში, კლდოვან სამარხებში და ვარძიაშიც (რომლის უადრესი ფუნქცია მე კლდოვან სამარხთა კომპლექსად მიმაჩნია - უფლისციხე ოძრხისი“ [გ. ყიფიანი. 2021:29] (ხაზი ჩემია - თ.ბ.). ციტატის დასასრული.

შენიშვნა: ვარძიის ოძრხის მმართველთა განსასვენებლად მიჩნევა, ბატონ გ. ყიფიანის საკმაოდ ძველი იდეაა, დაახლოებით ოციოდე წლის წინანდელი. იმ დროს, მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტში რამდენჯერმე გამართული ზეპირი პოლემიკის დროს, არაერთგზის ვთქვი და ახლაც გავიმეორებ - აღნიშნული თეზა მოკლებულია ყოველგვარ არგუმენტაციას.

შევეცდები, ნათქვამის დასაბუთებას.

ა. ვარძია და მისი მიდამოები ფარნავაზის დროს შედიოდა საერისთავოში, რომლის ცენტრი წუნდა, „...მტკვრის ზემო წელის ძველი ქალაქებიდან ერთერთი პუნქტი იყო“ [ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. 1. 1968:23].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით წუნდა და ოძრხე ყველანაირად თანაბარზომიერი ქალაქებია; ორივე ეს ქალაქი ერთსა და იმავე დროს დაარსეს მცხეთოსის შვილებმა, ოძრახოსმა და ჯავახოსმა: „ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრჯოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრჯოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი. ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰური“ [ლეონტი მროველი. 1955:10,11].

ბ. მანძილი ქალაქ წუნდასა და იმ კლდის მასივს შორის, რომელშიც მოგვიანოდ გამოკაფეს ვარძიის კომპლექსი, პირდაპირი ხაზით არა უმეტეს 5,0 კმ-ია; მტკვრის ხეობაზე გამავალი გზით არასრული 7,0 კილომეტრი;

ოძრხესა და ვარძიას შორის პირდაპირი ხაზით მანძილი 50,0 კმ-ზე მეტია; გზით - 80,0 კმ-დე (იხ. ნებისმიერი რუკა);

ასე, რომ თუ მაინცდამაინც, ერუშეთის მთის კლდოვანი მასივის ეს მონაკვეთი ფარნავაზის ეპოქაში (ან ადრე) სამარხებისათვის იყო განკუთვნილი, მაშინ არა ოძრხელი, არამედ წარჩინებული წუნდელების განსასვენებლები უნდა გვეგულისხმა.

6. განძის შესახებ.

ა. განძის შემადგენლობა.

ფარნავაზი „შევიდა ქუაზსა მას. და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწდომელი“.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი წერს: „მგონია, რომ ციტირებულ ტექსტში განძის დეფინიციააა მოცემული. პირველი ეს ზოგადად ძვირფასეულობაა - „განძი მიუწდომელი ოქრო და ვერცხლი“ და ამას გარდა კიდევ რაღაც: „სამსახურებელ ოქროსა და ვერცხლისა“, ასევე „მიუწდომელი“ [გ. ყიფიანი. 2021:29]. ციტატის დასასრული.

„ქართლის ცხოვრების“ თანდართულ ლექსიკონში მოცემულია „სამსახურებელი“-ს განმარტება: „სამსახურებელნი, სამსახურებელი („ჭურჭელი“ утварь)... საჭურჭლე-ნი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი...“ (ხაზი ჩემია - თ.ბ.).

ბატონ გურამ ყიფიანს არ აკმაყოფილებს მოცემული განმარტება და გვთავაზობს საკუთარ ვერსიას: „...აქ ჩემს თავს უფლებას მივცემ, რომ „სასამსახურო“-ში სხვა რამეც დავინახო და არა მხოლოდ ჭურჭელი. ნივთები მსახურობენ სამარხში და ამდენად ისინი წარმოადგენენ „სამეფო“ ინსიგნიებს. „სასამსახურო“ მოქმედებს სამუდამო „საცხოვრებელში...“ [გ. ყიფიანი. 2021:29]. ციტატის დასასრული.

ახლა ვნახოთ რეალური სურათი.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: „სამსახურებელ-ი (სამსახურებლისა) ძვ. 1. რაც ემსახურება ვისმე, მომსახურებისათვის განკუთვნილი; სამსახურებელი ჭურჭელი ძვ. სუფრის ჭურჭელი. 2. ძვ. სამლოცველო“ [დ. ჩუბინ. 1960:726].

„ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით გვამცნობს, რომ „სამსახურებელ-ი - „მსახურებითი“ - მოსახმარებელი“ [ი. აბულაძე. 1973:365].

ცნება „სამსახურებელი“ = „ჭურჭელს“ და ეს, რომ ასეა, ლექსიკონების გარდა, ქართულ წყაროებში გვაქვს არაერთი მაგალითი.

მონღოლ-ქართველთა ერთობლივი ჯარის მიერ ბაღდადის აღების შემდეგ, „...ადივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარითა და შესამოსლითა, **სამსახურებლითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა, თვნიერ ოქროსა და ვეცხლისა...**და ესრეთ ადივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირი, კურდამი და ყოველი შეურაცხი **სამსახურებელი** თუალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთი განტენიან...” [ჟამთააღმწერელი. 1959:233].

დაუკვირდეთ, როგორ აჯგუფებს მემპტიანე ნაალაფარს: ერთ ჯგუფში აერთიანებს „ოქროთა, ვეცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარითა და შესამოსლითა“; მეორეში, ოქროსა და ვერცხლის სუფრის ჭურჭელი და მთელი ამ ნადავლის გადასაზიდად გამოიყენეს ყველანაირი გასაზიდი საშუალება, მათ შორის ყველანაირი უბრალო, ჩვეულებრივი (შეურაცხი) ჭურჭელიც (სამსახურებელი) კი, რომელიც ძვირფასეულობით გაავსეს.

„...გვრგვნი საპატრიარხო ლევან დადიანის შემოწირული და ომფორი სხვლ-მარგალიტულით შემკული და სხუანი ხატნი და ჯუარნი და სამსახურებელნი კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა ...“ [ვახუშტი ბატონიშვილი. 1973:518,23].

ამ შემთხვევაშიც ზუსტი განსაზღვრაა მოცემული: მთავარი ნაწილი - გვირგვინი, ომფორი, სხვადასხვა ხატნი, ჯუარნი, ანუ, ინსიგნიები და საკულტო ნივთები გამოყოფილია საეკლესიო სამსახურებელნი, ანუ საეკლესიო ჭურჭლისაგან.

ბ. ზოგადად განძების შესახებ.

საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) ისტორიაში, ხელისუფალთა მიერ, ძნელბედობის ჟამს განსაკუთრებული მნიშვნელობის განძის გადამალვა არც თუ იშვიათი მოვლენა იყო.

აი, ერთი მაგალითი ჩვენი წარსულიდან. „...ხოლო სტეფანოსს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიჰრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარიღო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თვისი პირმშო მიჰრ; და ნახევარი საქონელისა მისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თვისსა. ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი ჰევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი ჰევსა უჯარმოსასა, და საგანძურნი

ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომელი მან-ვე ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთჳს, რომელნი თანა ვერ წარჰქონდეს. სახელი გორისა მის არს ტონთიო, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქროსა“. და დასუა მას ზედა ტილისში, რათა ვერვინ შეუძლოს გამოღებად ხოლო საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთას...“ (ხაზი ჩემია - თ.ბ.) [ლეონტი მროველი. 1955:232,233].

მსგავსი ოდენობის განძის გადატანას კი მართლაც დაჭირდებოდა სახედრები, ჭურჭელი და გარკვეული დრო.

და კიდევ ერთი. დამოწმებულ პასაჟში ნათლადაა გამიჯნული განძის ძირითადი (...საგანძური უფროსი) და შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი, ყოველდღიურობაში გამოსაყენებელი (სამსახურებელნი, ანუ ჭურჭელი, ოქროსა და ვეცხლისანი) ნაწილები; „სამსახურებელნი“ გაერთიანებულია სამზარეულო, სასუფრე და საღვინე (სამწდონი) ჭურჭელი და სასმისები (სასმურნი).

6. სამარხების შესახებ. არცერთი ეთნოკულტურის ფოლკლორში სამარხეული ინვენტარით სამეფოს ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის მაგალითი არ არსებობს.

7. დასკვნის მაგიერ.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორს, როგორც ჩანს, მთელი ეს მსჯელობა დასჭირდა იმის დასასაბუთლებლად, რომ ფარნავაზის წვიმისაგან თავშესაფარი არა უბრალოდ გამოქვაბული, არამედ კლდეში ნაკვეთი სამარხია ხოლო იქ აღმოჩენილი ძვირფასეულობა არა განძი, არამედ სამარხეული ინვენტარი [გვ. 28-30].

თუ ამ დაშვებას მივიღებთ, გამოდის, რომ ა. ფარნავაზს აღმოუჩენია კაცობრიობის ისტორიაში უმდიდრესი სამარხი („...და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწდომელი“); იმდენად მრავალრიცხოვანი ინვენტარით, რომ აღმოჩენილი ნივთების გასატანად არაერთი სახედარი და ხუთი ღამე დასჭირვებიათ; და იმდენად ფასეული, რომ მისი მეშვეობით შეძლო ფარნავაზმა ახალი სახელმწიფოს შექმნა...

ბ. ქართული სახელმწიფოს შემქმნელი და ფარნავაზიანთა დინასტიის სახელოვანი დამაარსებელი, სამარხების ბანალური მძარცველი ყოფილა; მას ჩაუდენია ქმედება, რომელიც უმძიმესად და უმდაბლესად ითვლებოდა ყველა დროში და კულტურაში.

ამ ყოვლად მდაბალ ქმედებაში ჩართული ყოფილა არა მხოლოდ მომავალი მეფე, არამედ მთელი მისი ოჯახი - დედა და ორი და; მამას გაუმართლა - ის ოჯახის წევრების მიერ ჩადენილი სრულიად უმსგავსო საქციელის დროს, უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი იყო („...მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან...“).

მსოფლიო ფოლკლორმა არა ერთ ლეგენდა თუ ზღაპარი შემოგვინახა აღმოჩენილი განძისა და მისი სხვადასხვა, როგორც წესი, კეთილი საქმეებისათვის გამოყენების შესახებ; მაგრამ არც ერთი, სამარხის ძარცვით მიღებული სარგებელის თაობაზე.

სწორედ ამიტომ, აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა დროს მომუშავე მკვლევართა კვალად, უნდა დავადასტურო, რომ რეალობა სხვაგვარი იყო - ფარნავაზმა მიაკვლია წინაპართა მიერ გადანახულ საგანძურს; თანაც, მიაკვლია არა შემთხვევით, არამედ გარკვეული ღვთაებრივი მინიშნების, სიზმრის წყალობით. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: „...მაშინ ფარნავაზ განკვირდა და აღივსო სიხარულითა. და მოეგონა სიზმარი იგი“. [იხ. ზ. ალექსიძე. 1984:1952; მისივე. 2010:282,283; ზ. კიკნაძე. 2015:14-17].

ბიბლიოგრაფია

- აბულაძე ილია. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. „მეცნიერება“. თბილისი. 1973
- ალექსიძე ზაზა. ცხოვრება ფარნავაზისი. ქრისტიანული კავკასია. 1. 2010
- ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1973
- კიკნაძე ზურაბ. ქართული მითოლოგია. 2. ფარნავაზის სიზმარი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016
- მროველი ლეონტი. ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. ქართლის ცხოვრება I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „სახელგამი“, თბილისი. 1955
- ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. II. „მერანი“. თბილისი. 1993.
- ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. „სახელგამი“. თბილისი. 1959
- ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოსცა ილია აბულაძემ. თსუ, თბილისი. 1953.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. 1960
- ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1979
- ჭილაშვილი ლევან. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. 1. „მეცნიერება“. თბილისი. 1968
- Каланкатуаци Мовсес, История страны алуанк, Ереван. 1984.

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>ანდრია აფაქიძე</i> . გერმანე გობეჯიშვილი	7
<i>ოთარ ჯაფარიძე</i> . არქეოლოგი-მკვლევარი გერმანე გობეჯიშვილი	9
<i>ლეილა წითლანაძე</i> . გერმანე გობეჯიშვილის მოსაგონარი	13
<i>ალექსანდრე ნონეშვილი, გურამ ყიფიანი, მადონა მშვილდაძე</i> . ოხერახევის სამაროვნისა და ნამოსახლარის ტერიტორიაზე 2021 წელს ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში	18
<i>ვახტანგ ლიჩელი, საბა ბუგიანიშვილი</i> . გრაკლიანი გორის 2019 წლის გათხრების მოკლე ანგარიში	88
<i>ლერი ჯიბლაძე</i> . აფხაზეთი როგორც კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების განუყოფელი ნაწილი	100
<i>თემურ ბიბილური</i> . სამკვდრო წესები ანტიკურ-ადრემუასაუკუნეების ხანის ქართლის სამეფოში	128
<i>გოგა გაბაშვილი, გოჩა გერაძე</i> . ქუფური მონეტების განძი საგარეჯოდან....	153
<i>თემურ ბიბილური</i> . რეცენზია გურამ ყიფიანის სტატიაზე „ფარნავაზის ცხოვრების ეპიზოდები“.	214